# საერთო გაზეთი

№27 (382) • 27 ივლისი, 2016 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## გიორგი კვირიკაშვილი: „მე მჯერა თქვენ, მეგრელები, უდიდეს როლს შეასრულებთ ისტორიული შერიგების პროცესში“



„ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების წარდგენა სამეგრელოს რეგიონში

## სოფო კილაძე:

სადაც არ უნდა ვიყოთ, თითოეულმა ჩვენგანმა თავდაუზოგავად უნდა იშრომოს, რომ ქვეყანამ კეთილდღეობას მიაღწიოს



## ლუკა კურტანიძე:

რა მნიშვნელობა აქვს სიაში ვიქნები თუ არ ვიქნები - მე მაინც იმ საქმეს გავაკეთებ, რასაც აქამდე ვაკეთებდი





## თამარ კიკნაძე:

მსოფლიო დენთის კასრზე



უკაცრავად და, თქვენ ორივე ხომ არ „რეპავთ“?

## სიმონ კილაძე:

ტერაქტების ალბათობა საქართველოშიც იზრდება





## ყველაფერი ISIS-ის – „ისლამური სახელმწიფოს“, „წმინდა“ სიკვდილისა და შაჰიდების შესახებ

## ძრწოდე მსოფლიოვ! ბაფომეტი, იგივე „თხა-კაცი“ იატაკქვეშეთიდან გამოდის!



# გიორგი კვირიკაშვილი: „მე მჯერა თქვენ, მეგრელები, უდიდეს როლს შეასრულებთ ისტორიული შერიგების პროცესში“

## „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების წარდგენა სამეგრელოს რეგიონში

მიუხედავად სკეპტიკოსების ყიჟინისა, „ქართულ ოცნებას“ მხარდამჭერები შემოაკლდაო, ჯერ იმერეთში და ამ დღეებში სამეგრელოში შეკრებილმა მოსახლეობამ დაამტკიცა, რომ კვლავ აქვთ მმართველი პარტიის დიდი იმედი და ნდობა. თუ როგორ გაამართლებს შემდეგშიც ამ ნდობას „ქართული ოცნება“, მომავლის საკითხია, ფაქტი კი ისაა, რომ მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენას უამრავი მხარდამჭერი ესწრება.

ასე იყო „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მიერ სამეგრელოს რეგიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების წარდგენის დღეს ზუგდიდში თავისუფლების მოედანზე გამართულ შეხვედრაზეც.

მოსახლეობას დასაწყისისთვის ვიცე-პრემიერმა, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ გენერალურმა მდივანმა **კახა კალაძემ** მიმართა.

„არ გადაუხვიოთ იმ პროგრესის გზიდან, რაც ავირჩიეთ 4 წლის წინ და რაც შეუქცევადად მიგვიყვანს საერთო მიზნამდე. ჩვენ გვექნება მდიდარი, მშვიდობიანი და განვითარებული ქვეყანა“, – თქვა კახა კალაძემ. „ჩვენ ვაშენებთ თავისუფალ, დემოკრატიულ ინსტიტუტებზე დაფუძნებულ სახელმწიფოს, სადაც ნებისმიერი ადამიანის უფლებები იქნება თანაბრად დაცული. რა თქმა უნდა, ქვეყანაში უნდა იყოს განსხვავებული აზრი, უნდა იყოს განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები. თუ მთელი ქვეყანა, მთელი საქართველო ერთნაირად იაზროვნებს, მერწმუნეთ, რომ წარმოუდგენელი იქნება ქვეყნის განვითარება, წინსვლა“, – დასძინა მან.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **გიორგი კვირიკაშვილმა.** მან გამოსვლისას სამეგრელოს უდიდეს პოტენციალზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ეს პოტენციალი მაქსიმალურად უნდა იქნას ათვისებული.

„ამის ერთ-ერთი უნიკალური შესაძლებლობაა ანაკლიის პორტი, რომლის ამოქმედება არა მარტო სამეგრელოში გააუმჯობესებს მნიშვნელოვნად ვითარებას, არამედ მთელი ქვეყნის ეკონომიკას მისცემს სერიოზულ ბიძგს. ეს იქნება იმ მასშტაბის პროექტი, რომელიც ათასობით სამუშაო ადგილს შექმნის და, პირველ რიგში, სამეგრელოს მოსახლეობის ცხოვრების დონეზე აისახება“, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.




**თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა!**

გიორგი კვირიკაშვილმა მოსახლეობას მთავრობის ახალ, მნიშვნელოვან ინიციატივაზეც მიაწოდა ინფორმაცია. მან აღნიშნა, რომ თბილისის შემდეგ ტექნოლოგიური პარკი ზუგდიდში გაიხსნება, რომელსაც ზუგდიდში მდებარე სამთავრობო რეზიდენცია დაეთმობა. მთავრობის მეთაურის შეფასებით, ეს იქნება ადგილი, სადაც ახალგაზრდები საკუთარი ინოვაციური იდეებითაც მივლენ და დაფინანსების მოპოვებას შეძლებენ.

„ჩვენ ყველანაირად დავეხმარებით დამწყებ ბიზნესს, წავახალისებთ და დავაფინანსებთ ახალ იდეებს, რაც, დარწმუნებული ვარ, ხელს შეუწყობს სამეწარმეო სულისკვეთების გაჩენას და, საბოლოოდ, ჩვენი ქვეყნის სწრაფ განვითარებაზე და ხალხის კეთილდღეობაზე აუცილებლად აისახება“, – აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

მაგალითისთვის პრემიერმა 21 წლის ზუგდიდელი **ნემო ჯალალონიას** ისტორია მოიტანა, რომელმაც ხის ნაკეთობების დასამზადებლად საჭირო საამქროსთვის სახელმწიფოსგან დაფინანსება მიიღო და ახლა საკუთარი მცირე ბიზნესი აქვს.

ამავე კონტექსტში გიორგი კვირიკაშვილმა განათლების სისტემის შეცვლის აუცილებლობას გაუსვა ხაზი. მისი თქმით, ახალგაზრდებმა ისეთი პროფესიული განათლება უნდა მიიღონ, რომ სწავლის დამთავრების შემდეგ საკუთარი შემოსავალი ჰქონდეთ.

მთავრობის მეთაურმა ადგილობრივ მოსახლეობას სიმტკიცისთვის მადლობა გადაუხადა და ისტორიული შერიგების პროცესში მათ როლზე გაამახვილა ყურადღება.

„მე მჯერა, თქვენ, მეგრელები, უდიდეს როლს შეასრულებთ ისტორიული შერიგების პროცესში. ხელი უნდა გავუწოდოთ აფხაზ ძმებს და ჩვენკენ შემოვატრიალოთ ისინი. ამ შერიგებით უნდა დაიწყოს საქართველოს გამთლიანება და თქვენ ხართ ამ საქმეში ჩვენი მთავარი დასაყრდენი! რადგან აფხაზეთი აქედან ძალიან ახლოა, სწორედ სამეგრელოდან უნდა მივმართოთ აფხაზ ძმებს: მინდა გჯეროდეთ, რომ ჩვენ გვინდა შერიგება, გვინდა მშვიდობა და ჩვენმა ხელისუფლებამ ეს უკვე დაამტკიცა“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა და დასძინა, რომ სამშვიდობო პოლიტიკის მაგალითი რუხის რეგიონალური მნიშვნელობის საუნივერსიტეტო კლინიკაა.



„ჩვენი სურვილია, თქვენც ისარგებლოთ ამ ულტრათანამედროვე სტანდარტების კლინიკით. მინდა იცოდეთ, რომ ჩვენ ღირსეულად მიგიღებთ. იგივე შემიძლია ვთქვა რუხის სავაჭრო ცენტრზე, ვისურვებ, ეს ადგილი კიდევ ერთი გადებული ხიდი აღმოჩნდეს ჩვენ შორის“, – თქვა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა სიტყვით გამოსვლისას დევნილებსაც მიმართა და აღნიშნა, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება მათთვის ღირსეული ცხოვრების

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.


ედიშერ თოლორაია


მერაბ ქვარაია


გოგა გულორდავა


გოდერძი ბუკია


ოთარ დანელია

პირობების შექმნისთვის ყველაფერს იღონებს.

მთავრობის მეთაურის განცხადებით, 2012 წლიდან დღემდე 12 ათასზე მეტმა ოჯახმა უკვე მიიღო მუდმივი საცხოვრებელი და დღეს ეს ხალხი საკუთარ ჭერქვეშ ცხოვრობს. ამჟამად კი ზუგდიდში, ბინები 2 ათასზე მეტი დევნილი ოჯახისთვის შენდება.

გიორგი კვირიკაშვილმა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წარადგინა და მათ გამარჯვება უსურვა.

„დარწმუნებული ვარ, რომ ისინი წარმატებულად მიიტანენ ჩვენი პარტიის, „ქართული ოცნების" სათქმელს თითოეულ ამომრჩეველამდე, იქნებიან შეუპოვრები გამარჯვებისთვის ბრძოლაში და ამით ყველანი ერთად გავიმარჯვებთ. ჩვენი საქართველო, ჩვენი სამშობლო გაიმარჯვებს", – განაცხადა პარტიის თავმჯდომარემ.

„ქართულ ოცნება-დემოკრატიულმა საქართველომ" ქალაქ ზუგდიდში წარადგინა **მერაბ ქვარაიას**, ზუგდიდის რაიონში **ედიშერ თოლორაიას**, წალენჯიხასა და ჩხოროწყუში **გოგა გულორდავას**, ხობში **გოდერძი ბუკიას**, სენაკში **ირაკლი ბერაიას**, მარტვილსა და აბაშაში **ოთარ დანელიას**, ფოთში კი **ირაკლი ხახუბიას** კანდიდატურები.

კანდიდატები სათითაოდ დაახასიათა პრემიერ-მინისტრმა და აღნიშნა:

„**მერაბ ქვარაიას** ყველა იცნობთ. იგი არის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, პროფესიით გახლავთ იურისტი და ეკონომისტი. ბატონი მერაბი ზუგდიდელია. თავადაც კარგად იცის ქალაქის პრობლემები. ზუგდიდელებს მისი სახით საიმედო დასაყრდენი ეყოლებათ პარლამენტში".

ზუგდიდის რაიონში მაჟორიტარობის კანდიდატი **ედიშერ თოლორაია**.

„იგი გახლავთ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი, პროფესიით იურისტია, ახალგაზრდა და ენერგიული კაცია, რომელიც ასევე ენერგიულად გააგრძელებს ზუგდიდელების ინტერესების დაცვას პარლამენტში", – თქვა მან.

წალენჯიხისა და ჩხოროწყუს მაჟორიტარობის კანდიდატად პრემიერმა **გოგა გულორდავა** დასახელა.

„ის არის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელი, პროფესიით იურისტია და ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რათა პარლამენტამდე მიიტანოს წალენჯიხელების და ჩხოროწყუელების სათქმელი" – აღნიშნა პრემიერმა.

ხობს მაჟორიტარობის კანდიდატად ეყოლება **გოდერძი ბუკია**.

„იგი არის გამოცდილი პარლამენტარი, თავისი კუთხის ნამდვილი პატრიოტი და ყურადღებას არ მოაკლებს ხობელებს".

სენაკის მაჟორიტარად დასახელდა **ირაკლი ბერაიას** კანდიდატურა.

„ირაკლი გახლავთ სახელმწიფო უსაფრთოების სამსახურის საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი. მას განათლება მიღებული აქვს ლონდონის Westminster-ის უნივერსიტეტში საერთაშორისო დიპლომატიის მაგისტრის წოდებით. იგი მუშაობდა „წითელი ჯვრის" საერთაშორისო პროგრამების კოორდინატორად და ასევე, შსს-ს რეფორმირების დეპარტამენტის დირექტორად. ირაკლი დღეს უძღვება გალისა და ერგნეთის ინციდენტების, პრევენციისა და მათზე რეაგირების ჯგუფს ცენტრალური ხელისუფლებიდან. იგი საყოველთაოდ ცნობილია ამ კუთხითაც დღეს. ახალგაზრდა, მაგრამ საკმაოდ გამოცდილია ადამიანია. – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

მარტვილისა და აბაშის მაჟორიტარობის კანდიდატი სოფლის მეურნეობის მინისტრი **ოთარ დანელია** გახდა. ის ასე დაახასიათა პრემიერ-მინისტრმა: „ოთარი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დირექტორი. წარმოშობით მარტვილელია, თავისი კუთხის პატრიოტია და ყველაფერს გააკეთებს როგორც მარტვილელების, ისე აბაშელების ინტერესების დასაცავად".

ფოთის მაჟორიტარობის კანდიდატად დასახელდა **ირაკლი ხახუბია**.

„იგი ბიზნესიდან მოდის პოლიტიკაში. ირაკლი ხახუბია არის წარმატებული ბიზნესმენი და ასეთივე წარმატებული იქნება პოლიტიკაშიც", – თქვა გიორგი კვირიკაშვილმა.

გიორგი კვირიკაშვილმა სიტყვით გამოსვლისას ყურადღება ფოთის უდიდეს პოტენციალზე გაამახვილა და განაცხადა, რომ მთავრობა ფოთის კიდევ უფრო განვითარებისთვის ყველაფერს გააკეთებს.

როგორც პრემიერ-მინისტრმა სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, „ქართული ოცნების" ხელისუფლების მთავარი ორიენტირი არის ადამიანი, მისი საჭიროებები და მისი უფლებები. „არავითარ შემთხვევაში, განვითარების არც ერთი გეგმა, რომელსაც ჩვენ მომავალი ოთხი წლისთვის ვადგენთ, არ გაივლის მოქალაქეების უფლებების დარღვევაზე, ადამიანის უფლებების გათელვაზე, რომელიც ადრე გვქონდა და რომლის მოწმენიც მთელი ქვეყანა გავხდით. როდესაც წინა ხელისუფლების პერიოდში ვუყურებდით ასიათასობით დაპატიმრებულ ადამიანს, მე, როგორც ერთ რიგით მოქალაქეს, ყოველთვის მქონდა ასეთი აზრი, რომ არც ერთი უსამართლოდ დასჯილი ადამიანის შვილის ცრემლად არ ღირს მთელი საქართველო. ეს არის ჩვენი ხელისუფლების მთავარი მოწოდება და მთავარი არსი. სწორედ ამ კრედოს მიჰყვება ჩვენი გუნდის თითოეული წევრი. სწორედ ამ პრინციპის დაცვით, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეფექტური, სწრაფი ნაბიჯების გადადგმით ვიცით მომავალი ოთხი წლის განმავლობაში, რათა ადამიანურად და ამავე დროს ეფექტურად შევცვალოთ ქვეყანაში ცხოვრების დონე", – განაცხადა პრემიერმა.


ირაკლი ხახუბია


ირაკლი ბერაია

მთავრობის მეთაურმა ადგილობრივ მოსახლეობას დაგეგმილ რეფორმებზეც მიაწოდა ინფორმაცია და განათლების სისტემის ძირეული რეფორმირების აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება.

მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების წარდგენას ესწრებოდნენ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" წევრები – **რომან კაკულია, ეკა ბესელია, სოსო დანელია**, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული, გუბერნატორი **ლევან შონია** და სხვები.



# სადაც არ უნდა ვიყოთ, თითოეულმა ჩვენგანმა თავდაუზოგავად უნდა იშრომოს, რომ ქვეყანამ კეთილდღეობას მიაღწიოს

**2016 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს მოსახლეობა მე-9 მოწვევის პარლამენტის ახალ შემადგენლობას აირჩევს. 13 ივლისის პრეზენტაციაზე, რომელიც საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში გაიმართა, ქვეყნის პრემიერ მინისტრმა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" ახალი წევრები წარადგინა. როგორც წესი, პოლიტიკური პარტიის განვითარების ტენდენციებზე თუ მსოფლმხედველობით და იდეოლოგიურ ვექტორებზე ყველაზე კარგად მისი ახალი სახეები მეტყველებენ, ამიტომ გიორგი კვირიკაშვილის მიერ წარდგენილი კანდიდატების მიმართ, საზოგადოების ინტერესი დღემდე მაღალია. მაშ ასე, გუნდიდან, რომლისგანაც ქართულ პოლიტიკაში დადებითი მუხტის შემოტანას ელიან, ერთ-ერთ წევრს სოფიო კილაძეს გაგაცნობთ. პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" პოლიტიკური საბჭოს ახალმა წევრმა დაამთავრა „ჰაიდელბერგის" უნივერსიტეტი და პროფესიული საქმიანობა იქვე, გერმანიაში დაიწყო. პრაქტიკა ჰაიდელბერგში, საადვოკატო ბიურო Bau, Becky & Collegen-ში გაიარა. 2008-2011 წლებში მუშაობდა „მაქს პლანკის" შედარებითი სამართლისა და საერთაშორისო საჯარო სამართლის ინსტიტუტში. 2011 წლიდან საქართველოშია და საჯარო სამართლის მიმართულებით, როგორც ქართულ, ისე გერმანულ სექტორზე პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა. იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის მოწვეული პედაგოგი. 2012-2014 წლებში ხელმძღვანელობდა შსს-ს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის საერთაშორისო თანამშრომლობის სამმართველოს. საერთაშორისო საჯარო სამართლის სპეციალისტი ამავე წლებში იკავებდა შსს-ს აკადემიის პრორექტორის თანამდებობას. ამბობს, რომ „ქართული ოცნების" რიგებში გაწევრიანება პარტიის მყარი დასავლური კურსის გამო გადაწყვიტა. სოფიო კილაძისთვის მისაღებია „ქართული ოცნების" პრიორიტეტები: ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარება, განათლების რეფორმა, საჯარო სამსახურის მოქნილი სისტემის რეფორმა.**



საკმარისია თუ არა, წარმატებული პოლიტიკური კარიერისთვის დასავლური განათლება? არის თუ არა პარლამენტი კვალიფიკაციის ასამაღლებელი ადგილი, რომელ სფეროში აპირებს მუშაობას და რას ფიქრობს ქვეყანაში არსებული გამოწვევების მოგვარების გზებზე? საერთო გაზეთს" **სოფიო კილაძე** ესაუბრა:

– საკუთარი თავის შესახებ გეტყვით, რომ ვსწავლობდი ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში. ვმუშაობდი „მაქს პლანკის" შედარებითი სამართლისა და საერთაშორისო საჯარო სამართლის ინსტიტუტში და ჰაიდელბერგის ცნობილ საადვოკატო ბიუროში. ესაა, რაც ძალიან მოკლედ შემიძლია ჩემი „გერმანული ცხოვრების" შესახებ ვთქვა. რაც შეეხება საქართველოს, ვიყავი შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის საერთაშორისო თანამშრომლობის სამმართველოს უფროსი. შემდეგ დამაწინაურეს შსს აკადემიის პრორექტორის თანამდებობაზე. ამჟამად ვარ „ქართული ოცნების" პოლიტსაბჭოს წევრი.

**– საზოგადოების ნაწილი და ოპოზიცია „ქართული ოცნების" ახალ წევრებს პოლიტიკური გამოცდილების არქონას უწუნებს. ისიც კი ითქვა, რომ პარლამენტი კვალიფიკაციის ასამაღლებელი ადგილი არ არის..**

– არა მგონია, რომ ადამიანის პოლიტიკური გამოცდილება მის კვალიფიკაციასთან რაიმე კავშირში იყოს. ჩვენი გუნდის ახალი წევრები თავისი საქმის მცოდნე პროფესიონალები და თავის სფეროში წატმატებული ადამიანები არიან. მიმაჩნია, რომ განათლებული, წარმატებული და მშრომელი ადამიანი ასევე წარმატებული იქნება ყველა სფეროში, იქნება ეს პოლიტიკა, ბიზნესი თუ ა.შ. მთავარია, ადამიანს ეს თვისებები ჰქონდეს. ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი გუნდის თითოეული ახალი წევრი პოლიტიკაშიც ისეთივე წარმატებული იქნება, როგორც პროფესიულ საქმიანობაში იყო.

**– რა მიმართულებით აპირებთ საქმიანობას?**

– გუნდთან ერთად გადაწყდება, სად უფრო ეფექტიანი იქნება ჩემი რესურსის გამოყენება და სად უფრო გამოვადგები სამშობლოს. თუმცა, განათლებით იურისტია ვარ და ჩემთვის იურისპრუდენცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ასევე, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მაქვს განათლებისა და მეცნიერების სფეროში მუშაობის გამოცდილება, დაინტერესებული ვარ ჯანდაცვისა და სოციალური საკითხებით და ეკონომიკით. ალბათ, მექნება შესაძლებლობა, რომ რომელიმე ამ სფეროდან ვემსახურო ჩემს ქვეყანას. მთავარია, საქმე, რომელსაც გავაკეთებ, ეფექტიანი და წარმატებული იყოს. თითოეულმა ჩვენგანმა ნებისმიერი მიმართულებით თავდაუზოგავად უნდა უმუშაოს, რომ ქვეყანამ კეთილდღეობას მიაღწიოს.

**– შსს აკადემიის პრორექტორად მუშაობის პერიოდში, ფსიქოაქტიური ნივთიერებების კრიმინალიზაციასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებების პროექტზე მოგიწიათ მუშაობა. სამწუხაროდ, ეს თემა დღესაც აქტუალურია. განსაკუთრებით მწვავედ დგას ე.წ. საამფთიაქო ნარკომანიის პრობლემა. ამ პრობლემის მოგვარება როგორ გესახებათ?**

– სამწუხაროდ, ისეთმა წარმატებულმა ქვეყნებმაც კი, როგორებიც არიან ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და სხვა, ვერ შეძლეს ბოლომდე გადაეჭრათ 21-ე საუკუნის უმძიმესი პრობლემა, რომელსაც ნარკომანია ქვია. რა თქმა უნდა, ჩვენი გუნდი და პირადად მე ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ მსგავსი ფაქტები თუ საერთოდ ვერ აღმოიფხვრა, აბსოლუტურ მინიმუმამდე შემცირდეს. მაგალითისათვის გეტყვით, რომ 2012 წლის შემდეგ სახელმწიფომ აქტიურად დაიწყო ე.წ. დაბალანსებული ნარკოპოლიტიკის წარმოება. რა თქმა უნდა, სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები არასაკმარისია იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდეს ნარკომანიის პრობლემა, მაგრამ აუცილებლად უნდა ავღნიშნოთ ის პროგრესი, რაც ქვეყანას ამ მიმართულებით ბოლო ოთხი წლის მანძილზე ჰქონდა. 2012 წლამდე, როცა საქართველოში კოდეინის და ეფედრინის კომბინირებული სამკურნალო საშუალებები შემოდიოდა, უამრავი ე.წ. კრაკადილის, ვინტის თუ ჯეფის მომხმარებელი გვყავდა. რაც ეს აღვკვეთეთ, პრობლემა თითქმის ბოლომდე მოგვარდა და ფაქტობრივად, ერთეული შემთხვევები გვაქვს. მეორე მიმართულებაა ბიონარკოტიკი, რომლის მოხმარებაც ასევე, დაახლოებით 90-95%-მდე შემცირდა. როდესაც ქართულ ნარკოპოლიტიკაზე ვსაუბრობთ, ეს დადებითი ტენდენციები აუცილებლად უნდა აღინიშნოს. თუმცა, გეთანხმებით, რომ დარჩენილია პრობლემები საამფთიაქო ნარკომანიის კუთხით და ეს და ზოგადად, ნარკოპოლიტიკა იქნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელზეც ჩვენი გუნდი აქტიურად იმუშავებს. ძალიან მნიშვნელოვანია, პრევენციული მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები, რომ ახალგაზრდებს საერთოდ არ მოუნდეთ საამფთიაქო თუ ე.წ. ტრადიციული ნარკოტიკების გასინჯვა. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ხელისუფლების პირობებში მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მიღწეული ნარკომანიის მკურნალობის მიმართულებითაც. თითქმის გასამმაგდა მეთადონით ჩანაცვლებისა თუ სხვა პროგრამებზე ხელმისაწვდომობა, მაგრამ რა თქმა უნდა, კიდევ არის გამოწვევები და სახელმწიფომ ამ გამოწვევებს ადექვატურად უნდა უპასუხოს. სწორედ ამ ადექვატური რეაგირების შედეგად, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ ნარკოტიკების მოხმარების მაჩვენებელი.

**– როგორც განათლებისა და მეცნიერების სფეროში მუშაობის გამოცდილების მქონე ადამიანი, როგორ ხედავთ სისტემის მომავალს, გამოწვევებს და მათი გადაჭრის გზებს?**



6 გვ. →



# რა მნიშვნელობა აქვს სიაში ვიქნები თუ არ ვიქნები – მე მაინც იმ საქმეს გავაკეთებ, რასაც აქამდე ვაკეთებდი

## „საერთო გაზეთის“ სტუმარია პარლამენტარი ლუკა კურტანიძე

**— ლუკა, „ქართულმა ოცნებამ“ ახალი სახეებით განახლებული გუნდი წარადგინა. რამდენად გამართლდა თქვენი მოლოდინი?**

— პირველ რიგში, უნდა აღვნიშნო, რომ ბიძინა ივანიშვილმა სააკაშვილის რეჟიმი უსისხლოდ ჩამოგვაშორა. მთავარი აწმყოსა და მომავლის შენებისა თავად ბიძინა ივანიშვილი და ათწლეულების მანძილზე მის მიერვე გაკეთებული საქმეებია. მინდა იდეა, რასაც მან საძირკველი ჩაუყარა, წარმატებული იყოს. რაც შეეხება ახალ გუნდს, იგი განათლებული ადამიანებისგან შედგება. თითქმის ყველას, უმაღლესი სასწავლებელი საზღვარგარეთ აქვს დამთავრებული. თუ ვინმეს „ქართული ოცნების“ კურსთან დაკავშირებით პრეტენზია ჰქონდა, ამ ბირთვის წარდგენით მის პრო-დასავლურობაში ეჭვს ველარავინ შეიტანს. ანუ, ისინი, ქართულ პოლიტიკაში, ევროპული განათლებით, ღირებულებებით შემოდიან. დღეს, ქართული პოლიტიკა კრიტიკულ ზღვარს გადის, ბევრი გამოწვევებია, ამ ბრძოლაში რას გააკეთებენ, ეს მათზეა დამოკიდებული. პირადად, ამ გუნდისგან ერთ რამეს ვითხოვ – რაც 1 ოქტომბერს სამშობლოსთვის ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით მოვიპოვეთ, ამ პრინციპებს არ უღალატონ.

**— ლუკა, თქვენ, აქცენტს ევროპულ განათლებაზე აკეთებთ. ეს რამდენად საკმარისია? ევროპული განათლება და პრო-დასავლური კურსი „ნაციონალებსაც“ აქვთ და „რესპუბლიკელებსაც“.**

— დიახ, მაგრამ ადრე საუბრობდნენ იმაზე, რომ კოალიციაში მაგალითად, „რესპუბლიკელები“ გამოირჩეოდნენ პრო-დასავლური კურსით, „ქართულ ოცნებაზე“ კი ამ მიმართულებით მუდმივი კამათი იყო და სულ იმის მტკიცება გვიხდებოდა, რომ ჩვენც ევროკავშირისკენ მივილტვოდით. ამ გუნდის წარდგენა ძლიერი პოლიტიკური ნაბიჯია. ამას აქვს მეორე მხარეც, რაც ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია – რამდენად ერთგულები იქნებიან ეს ადამიანები კრიტიკულ სიტუაციაში და რამდენად სწორად გამოიყენებენ განათლებას. თითოეული გამარჯვება ბრძოლითაა მოსაპოვებელი. ეს ადამიანები პოლიტიკურ, გლობალურ ომში მიდიან, სადაც რკინის ნერვები და სწორი ნაბიჯების გადადგმაა საჭირო. მნიშვნელობა არ აქვს გუნდის ახალი წევრი იქნება თუ ძველი, თუ ვინმე იმ იდეას უღალატებს რაც ბიძინა ივანიშვილმა დანერგა – მან საქართველოში თაობათა შუღლი დაასრულა, მისი პირველი მოწინააღმდეგე მე ვიქნები. ეს ყველას ახსოვდეს ძველ წევრსაც და ახალსაც.

საზოგადოება ხედავდა, რომ მათ განცხადებებში თავსებადობა არ იყო. ახლა, „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ ერთ ძლიერ გუნდად ჩამოყალიბდება, სადაც კომუნიკაცია უფრო ადვილი იქნება, აქ, ერთი იდეის მატარებელი ხალხი მოიყრის თავს. ვინც იდეას ვერ გაუფრთხილდება, გუნდს დატოვებს. ვფიქრობ, „ქართული ოცნება“ ახლა უფრო მობილური იქნება, რაც კოალიციის პირობებში არ იყო. იმედს ვიტოვებ, რომ ახალი ძალის შერწყმით „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ ერთ ძლიერ გუნდად ჩამოყალიბდება. მთავარი ის იდეაა, რაც ივანიშვილმა დანერგა – სახელმწიფოებრიობას საძირკველი ჩავუყაროთ და საზოგადოებას გაკეთებული საქმეები არ ვამადლოთ.



**— ლუკა, საპარლამენტო არჩევნები გვიახლოვდება. ახალი სახეები ნაკლებად ცნობადები არიან. რამდენად გაჰყვება მათ ხალხი არჩევნებზე?**

— რამდენად ცნობადები გახდებიან მათზეა დამოკიდებული. ბატონმა ბიძინამ განაცხადა, რომ მაქსიმალურ შედეგებს ელოდება. ვფიქრობ, ძველ და ახალ გუნდს შორის ჰარმონიზაცია, შერწყმა მოხდება და ერთ ძლიერ გუნდად ჩამოყალიბდება. კოალიციის პირობებში ყველა პარტიას თავისი ღირებულებები ჰქონდა.

**— „ქართული ოცნება“ თითოეული ქართველის ოცნებაც იყო. დღეს მის დასამარცხებლად მთელი ოპოზიციური სპექტრი გაერთიანდა. ბიძინა ივანიშვილს ზურგს ერთადერთი მოკავშირე ქართველი ხალხი უმაგრებს. რამდენად მზადაა გუნდი და ხალხიც ერთმანეთის ღირსეული მოკავშირეობა გასწიონ?**

— დასავლელმა პარტნიორებმა სწორად უნდა შეაფასონ რა გააკეთა ივანიშვილმა. 9 წლიანი რეჟიმის დროს უხვად დაგროვდა შურისძიების სურვილი, მაგრამ არ მოხდა პირდაპირ ქუჩაში ანგარისსწორება და სისხლი არ დაიღვარა, ეს ივანიშვილის დამსახურებაა. ნურც ევროპა და ნურც დანარჩენი მსოფლიო ნუ დაიბრალებს, რომ საქართველოში სისხლისღვრის შეჩერება მათი ინსტიტუტების კონტროლით მოხდა. ხაზგასმით აღნიშნეთ, რომ ეს ივანიშვილის დამსახურებაა, მთელი ერი მას მიენდო. კი, ხალხი გულდაწყვეტილია რომ სამართალი სწრაფად არ აღდგა, მაგრამ მართალი ქვეყნის შენებას ძალიან დიდი მოთმინება სჭირდება. ამ ოთხმა წელმა ივანიშვილის ნდობის მხრებზე გადაიარა, ტრავმირებულმა საზოგადოებამ შურისძიება არ დაიწყო. ხალხს ეჩქარება, მაგრამ დამნაშავეების გასამართლებას ძალიან დიდი დრო სჭირდება. აშშ-ში, ევროპაში როდესაც დამნაშავეზე სამართლებრივი დევნა მიმდინარეობს, მტკიცებულებები წლების მანძილზე გროვდება. თუ გვინდა სამართლებრივად მსგავსი გასწორებული ქვეყანა გვქონდეს უნდა მოვითმინოთ. ეს ივანიშვილმა გვასწავლა. ქართველი ხალხი კრიტიკულ სიტუაციაში ანალიზს სწორად აკეთებს. ივანიშვილი საარჩევნო პროცესში აქტიურადაა ჩართული და ქართულ ოცნებასთან ერთად მთელს საქართველოს მოივლის. ანალიზი უნდა გავაკეთოთ – რა გამოვიარეთ, რა დავასრულეთ და რა დავიწყეთ. „ქართულ ოცნებას“ 4 წლის მანძილზე ახლა პირველად ეძლევა საშუალება ერთი იდეით დამოუკიდებლად გავიდეს არჩევნებში, რაც მას უფრო მობილურს გახდის და ნაკლოვანებებსაც ერთად გამოასწორებს. მზად ვარ, სადაც არ უნდა ვიყო, ეს ბირთვი, ამ იდეის ქვეშ გავაძლიერო. გული ბევრ რამეზე მწყდება, მაგრამ მთავარია ერის კაცის გვერდზე ყოფნა, თუნდაც მის ჩრდილქვეშ. უბრალოდ, ბედნიერი ვარ, რომ ბატონი ბიძინას მეგობარი, თანამებრძოლი მქვია.

**— ლუკა, წეღან ახსენეთ, ბრალის დამტკიცებას წლები სჭირდებაო. როგორ ფიქრობთ, სააკაშვილის, ადეიშვილის, კეზერაშვილის და სხვათა დანაშაულობებზე საკმარისი მტკიცებულებები არ არსებობს?**

— „ნაციონალები“ ყველაფრის მკადრებლები არიან. ისინი, დანარჩენმა საქართველომ, პოლიტიკური ველიდან უნდა გაიყვანოს. მათ საჯარო სამსახურში ყოფნის უფლება არ უნდა ჰქონდეთ. ვერდიქტი, ქართველმა ხალხმა, არჩევნებზე უნდა გამოიტანოს – პოლიტიკური ნაგავი უნდა გავიტანოთ. ვისაც დანაშაული დაუმტკიცდება, უნდა დაისაჯოს. პარლამენტში მე და გია ვოლსკიმ დავაყენეთ მოთხოვნა – ვისაც ამ 9 წლიანი რეჟიმის დროს ჩადენილი დანაშაული დაუმტკიცდება, საჯარო, სახელმწიფო სამსახურში მუშაობის თეორიული შანსიც კი აეკრძალოს. ეს კონტიგენტი მუდმივად საქართველოზე ფეხის დადგმას, მის დაჩაგვრას ცდილობს. ასეთი საზოგადოება საშიშია და იმედია, ქართველი ხალხი სწორ არჩევანს გააკეთებს. ყველაფერს საზღვარი აქვს. ამ ფაშისტების ადგილი საზოგადოებაში არაა. ილია ჭავჭავაძეს ზუსტად ასეთმა ბერბიჭაშვილებმა ესროლეს ტყვია. ზუსტად ისინი აქილიკებდნენ ილიას, რომელიც მერე ქართველმა ერმა ერის მამად აღიარა. ბატონ ბიძინას ვუთხარი კიდეც: თქვენ, სწორედ ერის კაცობის გამო გებრძვიან-მეთქი. ილიას სწორედ ასეთი ნაციონალი ბერბიჭაშვილები – სააკაშვილები ჰყავდა. ბერბიჭაშვილები არსად წასულან, მათი სისხლი ისევ აქ არის, არ გამქრალა. ამიტომ, საზოგადოებამ სწორი არჩევანი უნდა გააკეთოს.

**— საკმაოდ ტრაგი-კომიკური სიტუაცია გვაქვს, ყველამ ვიცით ვინ რას აკეთებდა, მაგრამ „ნაციონალები“ მაინც ხელისუფლებაში დაბრუნებაზე საუბრობენ.**

— დღეს „ნაციონალების“ ტრაგი-კომედიას ბურჭულაძის „სახელმწიფო ხალხს“ შეემატა. ესენი ლაპარაკობენ, ივანიშვილმა კი უკვე გადადგა რეალური ნაბიჯები სახელმწიფოს შენებისთვის, მისი სიძლიერისთვის. ადამიანები, რომელბიც ათწლეულების მანძილზე ფარატინა ქაღალდზე მხოლოდ პროგრამების წერით იყვნენ დაკავებულნი, დღესაც პოლიტიკურ ველზე გვევლინებიან და გვიმტკიცებენ, რომ უფრო მაგრები არიან, ვიდრე ბიძინა ივანიშვილი. ტომეულებიც არ ეყოფა იმ საქმეს, ინვესტიციებს რაც ამ ერთმა ადამიანმა განახორციელა. დღეს ხელისუფლება მჩაგვრელი კი არ არის, არამედ თითოეული ადამიანისთვის საქმის შემსრულებელია.

6 გვ.

# სადაც არ უნდა ვიყოთ, თითოეულმა ჩვენგანმა თავდაუზოგავად უნდა იშრომოს, რომ ქვეყანამ კეთილდღეობას მიაღწიოს

← 4 გვ.

— მოგეხსენებათ, რომ განათლება (განსაკუთრებით, პროფესიული) მთავრობის ოთხპუნქტიანი გეგმის და ზოგადად, ქვეყნის პოლიტიკის და ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. მიხარია, რომ განათლების სისტემას სათავეში რეფორმატორული იდეებით სავსე ისეთი ადამიანი უდგას, როგორიც სანდრო ჯეჯელავაა. აქვე გეტყვით, რომ რეფორმების ძირითადი მიმართულებები წარმოდგენილი იქნება ჩვენს წინასაარჩევნო პროგრამაში და ამის შესახებ საზოგადოებას დეტალებში ვაცნობებთ. დარწმუნებული ვარ, რომ წლების შემდეგ, აუცილებლად მივიღებთ მსოფლიოში მოწინავე განათლების სისტემას.

**— სხვათა შორის, „ქართული ოცნება“ ბევრმა გააკრიტიკა იმის გამო, რომ ახალი წევრები საზღვარგარეთ მიღებული განათლების ნიშნით შეარჩია.**

— მე არ ვფიქრობ, რომ „ქართულ ოცნების“ ახალი წევრები მხოლოდ დასავლეთში მიღებული განათლების ნიშნით შეგვარჩიეს. ჩვენი არჩევა მოხდა პროფესიონალიზმის, კვალიფიკაციის, ქვეყნის ერთგულებისა და სიყვარულის კუთხით და არა იმიტომ, რომ ბევრ ჩვენგანს დასავლეთში აქვს მიღებული განათლება. რაც შეეხება ამასთან დაკავშირებით, აზრთა სხვადასხვაობას, ალბათ, ისიც მართალია, ვინც ამბობს, რომ დასავლეთში მიღებული განათლება წარმატებული პოლიტიკოსობისთვის საკმარისი არაა და ისიც, ვინც ამბობს, რომ დასავლეთში მიღებულ განათლებას გარკვეული პლიუსები გააჩნია. ალბათ ყველაზე მისაღები და ადექვატური რაღაც დაბალანსებული პოზიცია იქნებოდა, თუმცა კიდევ ვიმეორებ, არ ვთვლი, რომ ჩვენ მხოლოდ იმ ნიშნით ვართ შერჩეული, რომ დასავლეთში მიღებული განათლება გვაქვს.

**— როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია თუ არა, რომ მომდევნო ოთხი წლის მანძილზე, ჩვენი უმაღლესი განათლების სისტემა ოდნავ მაინც მიუახლოვდეს ევროპულს?**

— ვფიქრობ, რომ ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამო წინა ხელისუფლებები განათლების სისტემას სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ, ისაა, რომ რეფორმას სწრაფი შედეგი არ მოაქვს. შედეგი დგება მრავალი წლის შემდეგ და არა იმავე წუთს და იმავე წელს, როგორც მოსახლეობას უნდა. რეალური და რაფინირებული განათლების სისტემის ჩამოყალიბება რთული და დროში გაწელილი პროცესია, მაგრამ აუცილებლად უნდა დავიწყოთ, რომ მუდმივად პრობლემის წინაშე არ ვიდგეთ. დარწმუნებული ვარ, ქართული საზოგადოება, რომელიც ძალიან ბრძენია, აუცილებლად გაიგებს, რომ განათლების რეფორმა ერთ წელიწადში შედეგს ვერ მოიტანს. დიახ, ამას წლები ჭირდება, თუმცა არსებობს ძალიან დიდი საზოგადოებრივი ინტერესი, რომ ჩვენმა შვილებმა იცხოვრონ ქვეყანაში, სადაც ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა ექნებათ. ვფიქრობ, ოთხი წლის მანძილზე მოვახერხებთ განათლების სისტემის იმგვარად რეფორმირებას, რომ მან გარკვეული პერიოდის შემდეგ, რეალური შედეგები მოგვცეს.

ნელი თორდია.
571 35 36 88



# რა მნიშვნელობა აქვს სიაში ვიქნები თუ არ ვიქნები – მე მაინც იმ საქმეს გავაკეთებ, რასაც აქამდე ვაკეთებდი

← 5 გვ.

დღეს, შურისძიების, ტყვიის სროლის დრო წარსულს ჩაბარდა. ვფიქრობ, სახელმწიფოს ჰყავს უსაფრთხოების სამსახური, რომელსაც პარლამენტი ენდო, მან პრევენციული ღონისძიებები უნდა განახორციელოს. თუ ჩვენთან პროვოკაციები არ ხდება, ეს, ამ სამსახურების დამსახურებაა. როდესაც ლუკა კურტანიძის ტყვიის გასროლაზე მივა საქმე, ჩათვალეთ, რომ იქ არცერთი სახელმწიფო სამსახური თავის დონეზე არ დგას, ან ხელისუფლებამ ვერ შეასრულა თავისი მოვალეობა და საზოგადოებამ თვითონ დაიწყო სამართლის ძიება. ეს აღარაა უკვე სახელმწიფო, ესაა ის რაც ენატრება სააკაშვილს. მას სხვა გამოსავალი არ აქვს. ამიტომ, მე, ლუკა კურტანიძე ასეთ ელემენტებს, რომელთაც ქვეყანაში არეულობა სწადიათ თავის ადგილს მივუჩენ. მინდა ევროპელ კოლეგებს კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვუთხრა – ერთი რამ იცოდნენ, ისეთ შეფასებებს ნუ გააკეთებენ, რომ „ნაცმოძრაობა“ და სააკაშვილი დანარჩენ საქართველოს ანაცვალონ. 9 წლიან რეჟიმს – სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო, ასე ნუ შეაფასებენ. ის რაც ერმა 9 წლის მანძილზე გამოიარა, საკუთარ ტკივილად მიიღონ. გაუპატიურება, ადამიანების დახვრეტა, წამება – ყველაფერი თავიანთ ტკივილად მიიღონ და მერე გააკეთონ ანალიზი. ჩემი გუნდის წევრებს მინდა ვუთხრა: ლუკა კურტანიძე სადაც არ უნდა იყოს – პარლამენტში, აღმასრულებელ ორგანოში თუ საზოგადოების წევრი, ბიძინა ივანიშვილის იდეების განუხორციელებლობას, მის ღალატს არავის ვაპატიებ. ეს ყველამ უნდა იცოდეს. თუ ერთმა ადამიანმა ამდენი შეძლო, ე.ი. ყველამ უნდა შევძლოთ.

**— ლუკა კურტანიძე „ქართული ოცნების“ სიაში თუ არის?**

— არ ვიცი, ვფიქრობ, ცუდი ის არის, რომ ჯერ კიდევ მიდის კონსულტაციები და გაურკვეველია რა იქნება. ახლო მომავალში კონსულტაციები და ჩამოყალიბების პროცესი დასრულდება. რაც საკანონმდებლო ორგანოში ვარ არცერთი წუთი უქმად არ დამიკარგავს – ჩართული ვარ ქვეყნის პოლიტიკაში. ყველა საქმეში იერარქიულობას ვცემ პატივს. ჩვენი პირველი შემფასებელი ფრაქციის ხელმძღვანელი გია ვოლსკია. მეორეც, მნიშვნელოვანია როგორია რეიტინგი, რამდენად პროდუქტიული, აქტიური ვიყავი, და ა.შ. ეს უნდა შეაფასდეს და მერე, პოლიტიკურმა ლიდერებმა გადაწყვიტონ, სად მოიაზრება ლუკა კურტანიძე. ვფიქრობ, ამ საკითხზე, ბატონ ბიძინა ივანიშვილთან კონსულტაციები მექნება. ბატონ ბიძინასგან დიდ ძალას ვპოულობ, მისი შეფასება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მე კი ვაძლევ გუნდს არჩევანს, მაგრამ ისინი რა არჩევანს მაძლევენ, ძალიან მაინტერესებს.

**— ლუკა, ახსენეთ, რომ მრავალი წელია ბრძოლით მოდიხართ და საკუთარი სამშობლოსთვის სიცოცხლესაც არ იშურებთ. თუ სიაში თქვენი ადგილი არ აღმოჩნდება, გული დაგწყდებათ?**

— ზოგადად, გული მწყდება, როცა მთელი ამ ხნის მანძილზე ჩემთვის დამამცირებელი შეფასებები კეთდება – ლუკა კურტანიძე სიაში არ იქნებაო. ლუკა კურტანიძე არცერთ სიაში არ იყო, მე, ყოველთვის ჩემი სამშობლოს სიაში ვიყავი. როგორც კი აზროვნება დავიწყე, ჩემი საქმით, მთელი ცხოვრება სამშობლოს შევწირე თავი – როდესაც მას ძალიან უჭირდა, მისი ცრემლის გამზიარებელი ვიყავი, პირველთაგანი ვიყავი ბრძოლის ჟამს. მაშინ, არცერთ სიაში არ ვიყავი. ამიტომ, ძალიან დამამცირებელია, როცა ამბობენ, ლუკა კურტანიძე სიაში არიქნებაო. ათწლეულების მანძილზე ჩემს საქმეში ლიდერობა არ დამითმია. მერე, პოლიტიკურ მოძრაობაში ვიყავი, სადაც პირველი ვწირავდი სიცოცხლეს. ამას არავის ვამადლი, ამას ჩემი სამშობლოსთვის ვაკეთებდი და არა იმისთვის, რომ ვინმეს სადმე სიაში ჩავეწერე. ეს დამოკიდებულება ცრემლამდე მამცირებს. „რუსთავი2“-ზე აცხადებენ, თუ სიაში მოვხვდი თურმე, სადღაც მეასე ვიქნები. მე არასოდეს ვყოფილვარ მეასე, არც მეათასე ვიქნები. თუ ჩემს სამშობლოს, ერის კაცს დასჭირდება, ამ ბრძოლაში პირველი ვიქნები. ამიტომ, მინდა საზოგადოებას ვთხოვო: „ქართული ოცნების“ სიაში მოვხვდები თუ არა – ასე მოფიქრალ ადამიანად ნუ მიმიჩნევს. ვიმეორებ, ჩემს სამშობლოს და ბიძინა ივანიშვილს თუ დასჭირდა, მათ გვერდით პირველი ვიქნები. ყველგან, სადაც ბრძოლა და სიცოცხლე სასწორზე იყო დასადები, იქ პირველი ვიყავი. არ მინდა მეასედ ყოფნა, ვერ ვიქნები მეასე. მირჩევნია, სოფელში ვიყო პირველი, ვიდრე ქალაქში მეათასე. არ მინდა! საზოგადოებამ მინდა ირწმუნოს, რომ ჩემი სამშობლოს დასაცავად ანგარებით არსდროს მოვქცეულვარ, ნაბიჯი უკან არ გადამიდგამს, სულ პირველი ვიყავი და მუდამ ასე ვიქნები, ულალატო. არც ფულის, არც საუკეთესო ცხოვრების და არაფრის საფასურად ჩემს სამშობლოს, ერს არ დავთმობ. არც აქამდე დამითმია. ცხოვრების ნახევარი გავიარე და ამ ხნის მანძილზე ბოლო არასდროს ვყოფილვარ. ჩემი უმორჩილესი თხოვნაა, ლუკა კურტანიძეს ისეთ ადამიანად ნუ ჩათვლიან, რომელიც სიის გამო რაიმეს დათმობს. არაფერს არ დავთმობ! დღეს, ყველა დავით აღმაშენებელია, მაგრამ მე სამშობლოს სიცოცხლეს მაშინ ვწირავდი, როცა ეს სახიფათო იყო. მეამაყება, რომ ივანიშვილის ჩრდილქვეშ მოვიაზრები და მის იდეას ვერ ვუღალატებ. ვიმეორებ, ვინც ამას გაბედავს, საკადრის პასუხს მიიღებს. მინდა იმ ადამიანებისგან ვინც სამშობლოს ემსახურება ვიგრძნო, რომ ჩვენ ერთნი ვართ. თუ ჩვენ ერთნი არ ვიქნებით, გული დამწყდება. მე, ჩემი საქმით, ათწლეულების მანძილზე დავამტკიცე, რომ ბოლო არასოდეს ვიქნები. ვინც ბოლოსკენ მიბიძგებს, თვითონ აღმოჩნდება ბოლოში. ლუკა კურტანიძე ღირსებას ვერ დათმობს – გჭირდებით – მზად ვარ, არ გჭირდებით – ჩემი გზით და ღირსებით გავაგრძელებ სვლას.

თამარ შველიძე
555 23 28 24





# თქვენ ის კობა დავითაშვილი არ ხართ, ქართველი ხალხი მსოფლიოს ხალხთა სიიდან რომ ამოშალა?





„– გინდათ სიმართლე გითხრათ? მე განაწყენებული ვარ არა ხელისუფლებაზე, არამედ ქართველ ხალხზე, უფრო სწორად, ხალხის არარსებობაზე. ქართველი ხალხი არ არსებობს! არსებობენ ადამიანები, რომლებიც ქართულად საუბრობენ, საქართველოში მუშაობენ, მაგრამ ამ ადამიანებს არ აქვთ განცდა, რომ არის ხალხი!.. მათ რომ უთხრა, ქართველი ხალხი არ ვარგა, 99 პროცენტი დაგეთანხმება, რადგან საკუთარ თავს ამ ხალხის ნაწილად არ აღიქვამს. ჩვენთან არ არსებობს კოლექტიური სოლიდარობა, არც პროფესიული, არც ეროვნული, არც კლასობრივი და, საერთოდ, არანაირი სოლიდარობის განცდა ამ ხალხს არ აქვს. ერთადერთი სოლიდარობის განცდა ამ ხალხს აქვს საკუთარი ოჯახისა და ახლო გარემოცვის მიმართ. სხვა თვალსაზრისით, ადამიანები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, მათ არანაირი ერთსულოვნების განცდა არ აქვთ, აქედან გამომდინარე.

**ქართველი ხალხი არ არსებობს! არსებობენ ადამიანები, რომლებიც ქართულად საუბრობენ, საქართველოში მუშაობენ, მაგრამ ამ ადამიანებს არ აქვთ განცდა, რომ არის ხალხი!..**

ჩემი შეცდომა იყო ის, რომ მეგონა, საქართველოში ხალხი არსებობდა, შევმცდარვარ!..

**– ეს თქვენი განცხადება გამოიწვევს ხალხის აგრესიას, ყველას გაახსენდება გუბაზ სანიკიძის ცნობილი ფრაზა, როცა ქართველი ამომრჩეველი საქონელს შეადარა – „ის ხალხი საქონელია, ვინც სააკაშვილს 20 ლარის გამო ხმას აძლევდაო...“**

– არა, ვინც ამ ინტერვიუს წაიკითხავს, ის თავს ამ ხალხის ნაწილად არ აღიქვამს, რადგან მისთვის „ხალხი“ – ყველა დანარჩენია!.. პარადოქსია, მაგრამ ამ ტიპის განცხადებას არანაირი რეაქცია არ მოჰყოლია და არც მოჰყვება. რაც მთავარია, ეს სიმართლეა, ეს ჩვენი ტრაგედიაა.

**– რატომ ხართ ხალხზე ასე გაბრაზებული, იმიტომ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში ხმა არ მოგცათ?!**

– არა, ბატონო, საპრეზიდენტო არჩევნებზე ხალხმა ხმა რომ არ მომცა და სამი პროცენტიც ვერ მივიღე, ამით გამათავისუფლა იმ წინა ტვირთისგან. ...მე ვთქვი, რომ მინდა ვემსახურო ხალხს, თუ ხალხს სურს ვინმე ემსახუროს, მას უნდა დაუფასო. მე მინდოდა ვყოფილიყავი ხალხის მოჯამაგირე და ჯამაგირი მიმეღო მათ სამსახურში ყოფნისთვის, პატიოსნად მოვქცეულიყავი. გაიხსენეთ, რამდენჯერ მითქვამს მაღალ პოსტებზე უარი, ჯერ სააკაშვილის დროს რამდენჯერ ვყოფილვარ მარტო მე პარლამენტში, როგორც ხალხის ხმის წარმომადგენელი, მაგრამ ამის შედეგად რა მივიღე?!. შედეგად მივიღე ის, რომ ხალხმა მითხრა – არ გვჭირდებიო!..“

ეს არის ფრაგმენტები კობა დავითაშვილის ინტერვიუდან, რომელიც ამასწინათ ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნდა.

მართლაც ძალიან ყოფილა გაბრაზებული ბატონი კობა ქართველ ხალხზე, თუმცა არც ქართველ ხალხს აქვს ნაკლები მიზეზი ძალიან იყოს გაბრაზებული თვით ბატონ კობაზე.

ეს ის კობა დავითაშვილი არ არის, თავის თანამოაზრეებთან ერთად ეროვნება და მამის სახელი რომ ამოგვიშალა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტიდან?

კი, კი, ეს ნამდვილად ის კობაა – ამ დიდი „მამულიშვილური საქმის“ ერთ-ერთი თავგადაკლული ინიციატორი და მებაირახტრე, რომელმაც კბილებით გაიტანა ეს აბსოლუტურად ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი იდეა პარლამენტში, შედეგად კი ის მივიღეთ, რომ მსოფლიოს ხალხთა გრძელ ჩამონათვალში ქართველი ერი ოფიციალურად, იურიდიულად არ არსებობს.

არ გჯერათ, რომ ეს ასეა? დახედეთ, ქართველებო, თქვენს პირადობის მოწმობებს, გადაავლეთ თვალი თქვენს პასპორტებს და დარწმუნდებით, რომ ეროვნების აღმნიშვნელი გრაფა ამ დოკუმენტებში არ არსებობს.

– ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა გაქართველება, ქართულ სამყაროსთან მათ სწრაფ ადაპტაციას შეეწყოს ხელიო, – საიდუმლო ტონით გვეჩურჩულებოდნენ. ამ „პატრიოტული“ პროექტის ავტორები და დაჟინებით მოითხოვდნენ ეროვნებასთან ერთად დოკუმენტებიდან ამოღებულიყო მამის სახელიც.

როგორც გითხარით, ამ „ისტორიული“ და „საეტაპო“ კანონპროექტის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი და რუპორი, ახალგაზრდა რეფორმატორების „სასტავთან“ ერთად, ამ „სასტავის“ აქტიური წევრი კობა დავითაშვილი ბრძანდებოდა.

იმდროინდელი პარლამენტის ბედოვლათობის წყალობით კანონპროექტი კანონად იქცა და, აგერ უკვე ჩვიდმეტი წელია ქართველი, როგორც ეროვნების აღმნიშვნელი სიტყვა საგულდაგულოდ ამოიფხიკა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებიდან.

როგორც ზემოთ ვთქვით, იდეის ავტორები ირწმუნებოდნენ, რომ მათ მიერ შემოთავაზებული ინიციატივა ხელს შეუწყობდა საქართველოს ყველა მოქალაქის, ვინც არ უნდა ყოფილიყო ის ეროვნებით, ზოგადქართულ ღირებულებებთან თანაზიარობას და ინტეგრაციას.

კარგა ხანი გავიდა ამ კანონის მიღებიდან, მაგრამ ვერავინ იტყვის, პროცესები სასიკეთოდ დაიძრაო.

თუ ვინმე დაზარალდა ამ გადაწყვეტილებით, დაზარალდა ისევ ქართველი კაცი, რომელსაც სხვა სამშობლო, გარდა საქართველოსი, არ აქვს და თუ ის საქართველოშიც ვერ იქნება ქართველი, ქართველი ვერ იქნება ვერსად, განსხვავებით სომხისა თუ აზერბაიჯანელისა, რომლებსაც აგერ ორ ნაბიჯზე აქვთ თავიანთი პირველი თუ მეორე სახელმწიფო, ამ,იტომაც მათთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს შენ აქ, საქართველოში, მამის სახელს წაართმევ თუ ეროვნებას ამოუშლი – სომეხი ერი მაინც არსებობს, აზერბაიჯანელი ერი მაინც არსებობს, მაგრამ ამ ქართველის გასაგისი რომ სხვაგან არსადაა, ამას რა ვუყოთ?

ამიტომაც ვამბობთ, ქართველი ერი მსოფლიოს ხალხთა სიაში არ არსებობს – ის დავითაშვილმა და მისნაირებმა საკუთარი ხელით ამოფხიკეს ამ სიიდან.

აი, ეს დიდი „დამსახურება“ გაქვთ, თქვენ, ბატონო კობა, ქართველო ხალხის წინაშე და ასეთი დამსახურების კაცს, რა თქმა უნდა, გაგიკვირდებათ, ქართველ ხალხს მაინცდამაინც რატომ არ ვეხატები გულზეო?

ქართველი ხალხი თქვენი ხელიდან მკვდარია, ბატონო კობა, თქვენი ხელიდან და იმ ქართველების ხელიდანაც, რომლებმაც ამ მავნებლურ და მოღალატურ კანონს მოაწერეს გასახმობი ხელი.

ბატონო კობა, თქვენზე ამბობენ, გვარგადაკეთებული სომეხია და თავისი სომხობა რომ დაემალა, საგვარეულო სასაფლაოდან წინაპართა საფლავის ქვები „აართქლაო“.

ეს ამბავი 15-16 წლის წინათ მსმენია ჭორად და ნამდვილად არ ვიცი, რამდენად შეესაბამება ეს ყველაფერი სინამდვილეს, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ამას რა მნიშვნელობა აქვს – თქვენს სავარაუდო სომხურ წარმომავლობას უფრო მეტი რა უნდა დაეშავებინა ამ ქვეყნისთვის, რაც თქვენმა ქართველობამ დაუშავა?

კობა დავითაშვილს, აი, ასეთი „ღვაწლისა“ და „ამაგის“ კაცს, პრეზიდენტობა უნდოდა და „უმადურმა“ ქართველმა ხალხმა მხარი არ დაუჭირა, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ არც ისე ცუდად არის ქართველი ხალხის საქმე, როგორც პატივცემულ კობას ჰგონია...

**ვახტანგ ხარჩილავა**



# სიმონ კილაძე:
# ტერაქტების ალბათობა საქართველოშიც იზრდება

## გვესაუბრება საერთაშორისო სამართალმცოდნე ბატონი სიმონ კილაძე

**- ახლახან თურქეთში განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით (იქ ყველაფერი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა), ამბობენ, რომ ჩვენს მეზობლად შეიძლება ისეთი მოვლენები დაიწყოს, როგორიც მიმდინარეობს სირიაში, რაც მოხდა ეგვიპტეში და სხვაგან....**

- მოდით, ვიმსჯელოთ: როგორც ვიცით, ეგვიპტეში და სირიაში მომხდარი მოვლენები რელიგიურ ექსტრემიზმად და უფრო უარეს, ისლამურ ტერორიზმადაა შეფასებული. თურქეთის გარდა ჩვენი უშუალო, მოსაზღვრე მეზობლებია აზერბაიჯანი, სომხეთი და რუსეთი, ხოლო რეგიონული თვალსაზრისით, ირანი და უკრაინა. აზერბაიჯანში, მართალია, ბევრი მუსულმანი ცხოვრობს, მაგრამ ჩვენი მეზობელი, თავისი კონსტიტუციის მიხედვით, მაინც სეკულარული სახელმწიფოა, რელიგია სახელმწიფოსაგან ცალკე დგას და იქაური ხელისუფლება ისლამის გაძლიერებას და მის სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანას არ დაუშვებს.

რუსეთი, სომხეთი და უკრაინა, საქართველოს მსგავსად, ქრისტიანული ქვეყნებია. ეს ნიშნავს, რომ ამ ქვეყნებში რაიმე მძლავრი ექსტრემისტულ-ტერორისტული დაჯგუფებების შექმნის ალბათობა, რომლებიც სახელმწიფოს შიგნით დესტაბილიზებას მოაწყობს და მეზობლებსაც დაემუქრება, ნაკლებად სავარაუდოა. რაც შეეხება ირანს, მართალია ირანი მსოფლიოს იშვიათ, თეოკრატიულ ქვეყნებს მიეკუთნება, მაგრამ ირანის ისლამური რესპუბლიკა გმობს ტერორიზმს, ამ ქვეყანაში საკმაოდ მტკიცე ხელისუფლებაა და, აქედან გამომდინარე, თეირანი საზოგადოებაში სისხლიან კონფრონტაციას და სამოქალაქო ომის გაჩაღებას არ დაუშვებს.

დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით, არა მგონია, ჩვენს მეზობლებში სირიისა და ეგვიპტის მსგავსი მოვლენები მოხდეს. რაც შეეხება ტერორისტულ აქტებს - ისეთებს, როგორიც ბოლო ხანებში ევროპის ქვეყნებში ხდება, მე ვიტყოდი, რომ ტერაქტების მოხდენის რისკი ჩვენთანაც და ჩვენს მეზობლებთანაც გაზრდილია. იმედი უნდა გვქონდეს, რომ ხელისუფლება ამ საფრთხეებს და გამოწვევებს ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს.

**- რამდენად დასაშვებად მიიჩნევთ მოსაზრებას, რომ თურქეთის მოვლენებში საკუთრივ ფეთჰულა გიულენის კი არა, საერთოდ, ამერიკის ხელი შეიძლება ერიოს?**

- გამორიცხული არსად არაფერი არ არის, მით უმეტეს, საერთაშორისო პოლიტიკაში. ერთ-ერთი არაოფიციალური ვერსიით, შეერთებული შტატები დაინტერესებული იყო თურქეთის ხელისუფლების შეცვლით და აი, რატომ: ანკარა ხშირად ისეთ ნაბიჯებს დგამდა ხოლმე, რომელიც აშშ-სთვის მიუღებელი იყო მაგალითად, სირიასთან მიმართებით, ქურთებთან დაკავშირებით და საერთოდ, ვაშინგტონს არ მოსწონდა ჯიუტი რეჯეპ ერდოღანის მიერ გატარებული პოლიტიკა. ამერიკა ხედავდა, რომ თურქეთი ნატოს ყველაზე პრობლემური, თავნება წევრია. ამერიკას არ სიამოვნებს, რომ ნატოს წევრ ქვეყანაში ისლამი ძლიერდება. მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ არმია თურქეთში ჯერ კიდევ პრეზიდენტ მუსტაფა ქემალის პერიოდიდან სეკულარიზმისა და ლაიზიზმის პრინციპების, ანუ საერო სახელმწიფო წყობის დამცველია.

არმიის უმაღლესი ჩინის ოფიცრები, ტრადიციულად, სწავლა-განათლებას აშშ-სა და ნატოს ევროპული ქვეყნების სამხედრო სასწავლებლებში ეუფლებოდნენ. ესე იგი, აშშ-ის მნიშვნელოვან დასაყრდენს თურქეთში არმია წარმოადგენდა. საყურადღებო ფაქტია, რომ ამერიკას თურქეთის ტერიტორიაზე, ქალაქ ადანასთან ახლოს „ინჯირლიკის“ სამხედრო-საჰაერო ბაზა აქვს ერთობლივი სარგებლობის უფლებით. ნიშანდობლივია, რომ სამხედრო გადატრიალების მონაწილე თურქი ოფიცრებიდან ბევრი „ინჯირლიკის“ სამხედრო ბაზაზე მუშაობდა, მათ შორის, ამ ობიექტის უფროსი, თურქი გენერალი ბექირ ერჯან ვანიც, რომელიც ამჟამად დაპატიმრებულია.



იკვეთება საინტერესო კონტურები: თურქეთში აშშ-ის ელჩი ჯონ ბასი პუტჩის წინა დღეებში ზედიზედ რამდენჯერმე შეხვდა ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალს აკინ ოზთურქს.

როგორც არაოფიციალური ინფორმაციებიდან ირკვევა, პუტჩისტებს აშშ-ის სამხედრო და დიპლომატიური უწყებებიდან სერიოზული გარანტიები ჰქონდათ მიღებული: თუ გადატრიალება ჩაიშლებოდა, მისი მონაწილეები თავშესაფარს აშშ-ში მიიღებდნენ.

ამერიკელებმა ვერ გათვალეს, რომ რეჯეპ ერდოღანის მომხრე თურქები მზად იყვნენ, ბაზა შტურმით აეღოთ, მათ ამ უმნიშვნელოვანეს სამხედრო ობიექტს დენიც კი გამოურთეს.

ბაზაზე კი წყალბადის ბომბები ინახება.

ამის შემდეგ ვაშინგტონს სხვა გზა არ დარჩა და, როგორც იტყვიან, კბილების კრაჭუნით დასთანხმდა, ხელი არ შეეშალა დაჭერებისთვის...

მეორე ვერსიის თანახმად, რომელიც პირველს უკავშირდება, ამერიკელებმა მართლაც ისარგებლეს ფეთჰულაჰ გიულენის ავტორიტეტით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ფეთჰულა გიულენი, მართალია, რელიგიური მოღვაწეა, მაგრამ იგი შედარებით ზომიერ ისლამს ქადაგებს. მიიჩნევს, რომ ისლამი და დემოკრატია ერთმანეთთან შეთავსებადია. იგი თვლის, რომ თურქეთი ევროკავშირის წევრი უნდა იყოს, გმობს ტერორიზმს და ძალადობას. ასე რომ, შესაძლოა, ამერიკელებმა იფიქრეს - თუ თურქეთის ისლამიზაცია გარდაუვალია, მაშინ ჩვენთვის არაპროგნიზირებად და ჯიუტ ისლამისტ რეჯეპ ერდოღანს ისევ ზომიერი და პროგნოზირებადი, ცივილიზებული ისლამისტი ფეთჰულა გიულენი ჯობიაო. სხვათა შორის, 2013 წლამდე რეჯეპ ერდოღანი და ფეთჰულა გიულენი თანამოზრეები იყვნენ, მაგრამ შემდეგ ისინი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ - ფეთჰულამ რეჯეპი კორუფციაში ამხილა, რეჯეპმა კი ყოფილ მეგობარს გადატრიალების მცდელობა დააბრალა და გიულენისტების სტრუქტურებს „სახელმწიფო სახელმწიფოში“ (ანუ „პარალელური სახელმწიფო“) უწოდა.

მოკლედ, თურქული პოლიტიკა მრავალუცნობიან განტოლებასავით არის. გავიხსენოთ ოსმალეთის ტრადიციული „აღმოსავლური დიპლომატია“: თურქები ერთს ამბობენ, მეორეს ფიქრობენ და მესამეს აკეთებენ და რადგან ასეთი არასტანდარტული დიპლომატია ამერიკელებს არ აწყობთ, ვაშინგტონის ხელი თურქეთის მოვლენებში გამორიცხული არ არის...

**- თურქეთი რუსული პოლიტიკისკენ გადაიხარა. სექტემბერში ერდოღანი პუტინთან შეხვედრას გეგმავს. ეს ხომ არ ნიშნავს, რომ თურქეთი უარს ამბობს ნატოს ვალდებულებების შესრულებაზე? ანუ ორ სკამზე ვერ დაჯდება. სავარაუდოდ, ეს ფაქტი გეოპოლიტიკურ „წესრიგს“ შეცვლის რეგიონში. რა გახდა ამის მიზეზი?**

- საერთაშორისო პოლიტიკაში ხშირად ხდება მოულოდნელი, ან ფარულად დაგეგმილი მოვლენები, რომლის შემდეგ ამა თუ იმ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური კურსის კორექტირება ხდება. ჩვენ თვითმხილველები ვართ აშშ-თურქეთის, თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობში გაჩენილი დიდი პრობლემებისა. უკვე მერამდენედ იცვლება თურქეთისა და რუსეთის, თურქეთ-ირანის ურთიერთდამოკიდებულება.

დღეს თურქეთი კვლავ უბრუნდება რუსეთთან მეტ-ნაკლებად კეთილმეზობლურ კურსს - მხედველობაში მაქვს ბოდიშის მოხდა სირიაში მომხდარი საჰაერო ინციდენტის გამო და ის განცხადება, რომ რუსეთის თვითმფრინავი სწორედ გიულენის მომხრე სამხედროებმა ჩამოაგდეს და ამით პრეზიდენტი რეჯეპ ერდოღანი ფაქტის წინაშე დააყენეს. როგორც ჩანს, თურქეთის ლიდერმა დაინახა ამერიკელებისა და ევროპელების პოზიცია, რომლებმაც „კონტროლიდან გამოსულ“ ანკარაზე ზეწოლა განიზრახეს და ერდოღანმაც იმედის მზერა კვლავ რუსეთს მიაპყრო.

აქვე შევნიშნავ, რომ ანკარისა და მოსკოვის კვლავ დაახლოება ეკონომიკურმა პრობლემებმაც

# რატომ სთხოვს კაცებს „ქალწულობის“ დამადასტურებელ დოკუმენტს სევდია უგრეხელიძე?

საარჩევნო მარათონი ძალაში შედის და პოლიტიკური პარტიებიც და მათი წარმომადგენელბიც კიდევ უფრო გააქტიურდნენ.

მაგალითად, თბილისის საკრებულოს დეპუტატი „ნაცმოძრაობიდან“ ქალბატონი სევდია უგრეხელიძე, ასე ვთქვათ, ხალხში გავიდა.

გავიდა და პირველი, რაც „გააკეთა“, სამართლადამცავებს გადასცა ჩვეულებრივი, რიგითი მოქალაქე დასაჭერად!

სხვას, პრინციპში, არც მოველოდით მისგან.

ჯერ არ მოსულან და უკვე დაჭერებით დაიწყეს!

ვინმე ბატონი ხაფავა ხულიგნობის მუხლით დააკავეს საარჩევნო კანდიდატისთვის სიმართლის თქმისთვის. სევდია უგრეხელიძე კი ციხიდან სასწაულებრივად თავდახსნილ მამაკაცებს „ქალწულობის“ დამადასტურებელ დოკუმენტაციას სთხოვს და საარჩევნო პროცესის „კორცხელიზაციის“ „ეშინია“.

Kკორცხელი რა მოსატანია, ქალბატონო სევდიავ და მთელო თუ მარტივ მამრავლებად დაშლილო ნაცებო. კარგად გვახსოვს, ყოველი არჩევნების წინ 2003-დან მოყოლებული, თქვენი თარეში, დიახ, თქვენი უმოწყალო თარეში მთასა და ბარში ხელში ჯოხებით, ქვებით, დუბინკებით და ავტომატებითაც, ხალხის დაშინება და დატერორება ხან ოც ლარად ხმების ყიდვა, ხან ორ კილო ბრინჯად. K

კაცმა რომ თქვას, მეტი არც ღირხართ.

ჩვენს ბრძენ თანამემაულეებს, დიახაც, ოც ლარად უღირდით ყოველთვის და ახლა რაც უნდა მეტი თანხა შესთავაზოთ, უკვე აღარავის სჭირდებით.

სევდია უგრეხელიძე ბევრს გამსახურდიას მომხრეობიდან ახსოვს, მაგრამ, როგორც ჩანს, თვითონ ქალბატონს არ ახსოვს, საქართველოს დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და ქართველების კარგად ყოფნისთვის რომ იბრძოდა გამსახურდია და მკვლელის, უზნეო, თახსირი მიშას ნაშობ პარტიას ექომაგება.

ვერ გაიგეს ნაცებმა, რომ მკვდრის აღდგინება მარტო ღმერთს შეუძლია, ხოლო ღმერთი მაგათნაირ ურჯულოებთან და ბოროტის მსახურებთან არ და ვერ იქნება.

შთამომავლობას გადავცემთ თქვენს ნაკეთებ საქმეებს და ამიტომაც, ისტორიის ვერც ერთ მონაკვეთში თქვენ ველარ მოხვალთ ხელისუფლებაში. ვერ აღდგება მკვდრეთით „ნაცმოძრაობა“!

რაც შეეხება პორტირებას და ა.შ. ვირეშმაკურ ფაქტებს და მოვლენებს.

გველი ტყავს იცვლის გარკვეულ პერიოდში, მაგრამ კვლავ გველად რჩება და შხამიც უორკეცდება.



„ოცნებაში“ თუ სხვაგან გადანაცვლებულო, პორტირებულო თუ იაფფასიანო იმპორტირებულ-ინპლანტირებულო გაოცნებებულო ნაცებო, როგორი სახეც უნდა მიიღოთ, როგორადაც უნდა გაელაქუც-გამოელაქუცოთ ქართველ ამომრჩეველს და რანაირი მაქინაციითაც უნდა მიიღოთ ხმები და ადგილები სასურველ სკამებზე, არა აქვს თქვენი ნდობა არავის. 9-წლიანი სისხლის და სიბილწის სუნით ყარხართ და ამ სუნს ვერც პარლამენტში მოიშორებთ და ვერც საიქიოში.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

---

←

განაპირობა - თურქეთმა მძაფრად იგრძნო, თუ რა დიდი შემოსავლები დაკარგა რუსეთთან დაპირისპირებით.

რაც შეეხება თქვენს კითხვას ნატოში თურქეთის წევრობასთან დაკავშირებით გაჩენილი ეჭვების თაობაზე, გიპასუხებთ: ალიანსიდან ანკარის გასვლაზე საუბარი ნაადრევია. მართალია, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ კი თქვა, შესაძლოა, თურქეთს ნატოს წევრობა შეუჩერდესო, მაგრამ ეს, როგორც ჩანს, ცხელ გულზე განაცხადა - იურიდიულად ამის მექანიზმი არ არსებობს. საერთოდ კი, პერსპექტივაში, ალბათ, ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში ანკარისადმი ნდობის დონე მნიშვნელოვნად შემცირდება და თუ ანკარა-ბრიუსელს შორის ნაპრალი გაღრმავდება, დაუდგრომელი რეჯეპ ერდოღანისგან ყველაფერი მოსალოდნელია მოსკოვის, თეირანის, ბაქოს, პეკინისა და სხვა დედაქალაქების თანადგომით. გასათვალისწინებელია თურქეთის დადებითი პოზიცია შანხაის ორგანიზაციასა და ევრაზიული კავშირისადმი, რომლებშიც რუსეთი და ჩინეთი დომინირებენ... ამრიგად, ჩვენ მოწმენი ვართ მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ძვრებისა, რომლებიც უახლოეს მომავალში, გვინდა თუ არ გვინდა, ზემოთ ნახსენები რეალიების გამო მართლაც შეცვლის რეგიონში „დღის წესრიგს“ და, შესაბამისად, საქართველოზე დიდ გავლენას მოახდენს.

**- ნიცაში მომხდარ ტერაქტს მიუნხენის ტრაგედია მოჰყვა. ახლა ხელს ყველა ისლამისტებისკენ იშვერს, სინამდვილე ზუსტად არ ვიცით, მაგრამ ამბობენ, მიუნხენში მომხდარ უბედურებაში გერმანელი ნეოფაშისტებიც არიან გარეულიო. ახალი მსოფლიო წესრიგისკენ მივდივართ თუ შეშლილი მსოფლიოსკენ?**

— მოდით, ამ ეტაპზე შორს მიმავალ დასკვნებს ნუ გავაკეთებთ. თავისთავად, რასაკვირველია, ტერორისტული აქტები მკაცრად დასაგმობია და გმობენ კიდევაც. ფაქტია ისიც, რომ აშშ-სა და ევროპის სახელმწიფოებში მომხდარ ტერაქტებში ისლამისტების ხელიც ურევია. მე რაიმე ახალს არ აღმოვაჩენ, თუ ვიტყვი, რომ ისლამისტ-კამიკაძეების მომრავლება ახლო აღმოსავლეთში განვითარებულმა პროცესებმაც გამოიწვია. ევროპაში გაქცეულ ასეულ ათასობით მიგრანტს ექსტრემისტები და ტერორისტებიც თან გაჰყვნენ. ევროპელებმა, პოლიტკორექტულობის პრინციპით, ლტოლვილთა დიდი ნაწილი მიიღეს და დააბინავეს, მაგრამ, იმავდროულად, დაივიწყეს სემუელ ჰანთინგტონის თეორია „ცივილიზაციათა შეჯახების“ თაობაზე, რომელიც ერთობ აქტუალური გახდა ბოლო მოვლენების ფონზე.

რაც შეეხება მიუნჰენში მომხდარ მასობრივ მკვლელობას, გერმანელმა პოლიციელებმა მასში ისლამური ექსტრემიზმის კვალი ვერ აღმოაჩინეს. მართალია, 18 წლის ახალგაზრდა წარმოშობით ირანელი იყო, მაგრამ გერმანიაში დაბადებულ-გაზრდილი. როგორც გერმანული მედია იუწყება, მის მიერ ჩადენილი დანაშაული უფრო მეტად ნორვეგიელი ანდერს ბრეივიკის მოქმედებას ჰგავს, იგი ფსიქიურად გაუწონასწორებელიაო. საერთოდ კი, ჩემი აზრით, რადგანაც გერმანიაში ძალიან ბევრი ახლო აღმოსავლელი მიგრანტია შესული, მათ შორის კი, ალბათ, რელიგიური ფანატიკოსებიც არიან, ეს ფაქტორი ტერორისტული აქტების რისკს ზრდის.



მსოფლიოში ისეთი პროცესები მიდის, ისეთი შემაძრწუნებელი და შემზარავი ფაქტები ხდება, რომ ძალაუნებურად იფიქრებ - საით მიდის კაცობრიობა? თუმცა მსოფლიოს ისტორიაში მსგავსი მოვლენები ადრეც მომხდარა, გნებავთ - საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდი ავიღოთ, რომლის შემდეგაც სისხლიანი კონფლიქტების კასკადი წარმოიქმნა, ან იგივე აშშ-ის ცნობილი „11 სექტემბრის ტერაქტები“, რომელმაც მსოფლიო დაზაფრა... თუმცა შემდეგ ვითარება კვლავ მეტ-ნაკლებად სტაბილური ხდებოდა. ნათქვამია, ქაოსის შემდეგ წესრიგი იქმნებაო. შეიძლება გადაჭარბებულია, მაგრამ მასში სიმართლის მარცვალი, ალბათ, არის.

**- ცივილიზაციათა შეჯახების თეორია ახსენეთ. კონფლიქტები, რომელიც ხან ევროპის შუაგულში იფეთქებს, ხან ამერიკის კონტინენტზე - ცივილიზაციათა დაპირისპირება ხომ არ არის? თუ ასეა, საითკენ გადაიხრება სავარაუდოდ სასწორი - რომელი ცივილიზაციისკენ?**

- ამერიკელი სოციოლოგი და პოლიტოლოგი, აწ გარდაცვლილი სემუელ ჰანთინგტონი 1996 წელს გამოცემულ თავის ცნობილ წიგნში „ცივილიზაციათა შეჯახება“ რამდენიმე ცივილიზაციას გამოყოფს - დასავლურს, ისლამურს, მართლმადიდებლურს, იაპონურს და ა.შ. ჰანთინგტონის მტკიცებით, ცივილიზაციების გეოგრაფიული მეზობლობა ხშირად იწვევს მათ შორის დაპირისპირებას და კონფლიქტებსაც კი. ისლამური ცივილიზაცია, სხვადასხვა სპეციფიკის გამო, ეწინააღმდეგება დასავლურს. ამ ეტაპზე ჩვენ ვხედავთ დასავლური და ისლამური ცივილიზაციების შეჯახების ამსახველ პროცესს - ექსტრემიზმის, რელიგიური ფანატიზმის, ტერორისტული აქტების სახით. ეს ყველაფერი მეტ-ნაკლებად სემუელ ჰანთინგტონის თეორიაში ჯდება. მე დავამატებდი, რომ დასავლური და ისლამური ცივილიზაციების დაპირისპირება ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან იწყება.

ვერავინ ვერ განსაზღვრავს, საით გადაიხრება სასწორი. ისტორიული კუთხით თუ შევხედავთ, ეს დაპირისპირება ხანგრძლივია და ბოლო არ უჩანს. პასიურ პერიოდებს აქტიური პერიოდები ცვლის. არადა, ეს კონფლიქტები შეიძლებოდა წინასწარ ყოფილიყო პროგნოზირებული, ცივილიზაციების განვითარებისა და მათი ურთიერთქმედების ლოგიკიდან გამომდინარე.

ვფიქრობ, დასავლეთმა უფრო ფრთხილად უნდა შეხედოს ისლამურ სამყაროში მიმდინარე პროცესებს, მეტი პრინციპულობა და ერთიანობა უნდა გამოიჩინოს რელიგიური ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# მსოფლიო დენთის კასრზე

## „საერთო გაზეთის“ სტუმარია პოლიტოლოგი თამარ კიკნაძე, რომელსაც მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შეფასება ვთხოვეთ



- პირველ რიგში, ბუნებრივია, ჩვენს ახლო მეზობელსა და პარტნიორ თურქეთში განვითარებულ პროცესებს უნდა შევეხოთ. მოგეხსენებათ, პრეზიდენტ რეჯებ ტაიპ ერდოღანმა სამხედრო გადატრიალების მცდელობის ინსპირირებაში მოძრაობა „ჰიზმატის“ ლიდერს ფეთჰულა გიულენს დასდო ბრალი. არადა ამ უკანასკნელს ერდოღანის ხელისუფლებაში მოსვლაში დიდი წვლილი მიუძღვის. მათ თავიდან ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, „ჰიზმათს“, როგორც პარლამენტში, ისე მთავრობაში ჰყავდა თავისი წარმომადგენლები, რომელთაც საკვანძო თანამდებობები ეკავათ. მოგვიანებით ერდოღანსა და გიულენს შორის განხეთქილება მოხდა, 1990 წელს გიულენი ამერიკაში გაემგზავრა და წლებია პენსილვანიის შტატში ცხოვრობს. „ჰიზმატის“ მიმდევრები, ვისაც მე



შევხვედრივარ სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები არიან. აშშ-ში შევხვედრივარ და მისაუბრია, მაგალითად, თურქული დიასპორას მდიდარ წარმომადგენლებთან„ ისინი უდიდესი პატივს სცემენ გიულენს და ნებაყოფილობით ურიცხავენ „ჰიზმატს“ სოლიდურ თანხებს. ერდოღანი კარიერის დასაწყისში, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პოლიტიკოსი იყო, თურქეთის სწრაფი ეკონომიკური აღმავლობა სწორედ მისი პრემიერ-მინისტრობის დროს დაიწყო, ამიტომ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. როგორც „ჰიზმატის“ წევრებმა ამიხსნეს, ერდოღანსა და გიულენს შორის განხეთქილება იმ მიზეზის გამო მოხდა, რომ ერდოღანი კორუფციულ გარიგებებში აღმოჩნდა ჩათრეული და ქვეყნის საწინააღმდეგო ქმედებები დაიწყო. ამ დაპირისპირების შემდეგ, ძალიან ბევრი თურქი ბიზნესმენი და მეცნიერი წავიდა ემიგრაციაში, მათ შორის აშშ-ში, რომლებსაც მედია საშუალებებზე წვდომა აქვს. და მსხვილ ბიზნესებს ფლობენ. ისინი გავლენიანი ხალხია, მეგობრობენ ამერიკელ სენატორებსა და კონგრესმენებთან. ერთი სიტყვით, აშშ ტყუილად არ შეიფარებდა გიულენს. სამხედრო გადატრიალების მცდელობის შემდეგ, მოვისმინეთ ერდოღანის რადიკალური, ანტიამერიკული განცხადება, რომ ის ქვეყანა ვინც მათ მტერს იფარებს, მათი მეგობარი არ არის, პრაქტიკულ ქმედებაზეც გადავიდნენ, დენი გაუთიშეს თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ნატოს სამხედრო ბაზას და მისი ხელმძღვანელი გენერალიც დააპატიმრეს. აშშ-ის სახელმწიფო მდივანის ჯონ კერის და თეთრი სახლის პრესმდივნის საპასუხო განცხადებებს ლაიტმოტივად გასდევს, რომ ისინი მხარს უჭერენ თურქეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებას, გმობენ გადატრიალებას და ელოდებიან თურქეთის ხელისუფლების ოფიციალურ მიმართვას გიულენის ექსტრადიციის შესახებ. ოღონდ, ამერიკის უშუალო მეთვალყურეობით უნდა ჩატარდეს გამოძიება და თუ დადასტურდება გიულენის კავშირი სავარაუდო გადატრიალებასთან, ისინი მზად არიან გიულენის ექსტრადიციისთვის. მოგეხსენებათ, ამჟამად თურქეთში ძალიან მძიმე ვითარებაა, უამრავი ადამიანია დაჭერილი თუ სახელმწიფო სტრუქტურებიდან და სასწავლო დაწესებულებებიდან დათხოვნილი. ძალზე საყურადღებოა, რომ პროფესორ-მასწავლებლებს ქვეყნის დატოვება აეკრძალათ, ვინც ქვეყნის გარეთაა, მათაც დაბრუნებას სთხოვენ, საუბარია სიკვდილით დასჯის აღდგენაზეც, სტამბოლის მერმა ძალზე მძიმე განცხადება გააკეთა, რომ სასაფლაოს გახსნიან, სადაც ღალატში ბრალდებულ ადამიანებს დაკრძალავენ და ეს ადამიანები საყოველთაო სიძულვილის საგანი გახდებიან. ბუნებრივია, თურქეთში მიმდინარე მასობრივი რეპრესიები დასავლური საზოგადოების დიდ შეშფოთებას იწვევს, განცხადებები გააკეთეს გერმანიის, დანიის, კანადის საგარეო საქმეთა მინისტრებმა, მათ ერდოღანს მოუწოდეს, რომ საგანგებო მდგომარეობა დროებითი სახე ჰქონდეს და არ დაირღვეს ადამიანის უფლებები. ჩემი აზრით, თურქეთში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ძალზე უარყოფითად იმოქმედებს, როგორც ქვეყნის დასავლურ სამყაროსთან ურთიერთობაზე, ისე მის ეკონომიკურ მდგომარეობაზეც, რადგან ევროკავშირია მათი ყველაზე მსხვილი პარტნიორი. ერდოღანმა გაცილებით ადრე, ურთიერთობა გაიფუჭა რუსეთის პრეზიდენტთან, თუმცა მერე ბოდიში მოიხადა. ერდოღანის განცხადებით, ის თურქი მფრინავი, რომელმაც გასულ წელს რუსული სამხედრო თვითმფრინავი ჩამოაგდო, „ჰიზმატის“ წევრია, თუმცა რამდენად შეეფერება სიმართლეს ეს ინფორმაცია, დანამდვილებით ვერავინ იტყვის. ფაქტია, თურქეთში „კუდიანებზე ნადირობა“ მიმდინარეობს და ძალიან მძიმე ვითარებაა შექმნილი, რასაც დიდი შეშფოთებით ადევნებენ თვალს საქართველოში მყოფი თურქეთის მოქალაქეებიც.

**- ქალბატონო თამარ, რა გავლენას მოახდენს თურქეთში მიმდინარე მოვლენები საქართველოზე და რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ის პოზიცია, რომ პრეზიდენტ ერდოღანის მიერ იყო პროვოცირებული არშემდგარი სამხედრო გადატრიალება?**

- ბუნებრივია, ჩვენმა ხელისუფლებამ უნდა დააფიქსიროს თავისი მხარდაჭერა თურქეთის ოფიციალური ხელისუფლების მიმართ, მაგრამ ვფიქრობ, პრემიერ-მინისტრი კვირიკაშვილი ასე ჩქარა არ უნდა წასულიყო თურქეთში ვიზიტით, რა სასწრაფო იყო? დაგვეცადა როგორ განვითარდებოდა მოვლენები, თუმცა შეიძლება ეს ერთგვარი მხარდაჭერაც იყო პრეზიდენტ ერდოღანის მიმართ, შეიძლება პრემიერ კვირიკაშვილს გარკვეული მისია ჰქონდა, დავალება ჰქონდა გარკვეული ძალებისგან, მაგრამ რახან შიდა ინფორმაცია არ გვაქვს, გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით. თურქეთის ელჩის ჩვენს განათლების სამინისტროში ვიზიტის შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ საუბარი შეეხებოდა „ჩაღლარის“ ქსელს, რომელიც გიულენის სახელს უკავშირდება, საქართველოში მოქმედი სასწავლებლების დახურვას, თუმცა განათლების სამინისტრომ არ დაადასტურა, სულ სხვა საკითხებზე გვქონდა საუბარიო. მოგეხსენებათ, ჩვენ დასავლურ სამყაროსთან ვართ ასოცირებული, აქედან გამომდინარე, ჩვენი ხელისუფლება მათ განწყობასა და რეკომენდაციებს ყოველთვის ანგარიშს უწევს და ალბათ ამ ყველაფრის გათვალისწინებით მოხდება საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ „ჩაღლარის“ სასწავლო დაწესებულებები დაიხურა, უამრავი ქართველი, როგორც პროფესორ-მასწავლებლები, ისე ტექნიკური პერსონალი დარჩება უსამსახუროდ, რომლებსაც კარგი ანაზღაურება და სამუშაო პირობები აქვთ. პრობლემა შეექმნებათ ამ სასწავლებლების სტუდენტებსაც, რომელთაც თვითრეალიზების, საზღვარგარეთ გამგზავრების კარგი საშუალება ჰქონდათ. რაც შეეხება თქვენი კითხვის მეორე ნაწილს, ჩვენ დანამდვილებით ვერ ვისაუბრებთ ერდოღანის როლზე, უბრალოდ, განცხადებები გაკეთდა მთელი რიგი დასავლელი ექსპერტებისა და პოლიტიკოსების მხრიდან, რომ სავარაუდოდ შესაძლებელი იყო ერდოღანს მოეხდინა სამხედრო გადატრიალების პროვოცირება. უძველესი რომაული სამართლიდან ისმება კითხვა, ვინ რჩება მოგებული მომხდარისგან, როგორც ვხედავთ, ერდოღანს არც კი დაესიზმრებოდა პოლიტიკურ ოპონენტებთან ანგარიშსწორების ისეთი ხელსაყრელი პირობები, როგორც ახლა აქვს. „ჰიზმატის“ წევრები იმდენად იდეური ხალხია, რომ მათ ფიზიკურად თუ გაანადგურებენ, თორემ სხვა გზით მათი განადგურება შეუძლებელია. ხსენებული მოძრაობა შემადგენლობაში, რამდენიმე მილიონ ადამიანს ითვლის, რომლებიც საკმაოდ სერიოზულ „ამინდს“ ქმნიან თვითონ თურქეთში. უამრავი ადამიანია დაჭერილი, საუბარია მათ სიკვდილით დასჯაზე, რაც პოლიტიკური ოპოზიციის გასანეიტრალებლად საუკეთესო პირობას ქმნის. გიულენმაც ისაუბრა, რომ მას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია გადატრიალების მცდელობაში და ეს პროვოცირებულია თურქეთის მოქმედი ხელისუფლების მიერ. ის თავდაპირველად აცხადებდა, რომ ექსტრადირებისთვის მზად იყო, თუმცა მოგვიანებით აშშ-ის ხელისუფლებას მოუწოდა, რომ ნუ განახორციელებენ მის ექსტრადიციას, რადგან უდანაშაულოა და არასდროს წავიდოდა სისხლისღვრაზე.



საერთოდ მთელს მსოფლიოში შექმნილი უმძიმესი ვითარება, არეულობა არამარტო თურქეთში, არამედ სომხეთშიც, დღე არ გავა, რომ ტერორისტული აქტი არ მოხდეს ევროპასა და აზიაში, მსოფლიო არ არის პროგნოზირებადი, რადგან უამრავი შიდა დინებებია, რომელიც ღიად არ ჩანს. ეს ყველაფერი გამოწვეულია იმ ფინანსური პრობლემებით, რომლებიც მსხვილ ფინანსურ კლანებს აქვთ, ამიტომაც ხდება აფეთქებები სხვადასხვა წერტილებში, რისი მსხვერპლიც მშვიდობიანი მოსახლეობაა არსებობს სხვადასხვა პროგნოზებიც, მაგალითად, თუ აშშ-ის ხელისუფლების სათავეში დონალდ ტრამპი მოვიდა, რადიკალურ ცვლილებებს უნდა ველოდოთ, ექსპერტების ვარაუდით, ამ შემთხვევაში უნდა ვისაუბროთ არა გლობალიზაციაზე, არამედ ე.წ. რეგიონალიზაციაზე, იქნებიან რეგიონალური ლიდერები, ქვეყნებიც გარკვეულწილად მათი გავლენის ქვეშ მოხვდებიან და მივიღებთ მრავალპოლუსიან მსოფლიოს, რაც გარკვეულწილად თამაშის წესებს ცვლის სიმშვიდის წიმაპირობაა. ტრამპი ფინანსისტი არ არის, იგი მშენებელია, ანუ ადამიანი, რომელიც რაღაცას ქმნის, ფინანსისტებისგან განსხვავებით, რომლებიც ფულს ჰაერიდან აკეთებენ. როგორც ჩანს, მის უკან საკმაოდ ძლიერი ლობი დგას. ვერავინ იფიქრებდა, რომ ადამიანი, რომელიც ასეთ ოდიოზურად გვეჩვენებოდა, რესპუბლიკური პარტიის უპირობო ლიდერი გახდებოდა. ხომ ხედავთ, როგორ ჩამოიტოვა მან თავისი კონკურენტები. რამდენიმე თვის წინ აშშ-ში ვიყავი, ერთ-ერთმა ამერიკელმა, რომე-



ლიც ჰიუსტონიდან ნიუ-იორკისკენ ჩემთან ერთად მგზავრობდა, ასეთი რამ მითხრა, ტრამპი ის ადამიანი, რომელიც უბრალო ამერიკელების სურვილებს გამოხატავს, მათსავით აზროვნებს, რადგან საქმიანი კაცია, რამდენჯერმე ძალიან ცუდი მდგომარეობიდან გამოსვლა და ფინანსური წარმატების მიღწევა შეძლოო. იგი ამიტომ მოწონს ამერიკელების უმეტესობას, თუმცა არის ხალხი, რომელთათვისაც იგი კატეგორიულად მიუღებელია, ამიტომაც იყო მის წინააღმდეგ მასობრივი გამოსვლები, ქვებისა და ბოთლების სროლა. თუ ჰილარი კლინტონი გახდა პრეზიდენტი, რომელიც ფინანსური კლანების წარმომადგენელია, ფინანსური პრობლემები კვლავ გაგრძელდება და ალბათ, სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბება. მთელი მსოფლიო დიდი მოლოდინით შეჰყურებს, როგორ დამთავრდება ამერიკაში საპრეზიდენტო არჩევნები. დღევანდელ გლობალიზებულ სამყაროში პატარა საქართველოც ძალზე დამოკიდებულია, თუ რა ხდება უოლსტრიტზე. როგორ შეიძლება ევროპაში მიმდინარე პროცესების იგნორირება, ჩვენი ექსპერტები ამ თემაზე ან საერთოდ არ საუბრობენ, ანდა სრულიად საპირისპირო ანალიზს აკეთებენ. თურმე ინგლისმა ძალიან წააგო ევროკავშირიდან გასვლით, რადგან ის ვერ მიიღებს თავისუფალ ვაჭრობაში მონაწილეობას და ა.შ. არადა პირიქით არის, ინგლისის ევროკავშირიდან გასვლის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ის გახდა, რომ მას არ უნდა თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმში მონაწილეობა. სხვათა შორის, საფრანგეთის პრეზიდენტმაც განაცხადა, თუ ყველა ქვეყნის მიერ არ მოხდება ხსენებული რეჟიმის შესახებ ხელშეკრულების რატიფიცირება, იგი არ ამოქმედდებაო, ჩათვალეთ, რომ არც ამოქმედდება. რამდენიმე წლის წინ, ამგვარი ვაჭრობის წინააღმდეგი წავიდა თვით ინგლისის დედოფალი, რადგან წამგებიანია. თავისუფალი ვაჭრობის შემთხვევაში, ევროპა ფაქტობრივად, ნახევრად კოლონიურ მდგომარეობაში გადადის, ამიტომ დაიწყო შიდა პროცესები და თვით ევროპული ლიტის წინააღმდეგობა.. კაპიტალიზმი ექსპანსიურია, დღეს ბაზრები ათვისებულია, ექსპანსიის საშუალება აღარ არის, ამიტომაც არის კრიზისი. ამერიკელები ახლა ევროპელი პარტნიორების ბაზრების ათვისებაზე გადავიდნენ, ევროპისთვის. უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების ერთადერთი გზა, შიდა დეზინტეგრაციული პროცესებია, ასე რომ, ევროპაშიც მთელი რიგი ცვლილებები იქნება. აქვე დავამატებდი, როდესაც ოფშორულ ზონებთან დაკავშირებით ინფორმაციები გამოქვეყნდა, ეს დიდ



წილად ბრიტანელებს შეეხებოდათ, არცერთი არ იყო ამერიკელი ბიზნესმენი, რაც იმაზე მიანიშნებს, ეს ყველაფერი ინგლისის წინააღმდეგ იყო მიმართული. მათ სულ რომ არ დაკარგონ ეს ფინანსები, ევროკავშირიდან გამოვლენ და რაღაც მაინც შერჩებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, უფრო გლობალური კატასტროფის წინაშე დადგებიან. ასე რომ, ევროპაშიც ძალიან საინტერესო მოვლენები ვითარდება.

**- ქალბატონო თამარ, ძალიან საეჭვოდ დაემთხვა თურქეთის არშემდგარი პუტჩი რუსეთ-თურქეთს შორის ურთიერთობის დათბობას და ლევან ვარშალომიძის საქართველოში „ტრიუმფით“ დაბრუნებას, ისევე როგორც ფრანსუა ოლანდის ცნობილ განცხადებას, ნიცის სისხლიანი ტერაქტი. გამორიცხავთ, რომ ეს პროცესები ურთიერთკავშირში იყოს?**

- დღეს რაც ხდება, აბსოლუტურად ყველაფერი ურთიერთკავშირშია. ერდოღანი ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, რადგან არ არის გამორიცხული თავის ყველაზე მსხვილ სავაჭრო პარტნიორთან, ევროკავშირთან გაუფუჭდეს ურთიერთობა. რუსეთიც მსხვილი სავაჭრო პარტნიორი იყო და ერდოღანის ქმედება, რუსული სამხედრო თვითმფრინავის ჩამოგდებას ვგულისხმობ, თურქეთის ინტერესებიდან გამომდინარე, არაადეკვატური იყო. არ მგონია, ერდოღანი დამოუკიდებლად მოქმედებდა, ალბათ არსებობდა რაღაც წინაპირობა, რომელიც ზედაპირზე არ ჩანდა. რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილს, ლევან ვარშალომიძეს და მთელ ამ გუნდს, ეს არის ძალზე შავბნელი ძალა, მათ რაც არ უნდა გააკეთონ, საქართველოსთვის სასიკეთო არავითარ შემთხვევაში არ იქნება, რასაც ამ გუნდის განვლილი გზა აშკარად მოწმობს. ამიტომ ყურადღებით უნდა ვიყოთ. ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში რომ ყოფილიყო ასეთი პრეზიდენტი და პოლიტიკური ძალა, დიდი ხნის წინ იქნებოდა დაპატიმრებული და ქვეყნის ღალატისთვის გასამართლებული, მაგრამ ესენი გარკვეული ძალების ლობირების გამო, ხელშეუხებელნი არიან. სხვათა შორის, სენატორი მაკკეინი, რომელიც რესპუბლიკელია, არ დაესწრო პარტიის ყრილობას, ეტყობა მას და დონალდ ტრამპს არცთუ ისე კარგი ურთიერთობა აქვთ, რაც ჩემი აზრით, ცუდი არ არის საქართველოსთვის, რადგან მაკკეინი და ნაცმოძრაობა, მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. აგვისტოს ომი და მთელი რიგი საქართველოსთვის დამღუპველი ქმედებებიც, ამ ურთიერთობას უკავშირდება, მაკკეინის სიტყვებს, მე ქართველი ვარო, თურმე უდიდესი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ. მაკკეინს წარმატებული საარჩევნო კომპანია რომ ჰქონოდა, სააკაშვილმა საქართველო გაწირა. გეხსომებათ, ნაციონალებს ავტომანქანების სანომრე ნიშნებზე მაკკეინი რომ ეწერათ, ეს არის უკიდურესი პროვინციალიზმი და პოლიტიკური უმეცრება. მაგათ თუ გონიათ, რომ ვინმე პიროვნულად, ამერიკის ინტერესების საწინააღმდეგოდ აქ ვინმეს მხარს დაუჭერს, ძალიან შემცდარან. ძალიან მძიმე, სახიფათო პერიოდია, ამიტომ ფრთხილად უნდა ვიყოთ, მოზომილი ნაბიჯები უნდა გადავდგათ, დაველოდოთ მოვლენების განვითარებას, უკვე დაწყებულია საარჩევნო პროცესი, მთავარია, ეს პროცესი მშვიდად ჩატარდეს, არ იყოს ექსცესები, რომელიც ქვეყანაში არეულობას გამოიწვევს, მით უმეტეს, რომ რეგიონში ძალზე დაძაბული სიტუაციაა. არ არის გამორიცხული, ახლო აღმოსავლეთის რუქის გადაკეთება მოხდეს, ვგულისხმობ ქურთული სახელმწიფოს წარმოშობას, წარმოიდგინეთ, 40-მილიონიანი ერი, სახელმწიფოს გარეშეა, ქურთები ოთხი სახელმწიფოში, თურქეთი, ირანი, ერაყი და სირია, არიან გაბნეულები და არსებობს ერთიანი სახელმწიფოს შექმნის იდეა. ცხადია, ერდოღანმაც იცის, რომ აქ თურქეთის ტერიტორიაც მოიაზრება და ალბათ, ამიტომაც წავიდა ვა-ბანკზე, რომ რამენაირად შეაჩეროს ეს პროცესი. როდესაც რუსეთ-თურქეთს შორის უკიდურესად დაიძაბა სიტუაცია, რუსეთის პრეზიდენტმაც გააკეთა განცხადება, რომ თურქეთს მიტაცებული აქვს მეზობლების ტერიტორიები. ჩვენ ხომ კარგად ვიცით, რუსებისთვის რას ნიშნავს კონსტანტინოპოლი (დღევანდელი სტამბოლი), რუსეთი თავის თავს მესამე რომად თვლის, ამიტომ კონსტანტინოპოლი მათთვის წმინდა ქალაქია. ამიტომ, საკითხავია როგორ შედგება პუტინისა და ერდოღანის ურთიერთობა, სამომავლოდ რაღაც მოკლევადიან შედეგებზე მათი ინტერესები შეიძლება დაემთხვეს, მაგრამ პუტინი საკმაოდ ჭკვიანი, გამოცდილი პოლიტიკოსია და რას მოუტანს ერდოღანს მასთან „მეგობრობა“ მსოფლიოში არსებული კონიუნქტურიდან გამომდინარე, ამას მომავალი გვიჩვენებს. პოლიტიკა ხომ ფაქტობრივად ვაჭრობაა, როგორ ივაჭრებს ამერიკა, ევროპა, რუსეთი, თურქეთი, ირანი, თანდათანობით გამოიკვეთება. სამწუხაროდ,



საქართველო აღარ არის ამ პროცესების მონაწილე სუბიექტი, სააკაშვილის „დამსახურებით“, რომ ჩვენ ობიექტად გადავიქეცით.



**- ამერიკა-თურქეთის ურთიერთობები დღეს დაიძაბა. ხომ არ არსებობს იმის საფრთხე, რომ ამერიკამ თურქეთის საწინააღმდეგოდ გამოგვიყენოს, როგორც არაერთხელ გამოვუყენებივართ რუსეთის გასაღიზიანებლად?**

- თურქეთი და საქართველო არ არიან თანაწონადი პარტნიორები, საქართველო 80-მილიონიან თურქეთთან შედარებით ძალიან პატარაა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ 2008 წლის მსგავსი მოვლენები არ განვითარდეს. მით უმეტეს, რომ აჭარაში თურქული ექსპანსია აქტიურად მიმდინარეობს. როგორც ავღნიშნე, აჭარის ავტონომიის გარანტები თურქეთი და რუსეთია, ამიტომ ვამბობ, რომ დიდი სიფრთხილე გვმართებს, ჩვენი ყველა ნაბიჯი აწონილ-გაზომილი უნდა იყოს. ვფიქრობ, „რჩევებს“ ამერიკიდან მივიღებთ, გააჩნია ამერიკა რა პოზიციას დაიკავებს თურქეთის მიმართ. რაც დღეს თურქეთში ხდება, ამერიკისთვის მთლად სახარბიელო არ არის, იმიტომ, რომ ის გენერალიტეტი, რომელსაც ერდოღანი ებრძვის, დასავლეთში, კერძოდ ამერიკაში განათლებამიღებული სამხედრო პირები არიან, რომლებიც თურქეთში სეკულარიზმის გარანტები იყვნენ. თურქეთის კონსტიტუციაში პირდაპირ ეწერა, რომ სეკულარიზმის გარანტი არმიაა, რომელიც ქვეყანაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. არმიაში სამსახური იქ ძალიან პრესტიჟულად და პრიორიტეტულად ითვლებოდა. ერდოღანის გამო, ამ ყველაფერს საფუძველი გამოეცალა, სეკულარიზმს საფრთხე შეექმნა, რაც ნამდვილად არ შედის ამერიკის ინტერესებში. ერდოღანი, ფაქტობრივად აშანტაჟებს აშშ-ის ხელმძღვანელობას, გიულენს თუ არ გადმომცემთ, ნატოს ბაზებს გავაუქმებო, არადა იქ 28 ბაზაა და ატომური იარაღი. აქედან გამომდინარე, სიტუაცია საკმაოდ დაძაბულია. რაც შეეხება დასავლეთის მიერ რუსეთის №1 საფრთხედ გამოცხადებას, ჩვენ არ უნდა გავიგოთ, რომ მართლა ასეა. რუსეთი პოლიტიკური ელიტისთვის, ფინანსური კლანებისთვის არის საფრთხე, რადგან იგი არ „ჯდება“ იმ თამაშის წესებში რომელსაც ეს კლანები ახორციელებენ, ანუ რუსეთი არის ქვეყანა, რომელიც მათ წინააღმდეგობას უწევს. იგი ბირთვული ქვეყანაა, ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ატომურ ტრიადას ფლობს და მართლაც შესწევს წინააღმდეგობის გაწევის უნარი. ამიტომაც თვლიან რუსეთს ყველაზე დიდ საფრთხედ, ეს სახელმწიფო სხვა ცივილიზაციაა, მათგან განსხვავებული ღირებულებების მატარებელი და ამიტომ არის მათთვის დიდი საფრთხე. როგორც ცნობილი ამერიკელი სოციოლოგი ნოამ ჩომსკი აღნიშნავს – მოდით ვნახოთ, ვინ მიუახლოვდა ვის საზღვრებს ნატო რუსეთს, თუ რუსეთი ნატოს და დასკვნაც ისე გამოვიტანოთ.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# ყველაფერი ISIS-ის – „ისლამური სახელმწიფოს“ „მსოფლიო სევდით“ შეპყრობილების, „წმინდა“ სიკვდილისა და თვითმკვლელი ტერორისტების – შაჰიდების შესახებ

**ცნობილია, რომ ტერორიზმისა და ტერორისტების შესახებ ბევრი რამ ბურუსით არის მოცული და მაინც რას წარმოდგენს „ISIS“ „ისლამური სახელმწიფო“, როგორ მიდის მიზნისკენ და რა საფრთხეების შემცველია ჩვენი ქვეყნისთვის? ჩვენს შეკითხვებს პასუხობს სტანისლავ ქაქუჩაია – უშიშროების გენერალი თადარიგში, დამნაშავეთა ფსიქოლოგიის ცნობილი მკვლევარი. ჩვენი თანამემამულე, რომელიც ავსტრიაში მოღვაწეობს.**



**– „ისლამურ სახელმწიფოსთან“ კავშირში მყოფები მიზნის მიღწევამდე მოვალენი არიან, თუნდაც სიცოცხლის ფასად, დაიცვან და არ გათქვან საიდუმლო. მიზნის მიღწევად კი შაჰიდობა, თვითმკვლელობა ეთვლებათ და საფრთხე რომელი მხრიდან იჩენს თავს, ძნელი სათქმელია. ამიტომაც მრავალმხრივი სიფრთხილე აუცილებელია.**

– როგორ ხდება ამ ორგანიზაციაში გაწევრიანება მათთან პირადი კონტაქტის გარეშე?

იმისთვის, რომ „ისალმაური სახელმწიფოს“ წევრი – მოჯაჰედი ან სირიაში შაჰიდი გახდნენ, სულაც არ არის საჭირო სადმე წასვლა, საკმარისია აღიარო მათი „წესდება“, რომელსაც „ფიცს“ უწოდებენ და ჩამოყალიბებულია აუცილებლად შესასრულებელი ვალდებულებები, რომლის გაზიარება ანუ, როგორც თქვენ ამბობთ „პირადი კონტაქტი“ ონლაინ სრულიად შესაძლებელია. აღიარებენ და დადებენ თუ არა ფიცს, იმ წუთიდან „წევრი“ ხდებიან.

**– და ეს ასე იოლია?**

– ძალიან. მაგრამ ფიცის „მიიღებამდე“ საკმაოდ დიდი გზაა გასავლელი.

„ფიცი“ უბრალოდ სიტყვები არ არის. „გადაბირებული“ თუ მისი წარმოთქმის „ღირსი“ გახდა, წარმოთქმისთანავე წევრი – შაჰიდი ხდება და მოვალეა შეასრულოს ნებისმიერი დავალება.

**– „თვითმკვლელ“ ტერორისტად გახდომის ჩათვლით?**

– დიახ. მაგრამ ამ „პროფესიას“ საგანგებოდ ასწავლიან. ამიტომ პირდაპირ „თვითმკვლელი ტერორისტი“ არ ხდებიან. მანამდე რამდენიმე ე.წ. „ნაბიჯი“ არსებობს და მხოლოდ შემდეგ ხდება მათი „გადამზადება“.

**– და აქვე ხდებიან ასეთი „გაბედულები“, თუ გაწევრიანებამდე უკვე არიან?**

– ეს მხოლოდ მათ იციან, ვინც ეს ფიცი დადო და მზად არის მისი პირობების შესარულებლად, რაზეც მათი შემდგომი ქმედებები მიუთითებს. ხოლო „ფიცი“, როგორც სიტყვათა კრებული კი არა, მთავარი რიტუალია, რომლითაც ამ ფიცის მიღება ხდება. ვინც მას გაიმეორებს „განაჩენი გამოტანილი აქვს“.

**– და მაინც მიდიან ამაზე?**

– ეს უკვე ფსიქოლოგიური და ჰიპნოზური სრული დატვირთვის ზეგავლენაა, რომლითაც ყველაფერი დაიწყო და ასე მიმზიდველი გახდა ადამიანთა იმ ნაწილისთვის, ვინც მასში გაერთიანდა და რომლებიც საკუთარი ნებით და სურვილით, ალაჰის სახელით, თითქმის ყოველდღიურად იხოცებიან საკუთარ მსხვერპლებთან ერთად. მაგრამ საქმე იმაშია, რომ სირიაში ომში მონაწილეობისთვის მეომრების მისაზიდად ვრცელდება, საგანგებოდ შექმნილი მაღალხარისხიანი ვიდეორგოლები, რომლებშიც ძალიან ბევრი საცდურია ახალგაზრდისთვის, რადგან ნაჩვენებია მეომრების ცხოვრების ამსახველი ისეთი კადრები, რომელიც სამოთხეში ცხოვრების ასოციაციას ქმნის: საცხოვრებლად მაღალვარსკვლავიანი სასტუმროები, ასევე მაღალი ხარისხის მომსახურებით და ძვირფასი ტრანსპორტით და რაც მთავარია, მათი ნაცნობი ასევე ახალგაზრდების მეთაურობით, რომლებსაც იქ წამყვანი პოზიციები უჭირავთ. სხვა რა უნდა ახალგაზრდას, რომელსაც მოჭარბებული ენერგია აქვს, ძალ-ღონე ერჩის და ზუსტად იცის, რომ ფიზიკურად შეძლებს ყველაფერს, რაც მეომარს მოეთხოვება, სულიერი მამებისგან ეს საქციელი მხარდაჭერილია, ხოლო გონებრივ განვითარებაზე არც თავად ფიქრობს და არც ვინმე სხვა ამიტომაც იქ მისვლამდე „ფიცს“ დებენ, ხოლო ჩასულები პრაქტიკულად „თვითმკვლელები“ არიან შაჰიდის ქამრის გარეშე და ნებისმიერ დავალებას შეარულებენ „ალაჰის სახელით“, რაც უმეტესწილად სხვის მოკვდინებასთან ერთად მათ სიკვდილსაც უდრის. თუმცა ეს უკვე „წმინდა“ სიკვდილია, რომელსაც „იმქვეყნად“ კიდე უფრო დიდ „სამოთხეში“ ცხოვრება მოსდევს.



**– ეს რწმენა თავისთავად უჩნდებათ?**

– არა, ამაზე საგანგებოდ „ზრუნავენ“ და „გამოჰყავთ“ „თვითმკვლელები“.

მაგრამ ინფორმაცია თვითმკვლელი კამიკაძეების შესახებ ჯერ კიდევ XIII საუკუნიდან არსებობს.

„კამიკაძე“ თვითმკვლელ ისლამისტებთან მხოლოდ ასოცირდება, მაგრამ მხოლოდ სიტყვის გარდასულ მნიშვნელობასთან კავშირის გამო. სინამდვილეში თვითმკვლელ ისლამისტებს შაჰიდები ეწოდებათ, მაგრამ ხანდახან „კამიკაძეებად“ მოიხსენიება. რაც არ არის სწორი.

**– რატომ?**

– „კამიკაძე“ ისლამისტებთან ასოცირდება მხოლოდ იმიტომ, რომ ორივე თვითმკვლელობის შინაარსს ატარებს. რალურად თანამედროვე ისლამისტები შაჰიდები არიან, მაგრამ „კამიკაძეებად“ რატომ მოიხსენიებიან ბევრმა არ იცის და ეს საუბრის სულ სხვა თემაა.

**– რა განსხვავებაა „კამიკაძესა“ და შაჰიდს შორის.**

– სიტყვა შაჰიდი არაბულია და სიტყვასიტყვით „დადასტურებას“ ნიშნავს, მაგრამ „სასამართლოს მოწმის“ ან ძირითადად იმ პირების აღმნიშვნელად გამოიყენება, ვინც რელიგიისთვის, სარწმუნოებისთვის მოწამეობრივად აღესრულნენ.

ისლამისტური ტეროტიზმი აზანზარებს და შიშის ზარს სცემს სამყაროს, მისი დამკვეთები და შემსრულებლები - ტერორისტები საკუთარი სამშობლოს, ან რაიმე სიწმინდის რეალურ მტერს კი არ ებრძვიან, არამედ ძალოდობრივი გზით ანგარიშწორების ტაქტიკა შემუშავებული აქვთ აბსტრაქტული „წარმოსახული“ არაარსებულის წინააღმდეგ, ვისაც „ოპონენტად“ მოიხსენიებენ და მას ხედავენ არა ერთსა და ორ პირში, არამედ ადამიანთა ჯგუფებში და ერთბაშად ებრძვიან, უმოწყალოდ ხოცავენ სრულიად უდანაშაულოებს და რაც მეტს, მით უფრო „კარგი“. ეს ავადმყოფური მანია ფსიქოზის ისტერიით შეპყრობილებისთვის ისლამისტური ტერორიზმის ერთ-ერთი მიმართულება თვითმკვლელი ტერორიტი-მკვლელები უსაშინლესი იარაღი - „ტყვიაა“ მკვლელის ხელში. ვინ არის მკვლელი, დღემდე უცნობია, რადგან ხან ვისი სახელით ინიღბება და ხან ვისი. ხან ერთი ისლამური მოძრობაა, ხან მეორე და სინამდვილეში ამ „შეიარაღების“ მფლობელის ვინაობა საიდუმლოებით არის მოცული, სამაგიეროდ ნათელია, რომ თვითმკვლელი ტერორიტების კანდიდატების გადაბირება მთელი მსოფლიოს მასშტაბით წარმატებით გრძელდება.

**– თავგანწირვის სანაცვლოდ „ქრთამი“ ახსენეთ...**

– დიახ, სოციალური ქსელებით ხშირად ვრცელდება დაპირებების შემცველი მაღალხარისხიანი ვიდეორგოლები, რომელიც დიდ ზეგავლენას ახდენს მაყურებელზე. მაგალითად ამ ბოლო დროს გავრცელებულ სარეკლამო რგოლებს შორის გამოჩნდა ვიდეორგოლი, რომელშიც გავლენიანმა მუსლიმმა სულიერმა ლიდერებმა „ალაჰის სახელით„ მუსულმან ტუნისელ გოგონებს სირიაში აჯანყებული მეომრების სირთულეების შესამსუბუქებლად და მხარდასაჭერად მოუწოდეს არა საომრად, არამედ „ქალის სითბოს“ მონატრებულ მეომრებთან სქესობრივი ურთიერთობისთვის და ამისთვის იმქვეყნად „სამუდამო სამოთხეს“ დაპირდნენ, ცხადია, ამქვეყნად ფულად ანაზღაურებასთან ერთად, აქაც „ყურანით“ ისარგებლეს, რომლის 24-ე სურის თანახმად მისაღებია „მუტა“ – დროებითი ქორწინება რამდენიმე საათიდან 99 წლამდე, რაც ბუნებრივია, „კორექტირების“ ნაყოფია და ამ კონკრეტული შემთხვევისთვის არის გათვლილი, მით უმეტეს, მამაკაცი ვალდებულია ამ „ქორწინებისთვის“ ქალი დააჯილდოვოს. მეომრებს კი სანამ ცოცხლები არიან, ფული ბლომად აქვთ.

**– საიდან?**

აშშ-სთან დასაპირისპირებლად ისლამური შეიარაღებული ჯგუფებისგან შეიქმნა საიდუმლო ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფო“, რომელზეც იმის მიხედვით თუ იმსჯელებენ, რასაც აკეთებენ, თორემ არანაირი პირდაპირი ინფორმაცია მათ შესახებ სამყაროს არა აქვს. მათი ამოცნობა პრაქტიკულად შეუძლებელია და იძულებულები

ვართ, განხორციელებული ტერაქტების მიხედვით ვივარაუდოთ მათი გეგმებისა და მიზნების შესახებ. მოქმედებები იმდენად ჰგავს სადამ ჰუსეინის რეჟიმის სამხედროების თანამშრომლობის საქმიანობის ხელწერას, რომ მათთან თანამშრომლობაზე ბადებს ეჭვს. მაგრამ, სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ აშშ-ს მიერ დადგენილია, რომ სადამ ჰუსეინის უშიშროება ამ დაჯგუფების წევრებს უთვალთვალებდა. ასე, რომ დამაფიქრებელი საკმაოდ ბევრია.

ერაყისა და სირიის კონფლიქტში „ისლამისტური ორგანიზაციის“ გამოჩენამ მსოფლიოს ყურადღება მაშინვე მიიპყრო. საქმე იმაშია, რომ ამათი ტაქტიკა სრულიად განსხვავდება ერაყის ადრეული სხვა მეამბოხეების ჯგუფების ტაქტიკისგან და აშშ-ს და საერთაშორისო კოალიციის ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად ჩვეულებრივი იარაღისა და პარტიზანული ტაქტიკის სანაცვლოდ თავის საქმიანობაში



უპირატესობას ანიჭებენ ძირითადად თვითმკვლელ-ტერორისტების გამოყენებას, უფრო მრავალრიცხოვანი ეფექტისთვის დანაღმული მანქანების გამოყენებით. „ტყვიად“ გამოყენებულ „ტერორისტის“ თავდასხმის ობიექტები აქამდე ძირითადად იყვნენ ან ძალოვანი სტრუქტურის და ხელისუფლების წარმომადგენლები, ქურთებისა და შიიტების რელიგიური ლიდერები, ამჟამად ხალხმრავალი ადგილებია. მრავალირცხოვანი მსხვერპლის მისაღწევად შერჩეული ადგილები ადამიანებში პანიკური შიშის დასათესად და მსოფლიოსთვის მოსალოდნელი საფრთხის გამო ფსიქოზის დასანერგად არის გათვალისწინებული.

— ამ ორგანიზაციასთან კავშირში რუსეთსაც დებენ ბრალს.

— იმიტომ, რომ ჯერ კიდევ 2006 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში ცნობილი გახდა, რომ „ერაყის მოჯაჰედების საბჭო“ დაიშალა, უფრო სწორად სახელი გადაირქვა და შეიქმნა „ერაყის ისლამური სახელმწიფო“, რომელმაც კიდევ ერთხელ გადაირქვა სახელი და „ისლამურ სახელმწიფოდ“ მოგვევლინა და საკუთარი საქციელით გადაფარა რუსეთის აგრესია, რაც შემთხვევითი როდია. „კგბეს“, მის მემკვიდრე „ფსბ“ს და სხვა სახელმწიფო სტურქტურებს ჯერ კიდევ საბჭოთა დროიდან აქვთ ანტიამერიკული, ანტიდემოკრატიული და ისლამური ტერორისტული ორგანიზაციების შექმნის, დაფინანსების, შეიარაღების და სხვა მხრივ მხარაჭერის გამოცდილება, არსებობს საიდუმლო „მასალა“, რომლის შესყიდვა და გამოყენება შესაძლებელია, რადგან ისინი მინიმალურად არიან დაკავშირებული იმ რგოლებთან, რომლებსაც საკუთარი სურვილისამებრ განკარგავენ, ხოლო თავად რგოლებმა მათი არც არსებობა იციან და საერთოდ არც არაფერი. ამიტომ, ძნელი დასადგენია, ვის მიერ არიან მხარდაჭერილები, ვინ განკარგავთ და ვის დავალებას ასრულებენ, საიდან მოსდით დაფინანსება და ზოგადად ვის თამაშს თამასობენ, მაგრამ ამ ბოლო დროს არის მოსაზრება, რომ ეს ბოლო სახელის გადარქმევა განპირობებულია იმით, რომ „ისლამური სახელმწიფო“ ისე გამაგრდა, რომ ყველა „დამკვეთზე“ უარი თქვა და დამოუკიდებლად მოქმედებს, რაც გამორიცხული არ არის.



**— ნუთუ ასე ძნელია მის წინააღმდეგ ბრძოლა, რომ სამყაროს აზანზარებენ და აფრთხოებენ და ეს საშიშროება რეალურია.**

— ერაყისა და სირიის კონფლიქტში „ისლამური სახელმწიფო“ გამოჩენამ მსოფლიოს ყურადღება მაშინვე მიიპყრო და მისი შესწავლა წამყვანი კვლევითი ცენტრების შესწავლის საგანი გახდა. მოულოდნელმა და ფართო წარმატებებმა სირიისა და ერაყის ტერიტორიების ნაწილის დაკავებამ, გააჩინა შეკითხვები, რა მიზნებს ემსახურება ეს დაჯგუფება და ვინ დგას მის უკან. მაგრამ ყველაფერი, რას მას უკავშირდება, სრულიად გასაიდუმლოებეულია და მხოლოდ ზოგადად არის ცნობილი,

ისლამური სახელმწიფოს“ შეტევაზე გადასვლისთანავე ინტერნეტსივრცეში გავრცელდა უამრავი ვიდეო რგოლი, რომელზეც სასტიკი მკვლელობებია ასახული. სუნიტი მოჯაჰედები დაუნდობლად ექცევიან განსხვავებული ყველა რელიგიის ადამიანებს ქრისტიანებს, იეზიდებს შიიტებს... ვინც სუნიტი (თავად შიიტი მუსულმანები არიან) არ არის ყველა დამნაშავეა და მათ „ჭეშმარიტ გზაზე“ დასაყენებლად იქცევიან ასე.

**— როგორ იწყება ყველაფერი?**

— გადაბირებით, რომლის პრაქტიკა დაამკვირდა ორგანიზაცია „ალ-ქაიდამ“, რომელიც ამ საქმეში მონაწილეობისთვის სხვებსაც მიმართავდა და მათი აგენტები — ძირითადად „სულიერი ლიდერები“ სარგებლობდნენ მორწმუნეთა გულუბრყვილობით და „კანდიდატებში“ აღვივებდნენ „რელიგიურ გრძნობებს“, აყალიბებდნენ ისლამისტური ფუნდამენტალიზმით დაინტერესებულთა ჯგუფებს და შემდეგ ხდებოდა მათი სათანადო „დამუშავება“ და „თვითმკვლელად“ გახდომა, ანუ ამზადებდნენ ისლამისთვის სიცოცხლის გასაწირად და ეს ხდებოდა კულტურის ცენტრებში, უნივეერსიტებსა და სხვაგან საუბრობენ სიცოცხლის გაწირვაზე ისლამის ძველი დიდების აღსადგენად. ისლამისთვის თავდადების სანაცვლოდ შთააგონებდნენ, რომ „იმქვეყნად“ ალაჰის გვერდში მოუწევდათ ყოფნა და შვიდი ქალწული მოემსახურებოდათ და ა.შ.

„ალ-ქაიდას“ მიერ დაწყებული საქმე წარმატების განაგრძეს სხვა ტერორისტულმა ორგანიზაციებმა, რომელთაც ზოგიერი ძირეული ცვლილებები შეიტანეს „სწავლებაში„. საქმე იმასია, რომ თუ მანამდე „ფიცი“ სწავლების შემდეგ უნდა დაედოთ, ამჟამად, პირიქით, „სწავლებამდე“ დებენ „ფიცს“, ხოლო საიქიოში შეპირებული „სიკეთეები“ ამქვეყნიურმა შეცვალა — დიდი ფულის სახით.

ამჟამად საქმეში ფსიქოლოგები და ჰიპნოზის სპეციალისტები არიან ჩარეული და „შეცდომა“ პრაქტიკულად გამორიცხულია. ამასთან „ალ-ქაიდას“ „კანდიდატებისგან“ განსხვავებით არანაირ შეკითხვას არ უსვამენ, მას შემდეგ, რაც პროპაგანდისტული მანქანის „წნეხს“ გაივლიან, ანუ მოამზადებენ „ფიცის“ დასადებად, დაუყოვნებლივ ადებინებენ „ფიცს“ და ასევე ოპერატიულად მიჰყავთ „დანიშნულების ადგილას“, მანამ სანამ ჰიპნოზური ზეგავლენა გაუვლით და ასევე „სასწრაფოდ“ გაწვრთნიან და „დაუყოვნებლივ“ უშვებენ დავალებაზე.

მაგალითად 2001 წლის 11 სექტემბერს პენტაგონს რომ შეასკდა იმ თვითმფრინავის პილოტი ჰანი ჰანჯურა გადაბირებამდე და ავღანეთში ჩასვლამდეც პილოტი იყო. ის არ ყოფილა ჰიპნოზური ტრანსის ქვეშ და მისი მომზადება კარგახანს გაგრძელდა და ყველაფერი გაკეთდა, რომ უშუალოდ „ოპერაციის“ წინ მფრინავების ეკიპაჟში „მეოთხე პილოტად“ ჩარიცხულიყო.

**ქეთევან ჩემია**
599 57 12 90

**(გაგრძელება იქნება)**



# ძლიერი რეგიონები




### სოფელ არხილოსკალოში საზოგადოებრივი ცენტრი გაიხსნა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოში საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს მასშტაბით 35-ე საზოგადოებრივი ცენტრი. ცერემონიას ესწრებოდნენ იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, სახელმწიფო რწმუნებული - კახეთის გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილი, გუბერნატორის მოადგილე გივი მეტრეველი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, მუნიციპალიტეტის სხვა ხელმძღვანელები და სოფლის მოსახლეობა.

ადგილობრივი მოქალაქეები შეძლებენ სოფლიდან გაუსვლელად მიიღონ: პასპორტისა და პირადობის მოწმობა, სოციალური დახმარება, სახელმწიფო პენსია, სულადობის ცნობა, საბანკო მომსახურება, დაირეგისტრირონ მიწა, გადაიფორმონ უძრავი ქონება და სხვ.

ობიექტი აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით. აქ განთავსებულია შეხვედრების ოთახიც, რომლითაც სარგებლობა შეუძლია არა მხოლოდ სოფლის მცხოვრებლებს, არამედ სახელმწიფო, კერძო ორგანიზაციისა თუ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებსაც. აქ იმუშავებს ბიბლიოთეკა, მოქალაქეებს შეეძლებათ უფასო ინტერნეტის მეშვეობით ნებისმიერი ინფორმაციის სწრაფად და ხარისხიანად მიღება.

### თელავი – უფასო სამედიცინო აქცია წინანდალში

თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის, ალექსანდრე შათირიშვილის ინიციატივითა და ჯანდაცვის სამინისტროს ორგანიზებით წინანდლის ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობის უფასო სამედიცინო გასინჯვების აქცია გაიმართა. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრის ექიმებმა გასინჯეს თელავის მუნიციპალიტეტის სოფლების შალაურის, კისისხევის, კონდოლის, ნასამხრალის, წინანდლის, ქვ. ხოდაშნის, ბუშეტის, ვანთისა და აკურის მოსახლეობა.

თელავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას სამედიცინო მომსახურებას ქირურგიის ეროვნული ცენტრის სხვადასხვა პროფილის ექიმი-სპეციალისტები მთელი დღის განმავლობაში უწევდნენ. დანიშნულების მიღების შემდეგ მოსახლეობას შესაბამისი მედიკამენტები უსასყიდლოდ გადაეცათ.

### მიწის საკუთრებად რეგისტრაცია მარტივდება

თელავის იუსტიციის სახლში გაიმართა შეხვედრა მიწის რეგისტრაციის რეფორმის შესახებ, რომელსაც ესწრებოდნენ იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, კახეთის გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილი, ქალაქ თელავის მერი პლატონ კალმახელიძე, ასევე სხვადასხვა მუნიციპალიტეტის გამგებლები და საკრებულოების წარმომადგენლები. შეხვედრის მიზანი იყო შეკრებილთათვის მიწის რეგისტრაციის პროცედურების გამარტივების შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება, რათა მომავალში მათ მოქალაქეებისთვის სათანადო კონსულტაციის გაწევა შეძლონ.

საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა და 1 აგვისტოდან ამოქმედდება კანონი, რომელიც მიწის რეგისტრაციას ამარტივებს. ცვლილებების მიზანი იმ სირთულეების აღმოფხვრაა, რომლებსაც მიწის ნაკვეთების მფლობელები ქონების რეგისტრაციის პროცესში აწყდებიან.




სპეციალური პროექტისა და შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტის მომზადება მიწის რეგისტრაციის თვალსაზრისით არსებულმა პრობლემებმა გამოიწვია. კერძოდ, დღეისთვის ქვეყანაში არსებული მიწის ნაკვეთების მხოლოდ 25 პროცენტია რეგისტრირებული. ცვლილებების უმთავრესი მიზანი სწორედ მიწის რეგისტრაციის პროცესის გამარტივება და წახალისებაა.

სახელმწიფო დაეხმარება მოქალაქეს საკუთრების დამადასტურებელი საბუთების მოძიებაში. მთავრობის მიერ დამტკიცებული ცვლილებების თანახმად, საჯარო რეესტრი რეგისტრაციის პროცესის თანამონაწილე გახდება.

### დედოფლისწყარო – უნიკალური აღმოჩენა დიდნაურის ნაქალაქარზე

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე ლევან ხარატიშვილი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ნიკოლოზ ანთიძე, კახეთში არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელი კონსტანტინე ფიცხელაური დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელ ნიკოლოზ ჯანიაშვილთან და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილთან ერთად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის დიდი შირაქის ველზე არსებულ დიდნაურის ნაქალაქარს ეწვივნენ და არქეოლოგიური გათხრები დაათვალიერეს.

ამ ტერიტორიით სპეციალისტები მას შემდეგ დაინტერესდნენ, რაც სატელიტურმა გადამცემმა დააფიქსირა აქ მდებარე უძველესი ნაქალაქარი, რომელიც ძვ. წ. მე-2 ათასწლეულის დასასრულით თარიღდება. ექსპედიციის წევრთა ვარაუდით, ნაქალაქარი უძველესი სახელმწიფოს დედაქალაქი უნდა ყოფილიყო. სპეციალისტებს ამ ვარაუდის საფუძველს ნაქალაქარის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სამარხები და ნასახლარები აძლევს.

დიდნაურის ნაქალაქარზე არქეოლოგიური სამუშაოები დღესაც გრძელდება. სპეციალისტების აზრით, ტერიტორიის გამოკვლევამ შეიძლება საქართველოს ისტორიის შესახებ ახალი ფაქტები გამოავლინოს.

### განახლებული აკვაპარკი ლაგოდეხში

23 ივლისიდან ლაგოდეხის განახლებული აკვაპარკი დამსვენებლებს მასპინძლობს. აქ მომსვლელებს შესაძლებლობა ეძლევათ ისარგებლონ წყლის სასრიალოებითა და საცურაო აუზებით. მომავალში იგეგმება სასტუმროს გახსნაც. აკვაპარკი ყოფილი სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე მდებარეობს. ლაგოდეხის ყველაზე მასშტაბური გასართობი კომპლექსი დამსვენებლების მიღებამდე ადგილობრივი ხელისუფლების პირველმა პირებმა დაათვალიერეს.




### ინფრასტრუქტურული პროექტები სიღნაღის მუნიციპალიტეტში

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გუმბათი-ხირსაენამთა-სამთაწყარო-საბათლოს საავტომობილო გზის 7-კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაციას ახორციელებს. სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ მაშნაარში ჭაბურღილი და სასმელი წყლის სამკილომეტრიანი ქსელი მოეწყო.

სამუშაოები სოფლის მხარდაჭერის პროგრამისა და ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელდა. დაიდგა 25-ტონიანი რეზერვუარი, რომლიდანაც სასმელი წყლით ორი უბნის მომარაგება უახლოეს დღეებში დაიწყება. საავტომობილო გზების დეპარტამენტი, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სიღნაღი-წნორის საავტომობილო გზის 5,6 კილომეტრიანი მონაკვეთის პერიოდული შეკეთების სამუშაოებს ახორციელებს. მიმდინარე სამუშაოებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი ხერგიანი გაეცნო.

### „სოფლად სახლის“ პროექტის ფარგლებში კიდევ 10 დევნილი ოჯახი დაკმაყოფილდება

სამეგრელოს რეგიონში „სოფლად სახლის“ პროექტის ფარგლებში გადაცემული სახლებისა და მიწის ნაკვეთების მფლობელ დევნილ ოჯახებს სტუმრობდნენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი სოზარ სუბარი და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ჯუანშერ ბურჭულაძე.

მუნიციპალური განვითარების ფონდმა, დევნილთა და განსახლების სამინისტროსთან თანამშრომლობითა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის დაფინანსებით „სოფლად სახლის“ პროექტის ფარგლებში, დასავლეთ საქართველოში 61 დევნილი ოჯახისთვის სახლები შეიძინა.

სოზარ სუბარი და ჯუანშერ ბურჭულაძე სენაკის რაიონის სოფელ თეკლათში აფხაზეთიდან დევნილ რევაზ ესართიას ოჯახს ესტუმრნენ. გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KFW) დაფინანსებით, რევაზ ესართიას შეუსყიდეს 2-სართულიანი სახლი, 20 სკა ფუტკარი და 3,5 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, სადაც ოჯახს მარცვლეული კულტურა მოჰყავს. როგორც თავად რევაზ ესართია ამბობს, მისი ოჯახი არა მარტო საკუთრების მფლობელი გახდა, არამედ შემოსავლის წყაროც გაიჩინა და სახელმწიფოს დახმარებაზე აღარ არის დამოკიდებული.

დევნილთა და განსახლების სამინისტროსთან გაფორმებული მემორანდუმის თანახმად, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, „სოფლად სახლის“ პროექტის ფარგლებში, დასავლეთ საქართველოში დევნილებისთვის კიდევ 100 000 ევროს ღირებულების სახლებს შეიძენს. აღნიშნული თანხით კიდევ 10 ოჯახი დაკმაყოფილდება, რომლებსაც სამინისტრო გრძელვადიანი განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად შეარჩევს.

# ძლიერი საქართველოსთვის


მესტია

სამინისტროს ინფორმაციით, გრძელვადიანი განსახლების პროექტის ფარგლებში, აღნიშნული თანამშრომლობის შედეგად, 592 დევნილი ოჯახის ბინით უზრუნველყოფა იქნება შესაძლებელი.

### ლენტეხი-უშგული-მესტიის საავტომობილო გზის 100-მილიონიანი პროექტი

ქუთაისი-ლენტეხი-უშგული-მესტიის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის 100 მილიონის ღირებულების პროექტის განხორციელებაზე საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ გამოაცხადა ტენდერი. პროექტის განხორციელება, სავარაუდოდ, წელს დაიწყება.

„ლენტეხი-მესტიის გზა დაახლოებით 100 კმ-ია, წელს დაიწყება 48 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობა და გაისად დასრულდება. გზის სრული მონაკვეთის საბოლოოდ დასრულებას უწყება 2018 წლის ბოლომდე გეგმავს.

ლენტეხი-უშგული-მესტიის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობის პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება.

### ადიგენი-აბასთუმნის ტუბსაწინააღმდეგო საავადმყოფო თანამედროვე სტანდარტების რენტგენის აპარატით აღიჭურვა

სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი სამცხე-ჯავახეთის მხარეში აკაკი მაჭუტაძე, ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებელი ზაქარია ენდელაძე და საკრებულოს თავმჯდომარე იმედა მღებრიშვილი დაბა აბასთუმნის ტუბსაწინააღმდეგო საავადმყოფოს ესტუმრნენ. ოფიციალური პირები სამედიცინო დაწესებულებაში არსებულ მდგომარეობას გაეცნენ. სულ ცოტა ხნის წინ საავადმყოფოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შეძენილი თანამედროვე სტანდარტების რენდგენის აპარატი გადაეცა, რომლის ღირებულება 250 000 ლარია.

„რომ არა მთავრობის დიდი მხარდაჭერა და თანადგომა, ჩვენი საავადმყოფო ფუნქციონირებას შეწყვეტდა“, - განაცხადა საავადმყოფოს დირექტორმა ტარიელ ენდელაძემ, რომელმაც თანამშრომლებთან ერთად ბოლო დროს განხორციელებულ სასიკეთო ცვლილებებზე ილაპარაკა.

### ბორჯომი - შეხვედრა მერქნით უზრუნველყოფის საკითხებზე

ბორჯომის მუნიციპალიტეტში ტყეკაფების, სოციალური და სანიტარიული ჭრის, პირველი ხარისხის მერქნით უზრუნველყოფის საკითხებზე შეხვედრა გაიმართა. ეროვნული სატყეო სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის უფროსმა მურად ცინცაძემ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის პირველ პირებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ერთად მიმდინარე საკითხები განიხილა. მისი განმარტებით, მოსახლეობის მერქნული რესურსით უზრუნველყოფა სააგენტოს ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია. რეგიონების მასშტაბით, ტყეკაფების გამოყოფის, ტყეკაფამდე მისასვლელი გზების მოწყობა-რეაბილიტაციისა და პროცესთან დაკავშირებული ყველა ღონისძიება ყოველდღიურ რეჟიმში ხორციელდება.

სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახური მოსახლეობასთან შეხვედრებს მხარეში შემავალი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან მომავალშიც განაგრძობს.

### ბოლნისის სოფლების მოსახლეობას სტიქიით მიყენებულ ზარალს აუნაზღაურებენ

რამდენიმე დღის წინ მოსულმა ძლიერმა წვიმამ და სეტყვამ ბოლნისის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში - ტანძიაში, აკაურთასა და დისველში მიწის სავარგულები დააზიანა, საგზაო ინფრასტრუქტურა დაზიანდა სოფელ ძველ ქვეშში, ხოლო ძლიერმა ქარმა საცხოვრებელ სახლებს სახურავები ახადა. სტიქიური მოვლენების შედეგების შესწავლის მიზნით მუნიციპალიტეტში მოქმედი სამუშაო ჯგუფი მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე და შესაბამის აუდიტთან ერთად შეისწავლის ყველა დაზიანებული საცხოვრებელი სახლის მდგომარეობას, რის შემდეგაც დაზარალებულ მოსახლეობას მატერიალური დახმარება გაეწევა.

ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორი, სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად, ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ დისველში იმყოფებოდა. პაატა ხიზანაშვილი სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას შეხვდა და ვითარებას ადგილზე გაეცნო.

მხარის გუბერნატორთან შეხვედრისას ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ყურადღება გაამახვილეს სოფელში ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარების, წყლისა და ბუნებრივი აირის სისტემების მოწყობის საჭიროებაზეც.

### დმანისი - ტრენინგი საჯარო მოხელეებისთვის ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე

„საქართველო და ევროატლანტიკური ინტეგრაცია“ - ახალი სასწავლო პროგრამის სწავლების მიზანია: ცნობიერების ამაღლება საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შესახებ, მსმენელთა ინფორმირება, თუ რა მნიშვნელობა ექნება ინტეგრაციის პროცესს საქართველოს განვითარებისთვის, სწორი მოლოდინების შექმნა ნატო-სა და ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების მიმართ.


დმანისი

მსმენელები შეისწავლიან აგრეთვე დემოკრატიის პრინციპების განხორციელების როლს სახელმწიფოს განვითარებაში და შეიქმნიან ზუსტ წარმოდგენას, როგორ გახდნენ სახელმწიფოს აღმშენებლობისა და დემოკრატიული საზოგადოების შექმნა-ჩამოყალიბების თანამონაწილეები.

ღონისძიებას ესწრებოდნენ დმანისის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები.

### „სიყვარული გზად და ხიდად“ - საქველმოქმედო ღონისძიება ნიქოზში

სოფელ ნიქოზში საქართველოს ქალთა საბჭოს, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციისა და გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ორგანიზებით გაიმართა სახალხო-საქველმოქმედო ზეიმი „სიყვარული გზად და ხიდად“ და იგი ტყუპი დების - ია დავითაიასა და მზია ხეთაგურის 70 წლის იუბილეს მიეძღვნა.

აქციის ფარგლებში მოსახლეობას ჩაუტარდა უფასო სამედიცინო გამოკვლევები და გადაეცათ მედიკამენტები, გაეწიათ იურიდიული კონსულტაცია. ომში დაღუპულ მრავალშვილიან ოჯახებსა და შშმ პირებს აქციის მონაწილეებმა საკვები პროდუქტი და პირველადი მოხმარების ნივთები მიუტანეს. ნიქოზში იმყოფებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც. საქველმოქმედო ღონისძიება დასრულდა კონცერტით, რომელშიც თბილისის, გორის მუნიციპალიტეტისა და ახალგორის მხატვრული შემოქმედებითი ჯგუფები და ინდივიდუალური შემსრულებლები მონაწილეობდნენ.

სახალხო ზეიმს შეუერთდნენ „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“, საქველმოქმედო ფონდი „ავერსი“, საწარმოები „ბარამბო“ და „ზედაზენი“, ახალგორისა და ქარელის ქალთა საბჭოები.

### ქედის გამგებელი ორგანიზაცია „კონსორციუმის“ წარმომადგენლებს შეხვდა

ქედის გამგებელი დავით დუმბაძე ქართულ-ლატვიური ორგანიზაცია „კონსორციუმის“ წარმომადგენლებს შეხვდა. გაცნობითი ხასიათის ორმხრივი დიალოგი მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გაცვლას, საჭიროებების დადგენასა და პრიორიტეტების გამოკვეთას.

ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის - ორგანიზაცია ამ პროგრამის მიერ გამოცხადებული კონკურსის მეორე ეტაპზე წარსადგენი პროექტების ფარგლებში მართავს შეხვედრებს, რომლებიც მიზნად ისახავს საქართველოს სოფლის მეურენობის სექტორის გამოცოცხლებას ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოებისა და ფერმერები მრავალმხრივი ურთიერთთანამშრომლობის პირობებში.

შეხვედრას გამგებლის მოადგილე მამუკა ფარტენაძე და ორგანიზაციის წევრები, საქართველოს ბიზნესსაკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაციის, ლატვიის ბალტიური ფონდისა და დიდაჭარის სასოფლო-სამეურნეო მომსახურების ცენტრის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

### შუახევი - შუბანი-ჩირუხის გზაზე ასფალტბეტონის საფარი იგება

შუახევის მუნიციპალიტეტის შუბანი-ჩირუხის (ყურთისონი-შუბნის მონაკვეთზე) საავტომობილო გზაზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობითი სამუშაოები დაიწყო.

პროექტს აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება, საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის ტენდერში გამარჯვებული კომპანია,შპს „ბონდი-2009“ აწარმოებს.

პროექტის შესაბამისად გზაზე მოეწყობა გაბიონები, საყრდენი კედლები, წყალგამტარი მილები, დაიხრეშება გზის სავალი ნაწილი. მოსამზადებელი სამუშაოების დასრულების შემდეგ შავი საფარი გზის 2,34 კმ-ზე დაიგება.

მიმდინარე სამუშაოები ტარიელ ებრალიძემ დაათვალიერა.

გამგებელი იმყოფებოდა სოფელ მახალაკიძეებშიც, სადაც წინა დღეს სოფელში გამართულ შეხვედრაზე მოსახლეობას შიდა სასოფლო გზების მოწესრიგებას დაჰპირდა. დაპირებისამებრ, მეორე დილიდანვე დაიწყო სოფლის შიდა გზების მოხრეშვითი სამუშაოები, ადგილზე მობილიზებული იყო 5 ერთეული ტექნიკა.


შუახევი

# აჩრდილი დადის საქართველოში, აჩრდილი სოდომ-გომორისა!



**ვისაც ულვაშის და ნაგულისხმევი ფრაზების არ სჯერა, იმ ადამიანებმა ხელმოწერები დაიწყეს რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნით, დაე, ქართველმა ხალხმა თავად აირჩიოს, რომელ ქორწილში უნდათ ყანწის დაცლა, ქალის და კაცის, თუ კაცის და კაცისო... ქალის და კაცის თუ ქალის და ქალისო... ჰოდა, ორასი ათასზე მეტი ხელმოწერა შეგროვდა და შეიტანეს ცესკოში...**

უცნაური ის არის, რომ ტრადიციებზე ევროპელებისა და ამერიკელების გამო ვამბობთ თითქოს უარს, არადა, ერთადერთი, რითიც შეგვიძლია ამერიკა დავაინტერესოთ, ერთადერთი, რასაც ევროპელზე „ვყიდით“, ზუსტად ჩვენი, აწ სახეცვლილი და ტანსაცმელშემოფლეთილი ტრადიციებია...

ჩემი საყვარელი ტრადიცია – ქართველობაა... ჰო, იყო ასეთი ტრადიცია, თუ ქართველი იყავი, საქართველო და მისი შვილები უნდა გყვარებოდა, თუ ქართველი იყავი, მამულისთვის სიკვდილი უნდა შეგძლებოდა, თუ ქართველი იყავი, პირჯვრის გადაწერა და ხატზე დაფიცება წმიდათაწმიდა იყო შენთვის, თუ ქართველი იყავი, შვილების გაჩენა და გაზრდა გევალებოდა ქვეყნისთვის...

ბევრ რამეს გავალებდა ქართველობა: სტუმართმოყვარეობას, რჯულის სიყვარულს, მამულის სიყვარულს, დიაცის პატივისცემას, დიაცის მანდილის პატივისცემას, ვაჟკაცობას, მტერთან მტრობას და მოყვარესთან – მოყვრობას...

ამან მოგვატანინა თავი აქობამდე, ამან გადაგვარჩინა ფიზიკურ განადგურებას, გადაშენებას...

ახლა 21-ე საუკუნეა, ახლა ხმლებით არ გვაწიოკებენ ლეკები, ახლა თემურ-ლენგი არ დგას საზღვართან და ერეკლე მეფის ტრაქტატიც აღარაა ძალაში...

მაგრამ დემოკრატია გვჭამს, გვჭამს თავიდან შეუმჩნევლად, შიგნიდან, მერე კი ფიზიკურადაც... იმიტომ კი არ გვჭამს დემოკრატია, რომ ცუდი ტიპია, ან ჩვენი შეჭმაა მისი თვითმიზანი... არა, ჩვენ, უბრალოდ, მაქსიმალისტი ერი ვართ და ყველაფერს ჩვენებურად მაღალ ხარისხში ვაკეთებთ, ამიტომ დემოკრატია ხან ლანძღვაში გვერევა, ხან – ბოზობაში, ხან – უპატივცემულობაში, ხან – უსიყვარულობაში...

რა ჰქნას დემოკრატიამ, დემოკრატია ჯიგარი „როჟა“ უნდა იყოს და ვერაფერს აგიკრძალავს, ვერც „სასვეცკაოდ“ ბოზობას, ვერც დიაცის უპატივცემულობას, ვერც ლოთობას, ვერც სამშობლოს მტრობას, ვერც რჯულის ღალატს... და ვერც ერთსქესიანთა ქორწინებას...

კონსტიტუციას არ სჭირდება განმარტებაო, რომ ოჯახი ქალისა და მამაკაცის ერთობააო..

ეს იგულისხმებაო...

თუ იგულისხმება, ჩავწეროთ, გენაცვალე... რატომ არ გინდათ, რომ ჩავწეროთო? - იკითხა ქართველმა...

იმ მეორე ქართველმა, ვისაც ნაგულისხმევი ურჩევნია ფურცელზე დაწერილს, ულვაში მოიწიკნა, აჰა, ჩემი ულვაშის ერთი ღერი იმის გარანტად, რომ საქართველოში კაცს არასოდეს ერქმევა ცოლიო... ჯვარი დასვით ბარემ ხელმოწერის ნაცვლად...

ვისაც ულვაშის და ნაგულისხმევი ფრაზების არ სჯერა, იმ ადამიანებმა ხელმოწერები დაიწყეს რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნით, დაე, ქართველმა ხალხმა თავად აირჩიოს, რომელ ქორწილში უნდათ ყანწის დაცლა, ქალის და კაცის, თუ კაცის და კაცისო... ქალის და კაცის თუ ქალის და ქალისო... ჰოდა, ორასი ათასზე მეტი ხელმოწერა შეგროვდა და შეიტანეს ცესკოში...

ზოგნი ამბობენ, აი, ნახეთ პრეზიდენტი არ დანიშნავს რეფერენდუმსო, ზოგნი კი თვლიან, რომ პრეზიდენტი ვალდებული იქნება, ყური დაუგდოს ხალხის ხმას... ამჯერად მაინც...

რატომ არ სურთ მავანთ, რომ კონსტიტუციაში ცვლილება შევიდეს და ოჯახი განისაზღვროს ქალისა და მამაკაცის ერთობად?

ამბობენ, ეს ნაგულისხმევია სადღაც, ღრმად, სამოქალაქო კოდექსშიო... და საერთოდო, რაში გჭირდებათო, განა არ იცით, რომ საქართველოში მამაკაცი მამაკაცზე არასოდეს იქორწინებსო? ამის საშიშროება არ არსებობსო...

ანუ, გინდათ გვითხრათ, რომ ლგბტ-ები წყვილებად არ ცხოვრობენ ერთ სახლში? ერთ ოჯახად არ მოიაზრებენ თავს? ქორწინებაზე არ ფიქრობენ ?

ტყუილია... საქართველოში უკვე ძალიან ბევრი კაცია ცოლი და ძალიან ბევრი ქალია ქმარი...

მე ვორონცოვზე ვცხოვრობ, ჩემს მეზობლად ქალების წყვილს ჰქონდა ბინა ნაქირავები... არც მალავდნენ ურთიერთობას.... ერთ ქალს მკვეთრად გამოხატული მამაკაცური ჩაცმულობა და მიხრა-მოხრა ამშვენებდა, მეორეს— სინაზე... „ქმარი“ ქალი მუშაობდა და ფულის შემომტანი იყო, „ცოლი“ ქალი — მეოჯახე... ვერ ვიტყოდი, რომ დაფარულად ან ჩაკეტილ წრეში ცხოვრობდნენ... საკმაოდ ბევრი მეგობარი მოსდიოდათ, ცნობილი სატელევიზიო სახეებიც, მათ შორის...

ერთი მეგობარი მომიყვა კაცების წყვილზე, რომლებიც ასევე ერთად ცხოვრობენ და რომლებმაც ერთმანეთს საუკუნო ერთგულება შეჰფიცეს: ცოლს არასოდეს მოვიყვანთო... „ცოლი“ კაცი ძალიან ეჭვიანი იყო და „ქმარს“ არც ერთ ქალს არ აკარებდა... როცა „დედამთილმა“ რძლის სქესი შეიტყო, ერთი კვირა ივიშვიშა, ათი დღით გაებუტა შვილს... შემდეგ კი ბედს და კაც რძალს შეეგუა...

როგორც ერთხელ ნასვამმა „ქმარმა“ ჩემს მეგობარს უამბო, ეს არ იყო მისი პირველი მამაკაცი, მანამდეც ჰქონდა მამაკაცებთან ურთიერთობა... პირველად სრულიად შემთხვევით, სიტუაციიდან გამომდინარე მქონდა კაცთან სექსუალური ურთიერთობა, ისე მოხდა, რომ მომეწონა და მერე მივეჩვიეო... თქვენ არ იცით, რამდენი ჩვენნაირი დადის ქალაქშიო... ზოგი პატიოსან ოჯახს ამოფარებული, ზოგი პოლიტიკას შეფარებული, ზოგიც ტელევიზიებიდან გვმოძღვრავსო... რამდენიმე ისეთი ცნობილი სახე დაასახელა, რომელთა ტრადიციულ სექსუალურ ორიენტაციას არასოდეს დავაყენებდი ეჭვქვეშ...

ანუ, ამ ორ მამაკაცს არ მოსწოლიათ ქალური ჰორმონი ყელში, არ აწუხებდათ ბავშვობაში ფანტაზიები ბანჯგვლიან კაცებსა და მათ გენიტალიებზე, უბრალოდ, სიტუაციამ მოიტანა და მიეჩვივნენ? და ამ სიტუაციიდან გამომდინარე სექსით საქართველომ შეიძინა ერთი „კაცური ოჯახი“ და დაკარგა ორი სრულფასოვანი ოჯახი, ქალის და მამაკაცის ოჯახი, სადაც გაჩნდებოდნენ და გაიზრდებოდნენ ბავშვები...

სამაგიეროდ, ლგბტ უფლებათა დამცველებს შეემატათ კიდევ ერთი გეი-ოჯახი... ახლა მეტ თანხას მოსთხოვენ დამფინანსებლებს, ახლა მათ ჩაუტარებენ ტრენინგებს და ეტყვიან: სამსახურიდან იმიტომ დაგითხოვეს, გეი ან ლესბოსელი რომ ხართო... უფლება არა აქვთ, საზოგადოების სრულფასოვან წევრად არ მიგიღონო... თუ გინდათ, შეგიძლიათ უცხოეთში წაზვიდეთ და ურთიერთობა დააკანონოთო... შეგვიძლია, უფასოდ გასწავლოთ უცხო ენებიო და ასე შემდეგ...

18 წლის გოგონას ჩანაწერი ედო ერთ-ერთ ასეთ ლგბტ-თა დამცველ ორგანიზაციას საიტზე: ფეხი ვერ მოვიკიდე ამ ქვეყანაშიო, წერდა, ვერ გავაგებინე მეზობლებს, რომ ჩემი პირადი ცხოვრება მაქვს... მშვიდად ცხოვრების უფლებას არ მაძლევენ და ჩემი პარტნიორები არ მოსწონთო... ამიტომ, აქ რომ არ გავიმწარო ცხოვრება, უცხოეთში მივდივარ და იქ მშვიდად და ბედნიერად მივხედავ პირად ცხოვრებასო...

ნეტა, რა გიცხოვრია, შვილო, ჯერ, რომ სიცოცხლე გაუმწარებით, ან პარტნიორებიო რომ წერ, როდის მოასწარი პარტნიორების გამოცვლა... ან ვინ გივარდება საწოლში, თუ ამაზე თავად არ გამოდიხარ და საუბრობ...

პრინციპში, შეიძლებოდა სტატია აქვე დამესრულებინა, იმიტომ რომ გიამბეთ ლესბოსელთა წყვილზე, მოგიყევით გეების ოჯახზე და მამაკაცურ გენიტალიებს მიჩვეულ ქართველ ვაჟკაცებზეც... მაგრამ მასშტაბმა დამაინტერესა... მაინც რამდენი მამაკაცის გული და გენიტალიები ეძებენ გულამოფსკვნილნი ყოველდღიურად თბილისის ქუჩებში მამაკაცს?

ძალიან ბევრი, ჩემო კარგებო... თბილისში რამდენიმე გეი-კლუბია (როგორც მითხრეს, გემოვნებიანი მუსიკით და გემრიელი კოქტეილებით), რომელიც მუდამ სავსეა ხალხით...

მაგრამ, იმათ ვისაც ეზარებათ კლუბში წასვლა, არა აქვთ კლუბის ფული, არ უნდათ ორიენტაციის გასაჯაროება. ან ვერ იპოვნეს კლუბში გულის სწორი, საიტებს მიაშურეს... სპეციალური საიტი გეი ან ლესბოსელი წყვილებისთვის არ გვაქვს... ნუ, ჯერჯერობით, არ გვაქვს... ამიტომ ჩვეულებრივ გაცნობის საიტებს არიან შესეულნი...



მაგალითად, 35 წლის მამაკაცი ეძებდა 30 წლამდე რაიონიდან ჩამოსულ მამაკაცს, რომელიც იცხოვრებდა მის სახლში, დაუმზადებდა სადილ-ვახშამს, დაულაგებდა სახლს და დააკმაყოფილებდა სექსუალურად. სამაგიეროდ, 35 წლის მამაკაცი, რომელიც ირწმუნებოდა, კარგი სამსახური მაქვსო, ფინანსურად უზრუნველყოფდა პარტნიორს...

50 წლის მამაკაცი ეძებდა 20 წლამდე ბიჭს, რომლსაც ერთ სექსუალურ აქტში (იქვე ეწერა, მყავს საკუთარი ავტომანქანა, სადაც ამ აქტს განვახორციელებთო და „აქტი" მე დავარქვი, თორემ, იმას ისე ეწერა, ვერ გავიმეორებ) გადაუხდიდა 100 ლარს...

რაც უფრო ასაკოვანი იყო მამაკაცი, ასაკით მით უფრო პატარა სექსუალურ პარტნიორს ეძებდა... მაგალითად, თუ 50 წლის მამაკაცი 20 წლამდე ბიჭს ეძებდა, 55 წლის მამაკაცს უკვე ზედა ზღვარი 18 წელი ჰქონდა მითითებული...

სხვათა შორის, უნდა ვაღიარო, რომ ამ 55 წლის მამაკაცს ანკეტა გავაუქმებინე... მივწერე,



მე ჰაკერი ვარ, შენნაირების ანკეტებიდან ვადგენ, რა მისამართიდან ხარ ქსელში შემოსული, ამ განცხადებას ამოგიბეჭდავ და სახლში და უბანში გაგიკრავთქო... უბანში, ალბათ, კარგი მეოჯახე კაცის სახელი გაქვს და იმ ჯიპზეც მიგიკრავ ,რომელითაც აქ თავს იწონებ და მერე ვნახოთ, როგორ ისაუბრებ-თქო... 16 წლის ბიჭს რომ 100 ლარს სთავაზობ, იქნება და როგორ სჭირდება ფული და რაზეა წამსვლელი ამისათვის... ხომ უნგრევ ცხოვრებას-თქო.. 5 წუთში აქაუნთი გააუქმა... არ ვიცი, მოვასწარი თუ არა რომელიმე არასრულწლოვანი ბიჭის გადარჩენა... მაგრამ, რაკი შეეშინდა, ესე იგი ოჯახიც ჰყავს და უბანშიც კარგი კაცის ნაბიჯებით დააბოტებს...

იგივე საიტზე დარეგისტრირებულია 25 წლის რუსთაველი გოგო, ორი შვილის დედა... რომელიც ქმარს გაშორდა, რადგან ერთ დღესაც მიხვდა, რომ ქალი უფრო საიმედო და სასურველი პარტნიორია... რომ ქალს უფრო დიდი მკერდი აქვს, ვიდრე კაცს... რომ ქალს უფრო ხშირად შეუძლია, ვიდრე კაცს... წერდა ბინით უზრუნველყოფილი ვარ, ამიტომ რუსთავში ჩამომაკითხეთ საღამოს და როცა ბავშვებს დავაძინებ, ალერსით დავკავდეთო...

იყო 40 წლის ქალი, რომელიც ეძებდა 25 წლამდე ახალგაზრდა, უშვილო გოგოს სექსუალური ურთიერთობებისთვის... შვილიანები და მკერდჩამოწელილები არ გამომეხმაუროთო, ეწერა...

ძალიან, ძალიან ბევრი შემხვდა წყვილის განცხადება, მაგალითად, მამაკაცის და ქალის წყვილი ეძებს კაცს, ან ქალს, ან წყვილს, ერთჯერადი ურთიერთობისთვის...

2 წუთში გავაკეთე ახალი აქაუნთი წყვილის სახელით... მომდიოდა და მომდიოდა მესიჯები... მივხვდი, რომ ყველას ვერ გავესაუბრებოდი, ამიტომ ერთი, ვინმე ლაშა (სახელი, რა თქმა უნდა, შეცვლილია) შევარჩიე და გამოვკითხე, რა სურდა, რა გამოცდილება ჰქონდა... აბა, ასე ალაბედზე ხომ არ ავიყვანდი „ვაკანსიაზე"... სუინგერები ხართო? - მკითხა.... არ ვიცოდი ეს სუინგერები რა ან ვინ იყო და ვუთხარი, პირველად გადავწყვიტეთ წყვილში ურთიერთობა და არ ვიცი, რას გულისხმობთ-თქო... მოკლედ, სვინგერები ყოფილან ადამიანები, რომლებთაც სექსი აქვთ წყვილებში, პარტნიორების გაცვლით...

როგორც ლაშამ თქვა, ის უკვე 5–ჯერ მაინც იყო ასეთ სუინგერულ პაემანზე... ბოლოს ერთ ცოლ-ქმარს შეხვდა... კუს ტბაზე, მანქანაში გვქონდა სექსუალური აქტიო... ჯერ მე მქონდა ქალთან აქტი და ქმარი ხარბად გვიყურებდა, მერე ქმარს ჰქონდაო... ქალს ძალიან მოვეწონე, იმიტომ რომ, ჯერ ტუჩიდან არ მომაშორა ტუჩი, მერე კიდევ გენიტელიებიდანო... თავიდან კი შემეშინდა, მაინც როგორია ქმრის თვალწინ ცოლს უშვებიო, მაგრამ როცა კაცმა წყენის ნაცვლად, მხოლოდ აღგზნება გამოხატა, ამოვისუნთქე და საქმე გავაგრძელეო...

როგორც ზემოთ გიამბეთ, რამდენიმე მამაკაცმა ახსენა, რომ ძალადობა იხმარეს მათზე, ან სიტუაცია ჩავარდა ასეთი და მერე შეეჩვივნენ... და ძალადობა აღარ არის დასჯადი?... ის 16 წლის ბიჭი, ვისაც 55 წლის მელოტი და ღიპიანი, ჯიპზე დამჯდარი ბიძა 100 ლარს სთავაზობს მომსახურებაში, არასრულწლოვანი არ არის?

ანუ, ისე შეიცვალა მდგომარეობა, რომ ლგბტ-ს კი არ სჭირდება დამცველი ორგანიზაციები, ჩვენ, ტრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანებს გვჭირდება, ჩვენ ქალისა და მამაკაცისგან შექმნილ ოჯახებს გვჭირდება დაცვა და ინფორმაციულობა, რომ ვაჟიშვილი არავინ გაგვიბახოს...

სტატიის წერისას მეგობარი ჩამეკითხა, ზოოფილია და პედოფილია დასჯადიაო? - კი-თქო, ვუპასუხე, რატომო, ეგაც ხომ სექსუალური გადახრააო? აი, მამაკაცს მოსწონს არატრადიციული სექსი პატარა ბიჭებთან და გეია და ეპატიებაო, მაგრამ მეორე მამაკაცმა სექსუალური კავშირი დაამყარა პატარა გოგოსთან და პედოფილია და ციხეში უნდა ჩაჯდესო... და პედოფილობა მარტო გოგოსთან სექსია, თუ როგორ არის საქმე საქართველოშიო?

მეორე მეგობარმა მკითხა, იქნება იცოდეო, ადრე ქართველი და საქართველო რომ მიყვარდა, პატრიოტი მერქვა, ახლა თუ ქართველი და საქართველო მიყვარს, რასისტი რატომ ვარო? ადრე თუ მამაკაცს, რომელიც ოჯახის სიწმინდესა და რჯულს სცემდა პატივს, შვილებს უზრდიდა სამშობლოს და ქალი უყვარდა, ვაჟკაცს ეძახდნენ და დღეს თუ ოჯახის სიწმინდეზე გაამახვილე ყურადღება ან ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის მნიშვნელობაზე, დისკრიმინაციაში რატომ გვეთვლებაო?

მე არ მაქვს ამ კითხვებზე პასუხი, იქნებ თქვენ გქონდეთ... თქვენ, ვინც მეუბნებით, არ არის აუცილებელი კონსტიტუციაში ჩაიწეროს, რომ ოჯახი მხოლოდ კაცისა და ქალის ერთობააო. თქვენ, ვინც „გვაბოლებთ", რომ ერთსქესიანთა ქორწინების საფრთხე არ არსებობს...

როგორ არ არსებობს, თუ დღესაც უკვე ერთ სახლში და ოჯახებად ცხოვრობენ? როგორ არ არსებობს, თუ ქართველ ბიჭებს გვიბახებენ, ხან სიტუაციიდან გამომდინარე, ხან – ძალადობრივად, ხან ფულის დახმარებით?

და თქვენ, ასე წარბშეუხრელად „გვაბოლებთ", რომ საქართველოში არ არის საშიშროება იმისა, რომ კაცი იყოს პატარძალი ან ქალი ნეფე... განა თქვენთვის უცნობია ის ფაქტები, რომელებიც სტატიაში მოვიყვანე? რატომ, რთული მოსაპოვებელია ეს ფაქტები? რთული საპოვნელნი არიან ეს ადამიანები?

იქნებ, სულაც თქვენ ხართ ის 50 წლის მამაკაცი, რომელიც 20 წლის ბიჭს ორალურ სექსუალურ აქტს სთავაზობს კუს ტბაზე, ჯიპში, 100 ლარის სანაცვლოდ... იქნებ, თქვენ ხართ ის 55 წლის ბიძა, რომელიც 18 წლამდე ბიჭებით ერთობა... იქნებ, თქვენ ხართ ის პოლიტიკას ამოფარებული, ტელევიზიიდან დემაგოგიურად მოსაუბრე კაცი ან ქალი, რომელზედაც, როგორც ჩემმა ერთმა რესპონდენტმა თქვა, ვერასოდეს იფიქრებ, რომ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციისაა... მაშინ გასაგები იქნება, რატომ გინდათ კონსტუტიციაში ხვრელის დატოვება... ამ ხვრელს კი ცოტა ხანში, როცა ტრადიციული ორიენტაციის ადამიანები კიდევ შევცოტავდებით, ან სულაც გავნახევრდებით, ამოავსებთ... ამოავსებთ ერთსქესიანთა კორწინების დაკანონებით...

**თამუნა კუშელავა**

555 46 08 04

რეპლიკა

# უკაცრავად და, თქვენ ორივე ხომ არ „რეპავთ"?

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ გიორგი პაპუაშვილმა მთელი საქართველო შეძრა – არიქა, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს აშანტაჟებენ და გვიშველეთო.

„რუსთავი-2"-სა და ტვ-1-ში გადაპორტირებულ მის პერსონალურ ფილიალს ინგა გრიგოლიას, მეტი რა უნდოდათ და ატყდა ერთი ვაიუშველებელი – გიორგი პაპუაშვილის სკანდალური განცხადება სასწრაფოდ უნდა იქნას შესწავლილი და გამოძიებული, რას ელოდება პროკურატურა, რატომ არ უხმობს დასაკითხად ბატონ პაპუაშვილსო – მთელი ხმით გაჰკიოდა „რუსთავი-2" და ტვ-1-დან პირველ ხმას აშველებდა ინგა გრიგოლია, რომელიც სადაც არ უნდა გადავიდეს და გადმოვიდეს, მაინც „რუსთავი-2"-ის და, აქედან გამომდინარე, „ნაცმოძრაობის" ფარულ მოკავშირედ და თანამზრახველად რჩება.

– თქვენთვის მისაღებ დროს, როცა გნებავთ, მობრძანდითო,



– შეუთვალა პროკურატურამ პაპუაშვილს და ახლა ამაზე ატყდა ერთი ალიაქოთი: რას ნიშნავს, თქვენთვის მისაღებ დროს მობრძანდით, გამოძიება უნდა დაიწყოთ და პაპუაშვილს ოფიციალურად უნდა მიმართოთ, რომ დაკითხვაზე გამოცხადდესო.

ჰოდა, პროკურატურამაც ოფიციალურად გაუგზავნა შეტყობინება საკონსტიტუციო სასამრთლოს, მაგრამ, ჰოი, საოცრებავ, პაპუაშვილმა პროკურატურასთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადა!

თუ პროკურატურასთან არ ითანამშრომლებდით, თუ საქმის გამოძიება არ გინდოდათ, თუ კონკრეტულად არაფრის თქმას არ აპირებდით, აბა, ეს ხმაური და ალიაქოთი რატომ ატეხეთ, ბატონო პაპუაშვილო?

იურიდიულ ენაზე რა ჰქვია მას, ალბათ, თქვენ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, ჩვენზე უფრო კარგად მოგეხსნეებათ და, მოდით, თქვენს საქციელს თქვენ თვითონ დაარქვით სახელი.

სასწაულია პირდაპირ, როგორ შეიძლება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ასე არასერიოზულად ირჯებოდეს და მის საქციელს ასეთი იაფფასიანი შანტაჟის სუნი ასდიოდეს?

– სანამ პროკურატურასთან თანამშრომლობაზე უარს იტყოდა, პაპუაშვილმა პრეზიდენტს შეუარა და სწორედ იქიდან გამოსულმა გააკეთა განცხადება, რომ არაფრის თქმას არ აპირებდა, სამაგიეროდ, ამ შეხვედრის შემდეგ უცებ პრეზიდენტ მარგველაშვილს გაახსენდა, რომ ერთი თვის წინათ მისი ოჯახის წევრი ქუჩაში გააჩერეს, გაჩხრიკეს და რომ ვერაფერი უპოვეს, მერე ბინაში გააგრძელეს ჩხრეკა ყოველგვარი ნებართვის გარეშე.

აი, ახლა კი მართლა შეიძლება ჭკუიდან გადავიდეს ადამიანი...

სად იყავით აქამდე, ბატონო პრეზიდენტო, ერთი თვის განამავლობაში რატომ დუმდით და რაღა მაინცდამაინც პაპუაშვილის სტუმრობის შემდეგ გაგახსენდათ ეს აღმაშფოთებელი ამბავი?

იქნებ გაგვაგებინოს ვინმემ – რა ხდება ამ ქვეყანაში და რატომ იქცევიან საბავშვო ბაღის აღსაზრდელებივით უმაღლესი რანგის სახელმწიფო პირები, რომელთაგან ერთს პრეზიდენტი ჰქვია და მეორეს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე?

– უკაცრავად და, თქვენ ორივე ხომ არ „რეპავთ"? – იკითხა ერთმა მოქალაქემ სოციალურ ქსელში.

საინტერესო კითხვაა, მაგრამ ვინაა პასუხის გამცემი?

**გიორგი გამეზარდაშვილი**

# ძრწოდე მსოფლიოვ! ბაფომეტი, იგივე „თხა-კაცი“ იატაკქვეშეთიდან გამოდის!



**ბნელეთი უტევს ნათელს, მაგრამ ის არ დაკმაყოფილდება სანამ მთელს პლანეტას არ გახვევს თავის წკვარამში. დღეს ილუმინატური ელიტა ძალზედ გაბედულია, ისინი უკვე აღარც მალავენ, თუ რას გვიპირებენ მომავალში. საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ატარებენ გლობალური საიდუმლო საზოგადოებები თავიანთ ბნელ რიტუალებს, მაგრამ როგორც ჩანს, უკვე შევედით იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოდიან იატაქვეშეთიდან და თავიანთ მიზნებს აღარ მალავენ**

ამა წლის ივნისში, როგორც იქნა შედგა შვეიცარიის გოტარდის გვირაბის გახსნის ცერემონია. ეს გახლავთ ყველაზე გრძელი და ყველაზე ღრმა სარკინიგზო გვირაბი მთელს მსოფლიოში. საჭირო გახდა 17 წელი, რათა ეს უნიკალური ნაგებობა აეშენებინათ. მისი სიგრძე 35 კილომეტრია, ადგილ -ადგილ კი მისი სიღრმე 2000 მეტრს აღწევს და ამ უპრეცედენტო გვირაბის მშენებლობა, საერთო ჯამში, 11 მილიარდი ევრო დაჯდა. ამ გვირაბის გახსნა საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა ევროპის პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრებისთვის. ღონისძიებაზე მიწვეულები იყვნენ გამოჩენილი ევროპელი პოლიტიკოსები, ისეთები, როგორებიც არიან გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი, იტალიის პრემიერ-მინისტრი რენცი და საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი.

შვეიცარიიდან გვირაბის გახსნის ცერემონიის ტელეტრანსლიაცია გადაიცემოდა მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ცერემონიის გახსნა შედგებოდა ორი ნაწილისგან და ორივეში ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენდა „თხა-კაცი“, იგივე „ბაფომეტი“. გასულ წელს, სატანისტებმა ბაფომეტის გიგანტური ქანდაკება დადგეს ქ. დეტროიტში. „ბაფომეტის ყველაზე თანამედროვე სახე შემუშავებულ იქნა 1856 წელს ფრანგი ოკულტისტის ელიფას ლევის მიერ თავის წიგნში „ტრანსცენდენტალური მაგია: სწავლება და რიტუალები“. ბაფომეტი მან წარმოსახა, როგორც ფრთიანი ჰერმაფროდიტი, რომლის რქებს შუა ანთებულია ჩირაღდანი, შუბლზე ალბეჭდილი პენტაგრამით. ბაფომეტს ხელებზე ლათინურად აწერია SOLVE (მარჯვენაზე) და COAGULA მარცხენაზე - „შეკვრისა და გახნის“ უფლებამოსილებანი. ელიფაზ ლევის ნახატმა სატანისტები შთააგონა შეექმნათ ახალი ქანდაკება სატანის ეკლესიისთვის. სატანისტების რწმენით ბაფომეტი (იგივე სატანა) ფლობს ყველა ამ ბინარულ ურთიერთწინააღმდეგობებს. იმას რაც ზემოთაა და იმასაც, რაც ქვემოთ არის. ცხოველურსაც და ადამიანურსაც, მამრობითსაც და მდედრობითსაც. ის საკუთარ თავში განახორციელებს ამ წინააღმდეგობებს და არის კონტრასტული.

ჩვენს დროში ბაფომეტს უკვე წარმოიდგენენ სატანად ან მის ადამიანურ განხორციელებად.

სწორედ ამიტომ, მეტად შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ ეს „ადამიანი-თხა“, იგივე „ბაფომეტი“, ანუ იგივე სატანა, ცენტრალური ფიგურა იყო გოტარდის (შვეიცარია) გვირაბის გახსნის ცერემონიისა. ცერემონიის პირველმა ნაწილმა ჩაიარა მიწისქვეშ, და, როგორც ეს ნაჩვენები იყო ჯერ ის მოკვდა, შემდეგ აღსდგა და მას თაყვანსცემენ სპექტაკლის ამ ნაწილში.

მეორე ნაწილში (ისევე როგორც პირველში) სპექტაკლს იწყებს მეშახტეთა კოჰორტა, რომლებიც ჩაცმულები არიან ნარინჯისფერ კოსტიუმებში. ისინი მოდიან როგორც ზომბები და უახლოვდებიან გვირაბის შესასვლელს (ეს ყოველივე გამოსახულია ეკრანზე გამავალ ვიდეოში). იმ დროს, როდესც მეშახტეები თითქოსდა მსხვერპლად ეწირებიან გვირაბს და ჩნდებიან სულები (მოცეკვავეები თეთრი საცვლებითა და ფატით), მსახიობი, რომელიც ჩაცმულია ბაფომეტივით (თხის თავისა და ადამიანის სხეულის მქონე არსება) იწყებს ვუალირებული მოცეკვავეების ხმარებასა და შეჯვარებას. მოცემული სეგმენტის დროს მსახიობის თავს, რომელიც ჩაცმულია ბაფომეტივით (ვიდეოეკრანზე ის ნაჩვენებია შავ-წითელ ფონზე. მის სახეს ნთქავს ჯოჯხეთის ცეცხლი) მიაფრინდებიან სკარაბეუსები ეგვიპტური „ღვთიური“ ხოჭოები, რაც კარგად ჩანს ეკრანზე.

მომდევნო სცენა ასახავს წარმართულ დრუიდულ ცერემონიას, სადაც მსახიობები შემოსილნი არიან შავ ტანისამოსში, რომელთა თავებს „ამშვენებთ“ ხეები, ბუდეები და მცენარეები. „ადამიანი-თხის“ თავზე, რომელიც გაწოლილია იატაკზე ნაჩვენებია გადმოყირავებული ხე და მსახიობები ამ დროს მღერიან სიმღერას ძველგერმანულ და იტალიურ ენებზე. ცერემონია მთავრდება იმით, რომ „ადამიანი-თხა“ კვლავ აღორძინდება, მას ეთაყვანებიან, ის შემოდის თანამედროვე საზოგადოების ტექნოლოგიასა და წარმოებაში.

ამ შოუ-რიტუალის უდიდესი ნაწილი, როგორც ჩანს გამსჭვალულია ღრმად ოკულტური შინაარსით და მისი ნახვა არცთუ სასიამოვნო, შიშის მომგვრელია რადგან ბაფომეტი ოკულტურ საზოგადოებებში ეშმაკის სახეა, ხომ არ იყო მთელი ეს ცერემონია ილუმინატების რიტუალი, რომელიც მოწოდებულია სატანის თაყვანსაცემად? ხომ არ იყო ეს სიხარულის წინასწარი ყიჟინა იმისთვის, რომ ოკულტურ ძალებს აუწყონ ანტიქრისტეს შემოსვლა არცთუ შორეულ მომავალში?

ელიფას ლევის „იდეების გამგრძელებელი„ინგლისელი ოკულტისტი ალისტერ კროული წუხდა, რომ პირველი და მეორე მსოფლიო ომი, დროზე არ დაიწყო და სატანას მსხვერპლი დაუგვიანეს. კროული გარკვეული პერიოდი ანანერბეშიც მოღვაწეობდა...როგორც ჩანს ამჯერად მსხვერპლის გაცემა დროზე დაიწყეს, საფრანგეთის ქალაქ ნიცაში მომხდარი ტერაქტის



შედეგად დაღუპულთა რაოდენობა 80-მდე გაიზარდა. 18 ადამიანი კრიტიკულ მდგომარეობაში იყო არიან დაჭრილებიც, ავღანეთის დედაქალაქ ქაბულში ტერაქტის შედეგად დაღუპულთა რიცხვმა 80-ს მიაღწია. დაშავებულია 230 ადამიანი. მიუნხენში მომხდარი ტერაქტების შედეგად, ბოლო მონაცემებით, გარდაცვლილთა რაოდენობა ცხრამდე გაიზარდა. ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული. თურქეთში მომხდარი სამხედრო გადატრიალების მცდელობა და მსხვერპლი. ერაყის დედაქალაქ ბაღდადში მომხდარი აფეთქება რომელსაც 21 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. არიან დაშავებულებიც.

ეს ყველაფერი ვფიქრობ იმ სატანური რიტუალის შემდეგ ახალი სუნთქვით დაიწყო და გაგრძელებაც ექნება... მსოფლიო ახალი წესრიგი ცეცხლით და მახვილით ცდილობს თავის გავლენის ქვეშ მოაქციოს ყველა და ყველაფერი. პროცესი დიდ ხნის წინ დაიწყო და მსოფლიო მოიცვა. აი რას ამბობდნენ სხვადასხვა დროს საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოს წარმომადგენლები:

„მიუხედავად იმისა, გსიამოვნებთ თუ არა, ჩვენ გვყავს მსოფლიო მთავრობა. საკითხი მხოლოდ იმაშია, ეს მთავრობა მოვა საყოველთაო თანხმობით თუ ძალადობით“ - განაცხადა, 1950 წლის თებერვალში, აშშ-ს სენატში, საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოს წარმომადგენელმა, პოლ ვალბურგმა. 1994 წელს კი ბილდერბერგის კლუბის წევრმა და საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოს საპატიო პრეზიდენტმა, დევიდ როკფელერმა განაცხადა: „ჩვენ ვიმყოფებით გლობალური გარდაქმნების ხანაში. ჩვენ გვჭირდება კარგად ორგანიზებული მსოფლიო კრიზისი და ხალხები მიიღებენ ახალ, მსოფლიო წესრიგს“ 1994 წელს, კანადელმა ჟურნალისტმა სერჟ მონასტმა წარმოადგინა ყოვლისმომცველი და კარგად დოკუმენტრებული ნამუშევარი ნასა-ს პროექტ „ბლუ ბიმ“-თან დაკავშირებით. აი ძირითადი გამაოგნებელი მომენტები ამ ნაშრომიდან:

რელიგიური შეხედულებების განადგურება არქეოლოგიური აღმოჩენებით, როგორიც არის მაგალითად „იესუს სარკოფაგის“ ამასწინანდელი „აღმოჩენა“. გიგანტური მისტიფიკაციის ორგანიზაცია, რომლის მეშვეობითაც მოხდება იესუს მეორედ მოსვლის ჰოლოგრაფიული პროექცია. ცნობიერების გასაკონტროლებლად დაბალი სიხშირეების ტალღების გამოყენება. და ეს ყოველივე არის მსოფლიოს ახალი, სატანური რელიგიის მშენებლობის გეგმის ნაწილი.

სერჟ მონასტი, ყოფილი კანადელი ჟურნალისტი და დამოუკიდებელი საინფორმაციო სააგენტოს, დამაარსებელი, ცნობილია როგორც ახალ მსოფლიო წესრიგთან დაკავშირებული მრავალი საინტერესო სტატიის ავტორი. მონასტი გარდაიცვალა უცნაურ და იდუმალებით მოცულ გარემოებებში. ჯერ კიდევ 1994 წელს მან ინტერვიუში განაცხადა, რომ არა ერთხელ დამუქრებიან მას კანადისა და ვატიკანის პრემიერ-მინისტრები. როდესაც სერჟი, რომელსაც არასოდეს აწუხებდა გულის დაავადებები, სახლში დაბრუნდა, უეცრად დაეწყო გულის შეტევა, რომლისგანაც გარდაიცვალა. მალევე იგივე ბედი ეწია სერჟის თანაშემწე კიდევ ერთ ჟურნალისტს. გამოძიებამ დაადგინა, რომ მეორე ჟურნალისტიც გულის შეტევით გარდაიცვალა. პროექტ „ბლუ ბიმის“ გამოაშკარავებისას სერჟ მონასტმა გამოიყენა უტყუარი და ნამდვილი დოკუმენტები, რაზეც მიგვანიშნებს ჟურნალისტების უეცარი სიკვდილი შემთხვევითი „ინფარქტებით“, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ ნასა-ს ხსენებული პროექტით.

მონასტის დამოუკიდებელი, კვლევითი სააагენტო, იკვლევდა სპეციალურ მოხსენებებს და აუდიონაწერებს, ახალი მსოფლიო წესრიგის სარეალიზაციო გეგმების სამხილებლად. მათი მიზანი იყო დახმარებოდნენ ადამიანებს რათა შეეგნოთ, რომ მომავალი „ახალი მსოფლიო წესრიგი“ სულაც არ არის ოცნება ან პარანოიდალური ვარაუდი. ეს არის სატანური პროექტი, რომელიც რეალურად არსებობს და მიზნად ისახავს ტრადიციული რელიგიების განადგურებას, განსაკუთრებით კი ქრისტეანობისას და მათ შეცვლას ერთი, მსოფლიო რელიგიით, რომელიც ადამიანის თაყვანისცემაზე იქნება დაფუძნებული. ის აგრეთვე მიზნად ისახავს ოჯახის ინსტიტუტის გაუქმებას, რომელიც უკვე ძალაშია და ხორციელდება, და მის შეცვლას სამოქალაქო ქორწინებით, რომელიც გამოადგება ახალ, მსოფლიო მთავრობას. მათი მიზანია გაანადგურონ მხატვრული



და სამეცნიერო შემოქმედების ნებისმიერი ფორმა, რათა დამკვიდრდეს ერთი ხედვა, ერთი მსოფლიო ხელისუფლება, რათა განხორციელდეს მსოფლიოს მოქალაქეობა, რომელსაც ე. წ. „გლობალური სამართლიანობის“ პრინციპით წინ გაუძღვება ერთი სამხედრო ძალა, ერთი კომერციული კანონმდებლობა, რომელიც ძალმოსილი იქნება აიძულოს ადამიანები იცხოვრონ ისეთ მსოფლიოში, რომელშიც თავს მოახვევენ ახალ რელიგიას და ახალ მსოფლიო კულტურას“.

„პირველი ნაბიჯი ამ პროექტის განსახორციელებლად უკვე გადადგმულია, რაც გულისხმობს დღემდე არსებული ყველა რელიგიური ცოდნის დისკრედიტაციას, მათი გადაფასების გზით. პლანეტის იმ ადგილებში სადაც, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი კულტურული-რელიგიური ცნობებია თავმოყრილი, იწვევენ ხელოვნურ მიწისძვრებს, რითაც ცდილობენ თავიდან მოიცილონ ისეთი არქეოლოგიური აღმოჩენები, რომლებიც დაამტკიცებდნენ წარსული ცივილიზაციების სიდიადეს და სიცრუედ გამოაცხადებენ ცნობებს ამის შესახებ“.

დედამიწის მოსახლეობის დაბრიყვების ამ გლობალურ პროექტში გარეულნი არიან არა მარტო მეცნიერები და პოლიტიკოსები. მსოფლიო მთავრობის ელიტაში შედიან რეჟისორები, რომლებსაც შეუძლიათ ცაზე გადაიტანონ სწორი გამოსახულებები, რომელიც აიძულებს ადამიანს დაიჯეროს ილუზორული მოვნლენები. მსოფლიო მთავრობაში შედიან ზოგიერთი რელიგიური ხელმძღვანელები, რომლებიც უკვე ამუშავებენ ერთი, მსოფლიო რელიგიის კონცეფციას.

ამბობენ, რომ „ბოროტი გეგმის მიხედვით, ამგვარი მოვლენების შემდეგ ისეთი სოციუმის შესაქმნელად და ჩამოსაყალიბებლად, რომელშიც მშვიდობით იარსებებენ მილიონობით სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები, ხელოვნურად გამოიწვევენ ისეთ კატასტროფებსა და სამხედრო კონფლიქტებს, რომელიც მანამდე არავის უნახავს. შესაძლოა ეს ვინმეს მოეჩვენოს ფანტასტიკად, მაგრამ ამგვარი მოვლენების გამოსაწვევი ტექნოლოგიები უკვე არსებობს“ რად ღირს თუნდაც ნიკოლა ტესლას გასაიდუმლოებული გამოგონებები.

სხვადასხვა დაზვერვები ადასტურებენ, რომ ბოლო 25 წლის განმავლობაში, როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირში, ასევე აშშ-ში დაგროვდა საკმაოდ დიდძალი კომპიუტერული ინფორმაცია ადამიანის ტვინის ელექტროქიმიური და ბიოლოგიური თვისებების შესახებ, რომელიც მილიონობით ადამიანზე ექსპერიმენტების ჩატარების შედეგად მიიღეს. ეს მონაცემები შესაძლებლობას იძლევა მოხდეს ადამიანის სმენითი და ვიზუალური ხედვითი შეგრძნებების მანიპულირება. არსებობს აგრეთვე მონაცემები მსოფლიოს ყველა ენასა და დიალექტზე, რომელთა დახმარებით შეიქმნება ხელოვნური შეტყობინებები, რომლებიც ნებისმიერი ადამიანისთვის იქნება გასაგები. ადრე ძნელი იყო ელექტრომაგნიტური ტალღებისა და ჰიპნოზის შერწყმაზე გამოკვლევების ჩატარება. მაგრამ, უკვე 1974 წელს, მკვლევარმა გ. შაპისმა განაცხადა, რომ „ინფორმაცია შეიძლება მოდელირებულ იქნას ჰიპნოზის ელექტრომაგნიტური ტალღით ისე, უშუალოდ ვიმოქმედოთ ადამიანის ტვინზე. სადაც, ვიზუალური დამორჩილების გარეშე, საცდელ ადამიანზე ბგერითი ტალღების მიმართვით არსებობს დიდი შესაძლებლობა, ვმართოთ საცდელი პიროვნების მიერ აღქმადი ინფორმაციის ნაკადი“.

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30
**(გაგრძელება იქნება)**



# „ნაცმოძრაობამ“ კორუფცია, როგორც თვითონ ამბობენ, კი არ დაამარცხა, ზენიტში აიყვანა!

არავის დაცვა-ქომაგობას არ ვაპირებთ, მაგრამ „ნაცმოძრაობის“ წევრების კნავილი — ჩვენს დროს პოლიციაში კორუფცია სრულიად ამოვძირკვეთო, მტკნარი სიცრუეა! ტყუილი, თანაც როგორი მამალი ტყუილი! ოპონენტები, დარწმუნებული ვართ, გამოჩნდებიან და იტყვიან, Mმთლად ეგრე არ არის საქმეო. ნაწილობრივ მართლებიც იქნებიან, რადგან კორუფცია მხოლოდ დაბალ დონეზე იყო აღმოფხვრილი. იმ ადამიანებისთვის, ვისაც იმჟამინდელ სამართალდამცველებთან შეხება არ ჰქონია, ძნელი დასაჯერებელია, რომ კორუფცია ყვაოდა და თანაც მხოლოდ მაღალ ეშელონებში.

მოდით, ფაქტები მოვიშველიოთ. სააკაშვილის მმართველობის პერიოდში შსს-სა და ნესი ხვდა წილად. დავუბრუნდეთ ნარკოტიკებს.

დიახ, იმ პერიოდში შსს-ის მაღალჩინოსნების ხელდასმის გარეშე ვერავინ გაბედავდა ნარკოტიკებით ვაჭრობას. ციხეში ყოფნისას „ნაცმოძრაობის“ წყალობით მქონდა „ბედნიერება“, საკუთარი თვალით მენახა სასჯელაღსეულების სისტემის იმდროინდელი ყოფა) პატიმრები ერთმანეთში საუბრობენ, ვინ რისთვის იყო დაპატიმრებული. მართლა გულწრფელად გავოცდი, როდესაც 4-5 ერთმანეთის მსგავსი ისტორია მოვისმინე.

ნარკოტიკებით ვაჭრობის და იქიდან შემოსავლის მიღების გარდა, შსს-ის თანამშრომლებს ხალხის დაჭერაც ევალებოდათ. თუმცა დილემის წინაშე იდგნენ, რადგან ყველა „ბარიგას“ თავისი აღმოაჩნდა, ორი თვის შემდეგ გაუშვეს. როგორც ამბობდნენ, საკმაოდ გავლენიანი მფარველი აღმოაჩნდა და სოლიდური თანხაც გადაახდევინეს.

2005 წლის ბოლოს 2 კგ (!) ჰეროინის შემოტანისთვის აზერბაიჯანის მოქალაქე დააკავეს. ავადსახსენებელი ციხის ბუნტის დროს მოკლულთა შორის ის ადამიანიც აღმოჩნდა. იმ 2 კგ ჰეროინის ფასის დადგენა „პროფესიონალი“ მომხმარებლებისგანაც ვერ შევძელი.. თუმცა ნარკოტიკების ასეთი დიდი პარტია „ნაცმოძრაობის“ პერიოდში აღარ დაუკავებიათ. თუმცა ვინ დაიჭერდა, როდესაც თავად იყვნენ გამსაღებლები.

ციხეში ახალმიყვანილს თავდაპირველად ე. წ. „კარანტინში“ ამყოფებდნენ. გაუსაძლის ანტი-



პროკურატურის სპეცანგარიშები რომ არსებობდა, ყველას კარგად მოეხსენება.

გავიხსენოთ მუხროვანის მოვლენები, როდესაც ვანო მერაბიშვილი, შსს-ის მინისტრი, ასტრონომიულ თანხებს ჰპირდებოდა თანამშრომლებს ჯილდოდ. საკუთარი ჯიბიდან ერთ თეთრსაც რომ არ ამოიღებდა, ესეც ცხადია. გამოდის, „ღირსეულები“ შავი სალაროდან ბინძური ფულით უნდა დაესაჩუქრებინა. 2006 წელს ქვეყანაში მარილის დეფიციტი რომ შეიქმნა, ვანო მოაგვარებსო, განაცხადა შლეგმა სააკაშვილმა. რა, ჩვენს შსს-ს მარილის საბადოები აქვს? სულაც არა, უბრალოდ, იმ მეწარმეებს ააწიოკებდნენ, ვისაც ეს ბიზნესი ჰქონდა.

საპროცესო შეთანხმებებში ხომ მერაბიშვილი და ადეიშვილი უშუალოდ მონაწილეობდნენ. ისინი აწესებდნენ ნიხრს, ვის რამდენი უნდა გადაეხადა. ესეც გაცვეთილი, თუმცა მიჩუმათებული თემაა და არ ღირს ამის შესახებ დაწვრილებით საუბარი.

„ნაცმოძრაობა“ სიტყვიერად ნარკომანიას ებრძოდა. მაგრამ, იმავდროულად, ახალისებდა კიდეც. იმჟამინდელ შსს-ში ფუნქციები შემდეგნაირად გადანაწილდა: სოდ-ი, კუდ-ი, კრიმინალური პოლიცია ნარკომოვაჭრეებს აკონტროლებდა, დაცვის პოლიციას პროსტიტუციის ბიზმფარველი ჰყავდა, რაც ყველამ კარგად იცოდა. ამის გარდა, არც კოლეგასთან უნდოდათ სამართალდამჩველებს თავის შერცხცვენა, რადგან მერე ის ვიღაცა საპასუხოდა დაიჭერდა ამათ „ბარიგას“. ისიც სათქმელია, რომ ყველა „ბარიგას“ თავისი ნრობით აღჭურვილი პირი ჰყავდა, ნებისმიერს არ ენდობოდა.

მოვლენები, რომლებიც ზემოთ ვასხენეთ, ასე ვითარდებოდა: შეიკრიბა ფული და მიდის ნდობით აღჭურვილი პირი „ბარიგასთან“. აი, რას ყვებოდნენ მონაწილეები: „ავიღე წამალი, ჩავჯექი მანქანაში და წამოვედი. საკმაოდ დიდი მანძილის გავლის შემდეგ შევამჩნიე, ერთ-ერთი საეჭვოდ მომყვებოდა. გულმა ცუდი მიგრძნო, მარშრუტი შევცვალე და „ფაქტები“ (ანუ ნარკოტიკები) მოვიცილე. მართლაც გამაჩერეს, მაგრამ წამალი მიპოვეს, თავიანთი ჩამიდეს. პირობა წამომიყენეს, „ბარიგა“ მოგვეციო (ანუ დაგვაჭერინეო). ამას ისევ ციხეში ყოფნა მირჩევნია, მაგის მფარველს როგორ გადავურჩები, მართლა რომ ვითანამშრომლო გამოძიებასთან. თუ დაჭერა უნდოდათ, იქ არ იყვნენ? ძალიანაც კარგად იციან, ვინც ყიდის, მაგრამ თავის გასამართლებლად ვჭირდები, ჩვენ რა შუაში ვართ, მაგან დააბეზღაო, იტყვიან“.

ერთ-ერთი პიროვნება, რომელსაც ათასი (!) აბი სუბოტექსი სანიტარიულ პირობებს, უჰაერობას ბევრი ვერ უძლებდა, ამიტომ პატიმარი იძულებული იყო, გარკვეული თანხა (50-დან 100 ლარამდე იყო დაწესებული ნიხრი) გადაეხადა და საკანში აეყვანათ! წარმოიდგინეთ, საკანი სანატრებელი ჰქონდა ხალხს! ესეც წამების ერთ-ერთი ფორმა იყო. თუმცა დამნაშავე რეჟიმის წარმომადგენლები უარყოფენ წამების ფაქტებს, მაგრამ რას ეუბნებიან იმ ხალხს, რომლებმაც ეს წნეხი გამოიარა.

ახლა იმ დამნაშავე რეჟიმის წარმომადგენლებს სურთ, კვლავ დაბრუნდნენ ხელისუფლებაში. კორუფცია დავამარცხეთო, ურცხვად გაიძახიან, თუმცა ჩვენს მიერ მოთხრობილი ამბები საპირისპირო ვითარებას გვაჩვენებს.

ხალხს არც ფინანსური პოლიციის განუკითხაობა დავიწყებია. პირსისხლიანმა „ნაცმოძრაობამ“ კორუფცია კი არ დაამარცხა, ზენიტში აიყვანა. შევარდნაძის პერიოდში მუშაობისთვის საყვედურობენ ყოფილ ჩინოვნიკებს. მათ ჰგონიათ, ხალხს მოკლე მახსოვრობა აქვს. „ნაცმოძრაობის“ რამდენ წევრს ეკავა თანამდებობები შევარდნაძის პერიოდში, რამდენი იყო შევარდნაძის პარტიის წევრი, ყოფილი „მხედრიონელი“. კარგად გვახსოვს და ძნელად დაგვავიწყდება.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# ვის იგდებთ მასხრად, თქვე მართლა ტაკიმასხარებო?!



„02 საათსა და 14 წუთზე ხილვა მქონდა, ხალხოოოო! იქნებ ჯაჯანიძეს იცნობთ პირადად ვინმე და ამცნოთ.

დავინახე ფრინველის ბუმბული მოფრინავდა ციდან. ის-ის იყო უნდა დამეჭირა და უფრო ზევიდან ვიღაცის ხმა მომესმა: არ შეეხო, ეგ ჩემი ქუდის ფრთააო. შევშინდი. უცებ ღრუბელი გაიხსნა, იქიდან დიდი ხელი ჩამოიწია და ფრთა დაიჭირა. შემდეგ ცა გაიხსნა და ვაი, საოცრებავ! — დავინახე, შოთა რუსთაველი მიყურებს. ფრთა კარაკულის შავ ქუდში ჩაირჭო... უფრო შევშინდი. ისევ გაისმა ხმა: ნუ გეშინია მოყმე თეიმურაზ, მე არაფერს დაგიშავებ... ერთი თხოვნა შემისრულე თუ შეძლებო. გაქცევა მინდოდა, მაგრამ ფეხები არ მემორჩილებოდა... გავქვავდი და ხმის კანკალით ვკითხე: რა თხოვნა, ბატონო შოთა-მეთქი? უფლებას გაძლევ „ბატონოს“ გარეშე, უბრალოდ,



შოთა დამიძახეო... აუცილებლად მოძებნე ჯაჯანიძე და სიტყვასიტყვით გადაეცი რომ ჩემი საფლავი თუ უნდა რომ იპოვოს, მე ვმარხივარ თბილისის „ნაციონალური მოძრაობის“ ზუსტად სათაო ოფისის ქვეშო... ეს თქვა და ნელ-ნელა გაქრა... ისიც მითხრა, კონკრეტულად ტერიტორიის რომელ ადგილზე, მაგრამ აქ ვერ დავწერ სახელმწიფო ინტერესიდან გამომდინარე...

გავახილე თვალები და ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს არცკი მძინებია... დანარჩენს, იმედია, „სხვა რაკურსის“ საშუალებით შეიტყობთ ამა წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში, როცა სათაო ოფისის დანგრევის შემდეგ არქეოლოგიური გათხრები დაიწყება... რა თქმა უნდა, თუკი ჯაჯანიძე დაინტერესდება ამ შოკისმომგვრელი ინფორმაციით...

ჯერ კიდევ ვერ მოვსულვარ აზრზე...“ — მსახიობი თემურ გვალია.

ბატონი თემური კი არა, ვინც გასული კვირის ორ გადაცემას „ჯაჯანიძის შოუს“ და „ეკა ხოფერიას შოუს“ რატომღაც კვლავ უყურა, ჯერ კიდევ ვერ მოსულა აზრზე, თუმცა, მაყურებელიც გასაცალკევებელია. ერთნი ამ და ამდაგვარ მდარე სატელევიზიო პროდუქტს ხბოს აღტკინებით შესცქერის, მეორენი — უსაქმურობისგან მოწყენილები, როგორც სპექტაკლს, მდარეს, მაგრამ მაინც სპექტაკლს, რადგან მართლაც რომ შოუა, სპექტაკლი მავანთა შესრულებით...

ყველაზე რეიტინგული გადაცემა რადგან „ჯაჯანიძის შოუ — სხვა რაკურსი“ ყოფილა, მისით დავიწყოთ და რადგან ერთი ფასი აქვს მის ყველა გადაცემას, ზოგადად მისი შოუს უნებლიე რეკლამა რომ არ გამოგვივიდეს, მხოლოდ გასული კვირის გადაცემა ვახსენოთ და ამით მოვხაზოთ მთელი მისი შოუ.

ვისაც არ უნახავს აღნიშნული გადაცემა მიზეზთა გამო, აბსოლუტურად პირდაპირი მნიშვნელობით ვამბობ — გადარჩენილა კიდევ ერთ შეურაცხყოფას, რომელსაც ყველა გადაცემაში აყენებს აღნიშნული გადაცემის ე.წ შემოქმედებითი ჯგუფი სრულიად საქართველოს მოსახლეობას.

საქართველოს ტელევიზიები რომ ტელევიზიას არ ჰგავს არაფრით, დაწყებული წამყვანთა გარეგნობით, ჩაცმულობით, მეტყველებით, ქცევისა და მეტყველების კულტურით, იდეურად, აზრობრივად, შინაარსობრივად და საერთოდ, არაფრით გარდა ტექნიკური მახასიათებლებისა — დიდი ხნის ამბავია, ამჯერად სხვა მხარეზეა საუბარი.

რომელი აუდიტორიისთვისაა განკუთვნილი ეს გადაცემები, რომელზეც არცთუ მცირე თანხა, დრო და ადამიანური რესურსი იხარჯება? ვისი ხელშეწყობით, შეკვეთითა თუ მონდომებით აქვს ანთებული „მწვანე შუქი“ ამგვარი მარაზმების ტირაჟირებას?

არ შეიძლება, ადამიანთა ჯგუფმა პირადი ინტერესებიდან გამომდინარე საქვეყნოდ მასხრად აიგდოს საეჭვო წარმოსახვების მქონე არც ერთი ადამიანი!

ამავე გადაცემაში იყო „მოპარული ისტორიები“, ალბათ, როგორც სხვა გადაცემებში, შოუსთვის სერიოზული ელფერის მისაცემად, სერიოზული თემა, რომლის შესახებაც წარმოდგენა არ აქვს არა მხოლოდ ჯაჯანიძეს, არამედ მთელ მის მაყურებელ აღტაცებულ აუდიტორიას.

დიახ, ასეა, რადგან ის აუდიტორია, რომელიც გულისფანცქალით ელოდება ხუთშაბათ დღეს, რომ „სხვა რაკურსში“ იხილოს და მოისმინოს ჯადობაზთა და პედერასტთა (სხვადასხვა განშტოების) საუბრები; ჩვეულებრივი და არა ჩვეულებრივი, ანუ ე.წ „ელიტარულ ბოზთა ღაღადი“ და ა.შ მრავალი სხვა უმგვანობა და გადაცემის შემოქმედი, რომელიც ამ ყველაფრით იკვებება, ვერაფრით იქნება მისთვის საკვები ვერც ძველი კოლხეთის დიდება და ვერც შუმერული ცივილიზაციის კოლხური საწყისები, მითუმეტეს, გია კვაშილავას (და სხვა მეცნიერ-მკვლევართა) საუბრები... ან, რომელი საუბარები, როცა საქართველოსთვის (კოლხეთის ცივილიზაციას, ქრისტემდელ ეპოქას) მოპარული ისტორიისთვის სასაუბროდ მხოლოდ რამდენიმე წუთი ჰქონდა გამოყოფილი, ისიც რამდენიმე ჭკუისსაკითხავ კაცზე გაყოფილი...

თაფლაკვერად დაყენებული მეტყველების მქონე თავმომწონე ჯაჯანიძეს ფეხზე რომ ჰკიდია რას იტყვის გონებრივად ჯანმრთელი და გემოვნებიანი მაყურებელი მის გადაცემასა თუ პირადად მასზე, ფაქტია, მაგრამ იქნებ ვინმემ გადასცეს, რომ მასხრად იგდებენ მასაც, სხვათა მასხრად ამგდებს...

„ვუყურებ და რა ვთქვა, ეს ხომ გადაცემა არ არის, ჩვეულებრივი საგიჟეთია“; „ჯაჯანიძეს თავი „კრეაწივის მამა “ და „სკანდალნი ვედუში“ ჰგონია, აალაპარაკა საქართველო, არა?“ „ჯაჯანიძე მაგრად კაიფობს თავისთვისაც და ხალხზეც“; „სულ რაღაც 2-3 მკითხავი იყო საბჭოთა საქართველოში, ამ ჯაჯანიძემ საიდან ამოთხარა ეს ნიკლაევსკი ბოზები?“ „ამდენი გიჟი ერთად არ მინახავს“; „რას გიშავებთ ჯაჯანიძე, თავისთვის დაჯუჯულობს“; „ვაიმე, რა ეშველება ამ ხალხს?“; „გადავფიჩინდი, ეს რა იყო?“ „თქვენ აშშ-ის გოსსიპ-შოუები რომ განახათ, რას იგონებენ, რას გიჩვენებენ, ოღონდ გაგაოცონ“; „შიგნაკრავები“; „ასეთ გადაცემებს რომ რეიტინგი ექნება, დროს უთმობენ ტელეეთერში, რას ვითხოვთ ან ვისგან?“ „არ ვუყურებ არც ერთ შოუს, თემო გვალიას სტატუსიდან გავიგე რაც ხდება. გარეკა „სასტავმა“ საბოლოოდ, ოღონდ, ვიცინო თუ ვიტირო, აღარ ვიცი“; „ჯაჯანიძემ რომ თამარ მეფის საფლავი აღმოაჩინოს, არ მოგვეჭრება დუნიაზე თავი?“ „სირცხვილი და თავისმომჭრელი იყო ეს ყველაფერი. ასე უტვინო და იდიოტიც როგორ უნდა იყო ადამიანი რომ ასეთ სამარცხვინო სიუჟეტებს უშვებდე“; „უსაქმური მუქთახორები“; „ვაიმეეე, როგორ აკლია მაგათაც და როგორ მიშლის ნერვებს ეს ჯაჯანიძე“; „რომ დაგვანებოს თავი თავისი უაზრო და ძალიან დაბალი დონის შოუთი, არ შეიძლება?“ „მაინც ამოვთხრიო — ამ ჩემისამ“; „ვაი, დედა, რამდენი კრამიტდაცურებულია ამ ქვეყანაზე. ჯაჯანიძე ჩემს ეზოში რომ ყოფილიყო, ვაცდიდი გათხრას და რო გათხრიდნენ, ჩავაწვენდი ცოცხლად შიგ“; „ჯერ ერთი, ჯაჯანიძის ქმედებას „შავი არქეოლოგია“ ეწოდება და დასჯადია“ გარდა მაგისა, არქეოლოგიური გათხრების ჩატარებას ჯერ ხელისუფლების ნებართვა სჭირდება და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებენ სპეციალისტები სადაზვერვო სამუშაოებს“; „ჯაჯანიძე აფერისტ!“ „კარგით, რა! რა გვჭირს, ვის აკეთებინებენ გადაცემებს! სირცხვილია! ამდენი ნიჭიერი ხელოვანი უმუშევარია... პროვინციალიზმია, აბა, რა არის! ერთი დიდი პროვინცია გავხდით!“

იგივე ხდება და კიდევ უარესიც სხვა ე.წ შოუებში, დაწყებული მავანთა სექსუალური მიდრეკილებების წარმოშობის საფუძვლებიდან, დამთავრებული სხვათა სექსუალური მიდრეკილებების წარმოშობის საფუძვლებით, მაგრამ გადაცემის წამყვანს საკუთარ გადაცემაში საკუთარი პიროვნებისთვის მოეწყო დაბადების დღე (ბენეფისს ვერ დავარქმევთ) და ეს გადაცემის თემად ექცია, ასეთი თავხედობის ჩადენა მხოლოდ „რუსთავი-2-ის“ საინფორმაციო სამსახურის ყოფილ უფროსს თუ შეეძლო. დიახ, ეკა ხოფერიას, დაწყევლილი ე.წ „ვარდების რევოლუციის“ მომწყობი საინფორმაციო საშუალების იმდროინდელ რუპორს, რომელიც მართლაც მუხლჩაუხრელად შრომობდა დღე და ღამე, სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის ხელისუფლებაში მოსაყვანად და ხალხს მოუწოდებდა ქუჩაში გამოსვლისკენ სახელმწიფო გადატრიალებისკენ...

„შოუ“ ერქმევა, „თოქ-შოუ“ თუ „შოუ ვინმესთან“ ერთად, სამარცხვინოა ეს ყველაფერი, სამარცხვინო და იმავე დროს შეურაცხმყოფელი მთელი ქვეყნისთვის, რომლის მოსახელობასაც ამ „შოუების“ ავტორები, როგორც ჩანს, გონებაშეზღუდულა არსებებად მიგვიჩნევენ...





# კრიზისი საოპერო თეატრში

## ვინ გააგდებს კინწისკვრით კინწურაშვილს ოპერის თეატრიდან?

უკანასკნელ ხანს მედიაში აქტიურად შუქდება საოპერო თეატრის ტრაგიკომედიები. უნიჭო, უქნარა, არაფრისმცოდნე და ყოვლად შეუფერებელი სამხატვრო ხელმძღვანელი, მიუღებელი არამცთუ ოპერის თეატრისთვის, არამედ სამუსიკო სამყაროს ნებისმიერი სფეროსთვის — ეს გახლავთ გერმანიაში «გამოწრთობილი», გამოჩენილ დირიჟორად რომ მოგვევლინა თეატრის ასაყვავებლად. არავინ იცის, ეს უნიჭო «დირიჟორი» ან ვინ ჩამოიყვანა, ან ვის გონებაში დაიბადა აზრი მისი ისეთ საპასუხისმგებლო ადგილზე დანიშვნისა, როგორიც არის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელის პოზიცია. დღიდან მისვლისა, შეიქმნა რამდენიმეკაციანი ჯგუფი მისი მეხოტბეებისა. ესენი იყვნენ: **გოჩა დათუსანი, სულხან გველესიანი, ვანო გალუაშვილი, ირინა რატიანი**.

ამ დროს თეატრი საშინელ კრიზისს განიცდის და ეს შეეხება მხოლოდ საოპერო დასს. დავიწყოთ იქიდან, რომ საოპერო თეატრის 6-წლიანი ჩავარდნის შემდეგ, იანვარში სეზონის გახსნაზე «აბესალომ და ეთერის» დირიჟორობდა არა ეს «გენიოსი», არამედ — **ზაზა აზმაიფარაშვილი**. საოპერო თეატრის რეპერტუარი მოიცავს ორად ორ ოპერას: ახლად აღდგენილ «აბესალომ და ეთერს» და რ. ლეონკავალოს «ჯამბაზებს». რაც შეეხება «ნოვატორულ» ოპერა «სამოსელ პირველს», იგი შემქმნელთა აზრით, იყო ოპერისა და დრამის სინთეზი. მაგრამ ამ იდეის ავტორს ისიც უნდა სცოდნოდა, რომ საოპერო ხელოვნება დასაბამიდანვე სიტყვიერი და მუსიკალური დრამატურგიული განვითარების გარეშე წარმოუდგენელია. ჯერ კიდევ 1592 წელს დაიდგა პერის და კაჩინის ოპერა «ორფეოსი», რომელშიც დრამატურგიულთან ერთად საოპერო დრამატული ხაზიც ვითარდებოდა. ამის ნათელი მაგალითია ასევე ოპერები: «ოტელო», «ტრუბადური», «ტრავიატა», «რიგოლეტო», «მაკბეტი», ვერდის მრავალი სხვა ოპერა, რომლებიც პირველწყაროს პატარა კუპიურების მიუხედავად, კვალდაკვალ მიჰყვება შექსპირის, დიუმას და სხვათა დრამატულ ნაწარმოებებს. «სამოსელ პირველში» გამოყენებულია ორიგინალის ტექსტიდან აღებული დიალოგების ფრაგმენტები, რომელთაც არც არავითარი დრამატურგიული განვითარება გააჩნიათ და არც არანაირ ექსპერიმენტს ის არ წარმოადგენს, საერთოდ არავითარ კავშირში არ არის ამ ფსევდოოპერის პირვანდელ ჩანაფიქრთან. ერთი ალთას არის და მეორე — ბალთას. ეს არის არა საოპერო თეატრში წარმოსადგენი მასალა, არამედ სკვერების, ბაღებისა და ქუჩის იაფფასიანი სანახაობა, ბალაგანი, დოჩანაშვილის ტექსტიდან აქა-იქ ამოგლეჯილი, ურთიერთდაუკავშირებელი რეჩიტატივებით. რაღაც ბოდვა არ უნდა დაედგათ საოპერო თეატრში. ამის ავტორს, ბატონ **მარჯანიშვილს,** ერჩივნა მიეხედა თავისი ბარისა და ბარმენებისთვის. სირცხვილია! პირად შეურაცხყოფად მივიჩნევ, ამ სისულელისთვის ყურადღების დათმობა რომ მიწევს, მაგრამ ბედის ირონიით ეს ყველაფერი ხდება თბილისის საოპერო თეატრში, რომელიც მსოფლიო საოპერო ხელოვნების უდიდეს ცენტრებს არ ჩამოუვარდებოდა თავისი პოტენციით, ტრადიციებით, გემოვნებით, საშემსრულებლო ოსტატობით. ამ უგემოვნო კიჩის მუსიკა ავტორის ბარ «ზაზანოვაში» გაგონილი სიმღერების კრებულია, რომელიც იტალიურ ხასიათს უფრო ატარებს, ვიდრე რამენაირ ორიგინალურ ხელწერას. ამ ფაქტზე უარესი, რაც მოხდა, ამ ზაფხულს საოპერო თეატრი დაეთმო ვიღაც ჩამოსული მილიარდერის ქალიშვილის და სიძის გასართობად დახურული კონცერტის მოწყობას. თურმე ეს იყო ამ წყვილის საქორწინო მოგზაურობის ნაწილი. ვფიქრობ, კომენტარი ზედმეტია! მსგავსი კურიოზი მოხდა უკანასკნელ ხანებშიც. ინდიველები იღებდნენ კლიპებს, სადაც დარბაისლებს თავიანთ ხალხს ათამაშებდნენ, ხოლო შიშველ ქალებად ქართველები ჰყავდათ დაქირავებული.



საოპერო თეატრს რომ «უთავო მხედარი» და სრულიად გაუნათლებელი **დ. კინწურაშვილი** ხელმძღვანელობს, ამაზე კიდევ ერთი უმეცრების აპოთეოზიც მეტყველებს: კაცმა, რომელმაც არ იცის, რა არის რექვიემი, პირველ განყოფილებაში შეასრულა მოცარტის «რექვიემი», ხოლო მეორეში — ვინმე ჭაბაშვილის, უცნობი «კომპოზიტორის», «რექვიემი», მიძღვნილი დავით კინწურაშვილისადმი. რომელ ერთ უმეცრებაზე მოვახსენო საზოგადოებას? 1. ვუნდერკინდი მოცარტის, ვენის კლასიკური სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენლისა და ვიღაც ჭაბაშვილის რექვიემების ერთ საღამოს გაჟღერება უხერხულიც არის და უმეცრულიც. 2. ამ «გენიოსებმა» ისიც კი არ იციან, რომ რექვიემი არის მიცვალებულთა სულის მოსახსენიებელი ნაწარმოები. 3. კინწურაშვილის სიხარული ცოტა არ იყოს ნორმის ფარგლებს გაცდენილია. ის ვერ ხვდება, რომ უკვე პანაშვიდი გადაუხადა ამ ვითომ კომპოზიტორმა, ამ ნაწარმოებით უკვე გაღმა სოფელში მიუჩინა ადგილი. ბიძინა ივანიშვილის ცნობილი ტერმინი რომ გამოვიყენოთ, ჭაბაშვილმა ცოცხლად «მიჯირყვნა» «სახელგანთქმული მაესტრო».



საოპერო დასის ჩავარდნაზე კრიტიკული გამოსვლა ჰქონდა ცნობილ მომღერალ **თამარ ივერს**. მან ისაუბრა თეატრის აღორძინებისთვის საჭირო ღონისძიებებზე, რაც მხოლოდ კინწურაშვილის წასვლის შემდეგ იქნება შესაძლებელი.

გადაღება მიმდინარეობდა წითელ დარბაზში, რომლის ქირავნობის ღირებულება უცხოელებისთვის საათში 5 ათას ევროს შეადგენს. გადაღების შემდეგ დედიშობლა მსახიობი გამოვარდა რუსთაველზე, თეატრის წინ და მთელი ხალხი შეიყარა, იყო ერთი ამბავი.

სავალალოა, რომ ჩვენი ახალგაზრდა შემსრულებლები გაფანტულები არიან მსოფლიოს საუკეთესო საოპერო ცენტრებში, სადაც სეზონებს ხსნიან, მთავარ პარტიებს ასრულებენ და სამშობლოში თვითრეალიზაციის ყოველგვარი პერსპექტივა მოსპობილი აქვთ.

ცნობილი მომღერლის, **მზია ნიორაძის,** აზრით, ნიჭიერი პროფესიონალი უნდა მოვიდეს და კინწურაშვილი საერთოდ ჩამოაშორონ თეატრს.

**ნანა ქავთარაშვილი,** რომელიც დღესაც დიდი მოწონებით სარგებლობს ევროპის ქვეყნებში, მოითხოვს თეატრში ნორმალური სამუშაო ატმოსფეროს შექმნას, რეპერტუარის აღდგენას, რათა გაჩნდეს შესაძლებლობა, რომ უცხოეთში მოღვაწე ჩვენმა აღიარებულმა მომღერლებმა ჩვენი თეატრის სცენიდანაც გაახარონ ქართველი მსმენელი.

**ანიტა რაჭველიშვილმა** განაცხადა: «სანამ ეგ იდიოტი მანდ იქნება, არასდროს ჩამოვალ ჩემს ქვეყანაში გასტროლებზეო».

ამ დარგში მოღვაწე ხელოვანებისთვის ამოსავალი უნდა იყოს თეატრის ინტერესები და არა სუბიექტური კარიერისტული ვნებანი. **ვიზიარებ ზემოხსენებული ვარსკვლავების დამოკიდებულებას და დავძენ, რომ კინწურაშვილი კინწისკვრით უნდა გააგდონ თეატრიდან.**

თეატრის საოპერო დასის ორგანიზმი დღესდღეობით პარალიზებულია. სოლისტების, გუნდის და ორკესტრის მსახიობთა სამხატვრო ხელმძღვანელის გათავისუფლების მოთხოვნით გაფიცვის ფონზე მიჩნდება კითხვა: თუ აქვთ შესაბამის სამსახურებს გაცნობიერებული, რა სახეს მიიღებს ეს პროცესი, ვინ უნდა ჩაანაცვლოს თეატრის ხელმძღვანელობა და თუ გვყავს პროფესიონალები? საპენსიო ასაკის მომღერლებს სურთ, რომ სარბიელი თავად დაიმკვიდრონ, უნარიანი ახალგაზრდები ჩამოიშორონ, რომლის უამრავი ფაქტი თვალწინ გვაქვს დაინტერესებულ გულშემატკივრებს, მათი სურვილია, რომ შოუმენი **ჯანლუკა მარჩიანო** კვლავ დააბრუნონ თეატრში და კვლავ **დავით საყვარელიძეს** გადააბარონ თეატრის მართვის სადავეები. დავით საყვარელიძის მმართველობის დროს დადგმული სპექტაკლების კრახი სპეციალისტებს და მსმენელებს დღემდე ვერ მოგვინელებია.

ამ საკითხებზე წარმოდგენა არ აქვთ კულტურის სამინისტროში, რადგან გაუთვითცნობიერებლები არიან, არ იცნობენ დარგის სპეციფიკას. მინისტრი **დავით გიორგაძე**, წყალბურთელი და პრომოუტერი, და მისი მოადგილეები იმით არიან დაკავებულნი, რომ ჩამოიყვანონ პოპ-მუსიკის სტარი რობი უილიამსი, რომელმაც სპორტის სასახლეში გრანდიოზულ კონცერტზე უცნაური სიურპრიზი შესთავაზა მაყურებელს. არ ვიცი, ხვდება თუ არა ბატონი მინისტრი, რომ ამ არტისტის ეს მარაზმატიკული ქმედება შეურაცხმყოფელია ყველასთვის. ამგვარი მომღერლების პრომოუშენით დაკავებული მენეჯერი ვერ შეძლებს საოპერო თეატრის საჭიროებების გააზრებას და იმ პრობლემების გადაწყვეტას, რაც მოჰყვა არაპროფესიონალების ხელში თეატრის გადაცემას.

საზოგადოება ელოდება სამინისტროს რეაგირებას, ამ მძიმე მდოგმარეობიდან გამოსავალს, მაგრამ, როგორც ამბობენ, მინისტრსა და ამ უნიჭო ხელმძღვანელობას პირი აქვთ შეკრული და სულაც არ გეგმავენ სასიკეთო ცვლილებებს. მუსიკის მოყვარულთა საზოგადოება დაზაფრულია. კულტურის სამინისტრომ დაასახელა სამხატვრო ხელმღვანელისა და მთავარი დირიჟორის კანდიდატურები: **ზაზა აზმაიფარაშვილი, გოგი ჭიჭინაძე** და **ვახტანგ მაჭავარიანი.** ზაზა აზმაიფარაშვილზე მხოლოდ ერთ ისტორიას გეტყვით მოკლედ, სადაც, ვფიქრობ, ნათლად ჩნდება მისი მერყევი ხასიათი. გენიალური **ზურიკო ანჯაფარიძის** ვაჟიშვილი, ზურიკო ანჯაფარიძე უმცროსი, უბრწყინვალესი ხმის და მუსიკალური მონაცემების დრამატული ტენორი, დღემდე სტაჟიორადაც კი არ მიიღეს თეატრში. მახსოვს მაესტრო **ნოდარ ანდღულაძის** აღფრთოვანება 14 წლის ზურიკოს გასინჯვის შემდეგ. გაფართოებული თვალებით შემომხედა და მითხრა: «ხედავ, მამამისზე ძლიერი ხმა რომ აქვს?!» აზმაიფარაშვილი დამპირდა, რომ უსათუოდ აიყვანდნენ ზურიკოს 4 პრეტენდენტს შორის, ამის შემდეგ კი 19 ვოკალისტი მიიღეს სტაჟიორად და ზურიკო დღემდე თეატრს მიღმაა. საბედნიეროდ, მან თავისი გზა მოძებნა უცხოეთში, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ჩვენი თეატრი ასეთ კადრებს კარგავს. აზმაიფარაშვილიც და ჭიჭინაძეც

23 გვ.

# ალ კაპონეს ავტომობილები




ცნობილი განგსტერის ალ კაპონეს აღნიშნული ავტომანქანები ავტომობილის მშენებლობაში პირველი მსუბუქი მანქანებია, რომელთაც დაფარული ჯავშანი აქვთ.

დაჯავშნული VIP „კადილაკის“ 452 მოდელის განსაკუთრებული თვისებები:

კარის მძიმე ჯავშანი (6,35 სმ) და 5-ფენიანი შუშის ჯავშანი;

გვერდით შუშებსა და უკანა კარებებზე ჰქონდა მცირე ზომის სათოფეები, რომლებიც შიგნიდან იკეტებოდა დაჯავშნული ლუკებით, საიდანაც შესაძლებელი იყო პისტოლეტიდან და ავტომატიდან სროლის წარმოება;

ზეთი გადადიოდა გამონაბოლქვის მილში მდევართა წინაშე „ბოლის ფარდის“ შესაქმნელად;

ლუკი იატაკში, საიდანაც გზაზე იყრებოდა წვეტიანი ლურსმნები მოწინააღმდეგის ბორბლების დასაზიანებლად.

დაჯავშნული VIP „კადილაკის“ 341 მოდელის განსაკუთრებული თვისებები:

მარტო მანქანის ძარის და შუშის ჯავშანი;

უკანა შუშა ქვემოთ იხსნებოდა მდევართა მიმართულებით მოხერხებულად სროლის მიზნით;

მანქანის შავ-მწვანე შეფერილობა — იმ დროის ჩიკაგოს პოლიციის მანქანები შავ-მწვანე ფერის იყო.

1941 წლის დეკემბერში პერლ-ჰარბორზე იაპონიის ავიაციის თავდასხმის შემდეგ ალ კაპონეს დაჯავშნული „კადილაკი-341“, რომელიც განგსტერს 1931 წელს ჩამოერთვა აშშ-ის მთავრობის სასარგებლოდ, აშშ-ის პრეზიდენტის დაცვამ ფრანკლინ რუზველტის თეთრ სახლში გადასაყვანად გამოიყენა.

2006 წელს დაჯავშნული „კადილაკი-341“ RM-Auctions-Vintage Motor აუქციონზე 621 500 დოლარად გაიყიდა, ხოლო „კადილაკი-452“ 2009 წელს Bonhams Auction აუქციონზე — 309 500 დოლარად.

# ეგვიპტის პირამიდების მშენებელთა „დღიურები“

ქაიროს ეგვიპტის მუზეუმში გაიხსნა ფარაონ ხეოფსის პერიოდის უძველესი პაპირუსების ექსპოზიცია, რომლებშიც არწერილია გიზის დიადი პირამიდების მშენებელთა ყოველდღიური ყოფა.

მუზეუმში წარმოდგენილია 30 პაპირუსი. ისინი 2013 წელს აღმოაჩინეს ქალაქ ვადი ალ ჯარფის მახლობლად, წითელ ზღვასთან. გამოკვლევების მსვლელობისას დადგენიილია, რომ ისინი ფარაონ ხეოფსის ეპოქას მიეკუთვნება, რომელიც ცნობილი იყო ასევე სახელით



ხუფუ. ითვლება, რომ მეცნიერებისთვის აქამდე ცნობილი პაპირუსებიდან, რომლებიც იმ მოვლენებს ასახავს, რომლებიც 4500 წლის წინათ მოხდა, ეს პაპირუსები უძველესია.

როგორც მუზეუმის ზედამხედველმა ტარეკ ტაუფიკმა განაცხადა, პაპირუსზე განთავსებული ტექსტები აღწერს მშენებლობაზე მომუშავე მუშების ყოველდღიურ ცხოვრებას. ერთ-ერთი დოკუმენტი შეიცავს სტატისტიკურ და ადმინისტრაციულ შენიშვნებს, რომლებსაც უფროსი ჩინოვნიკი მერერი აწარმოებდა. იგი ხელმძღვანელობდა ჯგუფს, რომელიც 40 მშენებლისგან შედგებოდა.

პაპირუსები ასევე შეიცავს მონაცემებს მოსაკრებლების შესახებ, რომლებსაც ეგვიპტის სხვადასხვა პროვინციებში აგროვებდნენ და პირამიდების მშენებლობაში გამოიყენებდნენ. შემოსავლები ანგარიშებში წითელი ფერით არის ჩაწერილი, ხოლო მუშებისთვის გადახდილი თანხები — შავით. გარდა ამისა, მეცნიერებმა გაშიფრეს მონაცემები მშენებლებს შორის საკვების განაწილების შესახებ.

„ეს ყოველდღიური ანგარიში შეიცავს მონაცემებს იმ გუნდის შესახებ, რომლის წევრებსაც მდინარე ნილოსის აღმოსავლეთ ნაპირზე კირქვისგან წარმოებული ბლოკები გიზის ფერდობზე ხეოპსის პირამიდისკენ გადაჰქონდათ დიადი მდინარის არხებით“, — ამბობენ მუზეუმში და აღნიშნავენ, რომ დოკუმენტების შინაარსი ადასტურებს ფარაონ ხუფუს მმართველობის დროს ადმინისტრაციული სისტემის მაღალ ეფექტურობას.

პაპირუსები ასევე იმასაც ადასტურებს, რომ დედამიწაზე არსებული უდიდესი ნაგებობები ადამიანების მიერაა აგებული და არა უცხოპლანეტელების მიერ.

# ლინკოლნის საათი და მესაათეების ხუმრობები

პრეზიდენტმა ლინკოლნმა არ იცოდა, რომ მისი ჯიბის საათში, რომელსაც ყოველდღე თან დაატარებდა, გზავნილი ინახებოდა.

1850 წელს წარმატებულმა ადვოკატმა აბრაამ ლინკოლნმა შეიძინა შესანიშნავი ჯიბის საათი სპრინგფილდელი იუველირის ჯორჯ ჩატერტონის მიერ დამზადებული საათი. თავად მექანიზმი დამზადებული იყო ლივერპულში, ინგლისში.

1860 წლის ნოემბერში ლინკოლნი შეერთებული შტატების მე-16 პრეზიდენტად აირჩიეს. 1861 წლის იანვარში სამხრეთ კაროლინის შტატი კავშირს გამოეყო, მას კიდევ ექვსი შტატი მიჰყვა, 12 აპრილს კი სროლები გაისმა ფორტ სამტერში, რამაც გაახმიანა სამოქალაქო ომის დაწყება.

იმ დროს საათი შესაკეთებლად მიუტანეს მესაათეს ვაშინგტონში და მესაათე ჯონ დილონმა დრო იხელთა და საათის მექანიზმზე რამდენიმე წარწერა გააკეთა: „პირველმა პისტოლეტმა გაისროლა“, „მონობა მოკვდა“ და „მადლობა ღმერთსმ რომ მთავრობა გვყავს“.

1864 წელს სხვა მესაათემ, რომელსაც ხელში ჩაუვარდა პრეზიდენტის საათი, საკუთარი სახელის გარდა „ლ. გროსი“ და ხუმრობით თუ იმის გამო, რომ კონფედერაციას უჭერდა მხარს,



დააწერა კონფედერატების პრეზიდენტის სახელი „ჯოზეფ დევისი“. ლინკოლნმა ვერასოდეს გაიგო, რომ მას ჯიბეში თავისი პოლიტიკური და სამხედრო მოწინააღმდეგის სახელწაწერილი საათი ედო.

# ვის უსახსოვრა ვან გოგმა თავისი მოჭრილი ყური

მხოლოდ ახლახან გახდა ცნობილი იმ ქალბატონის სახელი, ვისაც უსახსოვრა ჰოლანდიელმა მხატვარმა ვან გოგმა თავისი მოჭრილი ყური. მისი სახელია გაბრიელ ბერლატიე, რომელიც ფერმერის ქალიშვილი გახლდათ და ბორდელში მუშაობდა.

გამოცემა The Art Newspaper-ის თქმით, აქამდე ვარაუდობდნენ, რომ ყური მხატვრის შემთხვევითმა ნაცნობმა, მსუბუქი ყოფაქცევის ქალმა ან ბორდელის მეპატრონემ მიიღო.

ამ დღეებში გამოვიდა ბერნადეტ მერფის წიგნი „ვან გოგის ყური. ნამდვილი ისტორია“. ავტორი დაჰპირდა ქალიშვილის შთამომავლებს, რომ არ დაასახელებდა მის გვარს, მაგრამ წიგნში მითითებულია მისი სახელი, ვისაც ვან გოგმა ყური უსახსოვრა.

ქალიშვილის გვარი დაფიქსირებულია პარიზის პასტერის ინსტიტუტში, სადაც იგი 1888 წელს მკურნალობდა ცოფზე ძაღლის ნაკბენების გამო. აღნიშნულია, რომ ქალიშვილი პროვანსის ქალაქ არლიდან ჩავიდა პარიზში, მას ცოფის წინააღმდეგ უახლესი ვაქცინა გაუკეთეს, რომელმაც მისი სიცოცხლე გადაარჩინა.

ქალიშვილის მკურნალობა ოჯახს ძალიან ძვირი დაუჯდა, ვალების აღება მოუხდა და ამის გამო მან ბორდელში დაიწყო მუშაობა. ასევე აღნიშნულია, რომ ქალიშვილი იმდენად ახალგაზრდა იყო, რომ მხოლოდ მოსამსახურედ მუშაობის უფლება ჰქონდა.



ასევე აღნიშნულია, რომ სწორედ გაბრიელ ბერლატიეს უსახსოვრა ფსიქიკური პრობლემების მქონე ვან გოგმა თავისი მოჭრილი ყური.

ცნობილია, რომ ბერლატიე მოგვიანებით გათხოვდა, დიდხანს იცოცხლა და არასოდეს საუბრობდა ვან გოგთან ნაცნობობის შესახებ.

# კრიზისი ოპერის თეატრში

21 გვ.

პროფესიონალიზმშიც მოიკოჭლებენ და ეჭვი მეპარება, რომ მენეჯერული თვისებებითაც გაიბრწყინონ.

რაც შეეხება ვახტანგ მაჭავარიანს, ის იმდენად დახვეწილი მუსიკოსია, შესანიშნავად უძღვება თავის საქმეს როგორც საოპერო, ისე სიმფონიურ დარგში. მიმაჩნია, რომ ის ერთადერთი ღირსეული კანდიდატურაა სამხატვრო ხელმძღვანელისა და მთავარი დირიჟორის პოზიციაზე, რომელიც უსათუოდ ერთი სუბიექტი უნდა იყოს.

რაც შეეხება მომღერლების ჭირვეულობას, ესენი არიან: **მზია ნიორაძე, თამარ ივერი** და **ნინო სურგულაძე.** პირველმა ორმა თავისი შემოქმედებითი პოტენციალი უცხოეთში გაფლანგა და დღეს სამხატვრო ხელმძღვანელობის ამბიციით გვიბრუნდებიან, მაგრამ ის მაინც უნდა იცოდნენ, რომ სამხატვრო ხელმძღვანელი და დირიჟორი ერთიდაიგივე სუბიექტი უნდა იყოს და არავითარ შემთხვევაში — მომღერალი. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა 2 წლის განმავლობაში სამხატვრო ხელმძღვანელად მუშაობდა დიდი მომღერალი **დავით ანდღულაძე,** რომელსაც ვერავის შევადრით ვერც ხმით, ვერც მუსიკალურობით და ვერც ნაწარმოების კონცეფციაში წვდომით.

სხვათა შორის, ყოველივე ამან გამოიწვია დასის სრული პარალიზება. გაიფიცნენ გუნდის მსახიობები. შემდეგ მათ შეუერთდნენ ორკესტრის წარმომადგენლები, ხოლო მოგვიანებით — თვით სოლისტები. გაუგებარია, როგორ შეიძლება დაისვას საკითხი თეატრისთვის ზაქარია ფალიაშვილის სახელის ჩამორთმევაზე? ეს ალბათ **ნინო ანანიაშვილს** უნდა ვკითხოთ, რადგან სწორედ ის არის მონდომებული, რომ საოპერო დასი დაიშალოს და მხოლოდ საბალეტო თეატრად იქცეს. ეს არაერთხელ დამტკიცდა მისი მჭიდრო თანამშრომლობით კინწურაშვილთან. რა კავშირი აქვს მეგა-ვარსკვლავს უნიჭო კინწურაშვილთან? რა დარიგებებს აძლევს მას? ნინო ანანიაშვილს თუ მოკლე მეხსიერება აქვს, ჩვენ არ დაგვიწყებია, თუ როგორ სურდა მას ე.წ. ვორონცოვის ანუ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის დასაკუთრება იაპონელი ბალერინებისთვის. ვგონებ, იაპონელები ქალბატონ ნინოს ყოველმხრივ შეუწყობდნენ ხელს თავისი კადრების აღზრდაში, მაგრამ აქ ჩადებული იყო სურვილი, რომ ვორონცოვის სასახლე თავის საკუთრებად ექცია. მაგრამ ანანიაშვილმა ხალხის რისხვას ვერ გაუძლო და ეს სანუკვარი ოცნება ვერ აისრულა... როგორც «ბოროტი ენები» ამბობენ, ფალიაშვილის სახელის ჩამოშორება ოპერის თეატრისთვის სწორედ ანანიაშვილისგან მოდიოდა, რადგან დღესდღეობით ის ოპერის თეატრის დასაკუთრებაზე არის გადართული. თუ მან ამ მცდელობას ხორცი შეასხა, საქმე გვექნება ისეთსავე სავალალო მდგომარეობასთან, რაც კომპოზიტორთა კავშირს დაემართა და აქ გაცილებით უფრო დიდი ბორდელი გაიხსნება, ვიდრე – იქ. წლების წინ მოსკოვის დიდ თეატრში საოპერო დასის ხელმძღვანელად დანიშნეს **მაყვალა ქასრაშვილი,** ანანიაშვილს კი საბალეტო დასის ხელმძღვანელობა სურდა, რასაც ვერ მიაღწია. როგორც ჩანს, ვერახდენილი ოცნებების კომპლექსი ამ მართლაც ნიჭიერ ხელოვანს მოსვენებას არ აძლევს და ამჯერად თბილისის საოპერო თეატრზე იყრის ჯავრს.

ამ ისტერიული ფონის მიუხედავად, იმედს არ ვკარგავ, რომ უნიჭობა დიდხანს ვერ იბოგინებს და მალე აღდგება ქართული საოპერო ხელოვნების მშვენება — ზაქარია



ფალიაშვილის «დაისი», ბიზეს «კარმენი», ვერდის «ტრავიატა», «რიგოლეტო», «ტრუბადური», პუჩინის «ჩიო ჩიო სანი» და «ტოსკა». რაც შეეხება მიზეზს, რომ თეატრს არ გააჩნია სათანადო თანხები, რომ დეკორაციები და კოსტიუმები განადგურებულია, გაუგებარია, თუ თეატრის მენეჯმენტში ასეთი კრიზისული ვითარებაა, როგორ აძლევს თავს უფლებას 17-კაციანი სტაფი, რომ 350 ათასი ლარი პრემიის სახით გადაინაწილოს? ან სად მიდის კოლოსალურად ძვირადღირებული ბილეთებიდან მიღებული შემოსავალი? პარტერის, ამფითეატრისა და ლოჟების ბილეთების ფასი რამდენიმე ასეული ლარია და მაყურებლისთვის ხელმიუწვდომელია. ბოლო იარუსებზე ბილეთის მინიმალური ფასი 40 ლარი იყო თვით ზემოხსენებულ სამარცხვინო შოუზე. ამ შოუში მონაწილეობისთვის გუნდის სოლისტებს შეპირდნენ 100-100 ლარის გადახდას, რაც არ შესრულდა. ასევე 26 მაისს სამთავრობო კონცერტის ჩატარებისას ოპერის გუნდის მომღერლებს 100-100 ლარს შეპირდნენ, ოღონდაც ემღერათ, მაგრამ არც ეს დანაპირები შეუსრულებიათ. რაც შეეხება ფულადი რესურსების ფლანგვას, ამაზე ოფიციალურ მასალას მოგაწვდით, სამხატვრო ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილს.

კინწურაშვილმა ჩამოსვლიდან თვენახევარში იყიდა «მერსედესის» მარკის ახალი ძვირადღირებული მანქანა, ვერაზე «ემ-კვადრატის» ფეშენებელური ბინა და ვერცხლისფერი სირმებით გაწყობილი კოსტიუმი, რომელიც საახალწლო ნაძვისხესავით ბრწყინავდა და თავადაც მინახავს დღისით მზისით ქუჩაში.

საოპერო თეატრის გაფიცულ თანამშრომლებს სთხოვენ, რომ 23 ივლისს სეზონის დახურვის ღონისძიებაში მიიღონ მონაწილეობა. ეს თხოვნა განსაკუთრებით ეკუთვნით გუნდის მსახიობებს, რომლებიც პრინციპულად უარს აცხადებენ თეატრის ღონისძიებებში მონაწილეობაზე.

საერთო კრება, რომელიც უნდა ჩატარებულიყო 18 ივლისს, არ შემდგარა და მსახიობებს აიძულებენ, რომ სეზონის დასახური ღონისძიების შემდგომ ჩატარდეს, რასაც არავინ იზიარებს, ვინაიდან მსახიობებმა კარგად იციან, რომ სეზონის დახურვის შემდეგ მათ სამართლიან მოთხოვნებს და თეატრის პრობლემებსა და საჭიროებებს აღარავინ გაითვალისწინებს.

P.S. თეატრის წითელ დარბაზში მოსამართლეების შეხვედრა შედგა, რაც ბანკეტით დასრულდა. ამ დღეებში სამხატვრო ხელმძღვანელს დაურეკა ერთ-ერთმა პიროვნებამ და 600-კაციანი ქორწილისთვის ფართის მიქირავება სთხოვა. სამხატვრო ხელმძღვანელს აზრადაც არ მოსვლია, რომ ამ ადამიანისთვის ეკითხა, საოპერო თეატრში რეკავდა თუ საბანკეტო დარბაზში? სამაგიეროდ იქვე უპასუხა, 600-ზე არა, მაგრამ 300 კაცზე კი მოგაქირავებთო.

მსგავსი უნიჭობა, უგემოვნობა და ანტიხელოვნება როდემდე? ამ წერილის პათოსი, ასევე ჩემი და თეატრის მრავალრიცხოვან გულშემატკივართა მოთხოვნა იმაში გამოიხატება, რომ ჩვენს ოდესღაც სახელოვან თეატრს ეღირსოს კვალიფიციური ხელმძღვანელობა, რათა ამ კერასთან დაკავშირებული კულტურული ტრადიციების წყვეტა არ გახანგრძლივდეს.

კეთილი სურვილებით,

**იუნონა აფაქიძე**

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი
**მთვარისა კევლიშვილი.**
**ტელ.**: 2 79 63 91;
0 790 60 64 69; 5 93 78 64 69



**— მამაჩემმა სასამართლო წესით მიიღო თავისი კუთვნილი ქონება,რომელიც მაჩუქა მე. ეს ქონება კანონით დადგენილი წესით დავირეგისტრირე საჯარო წესით. რეესტრით . აქვს თუ არა უფლება კანონით ჩემს და-ძმებს, მიიღონ მემკვიდრეობა მამის გარდაცვალების შემდეგ, ჩემი კუთვნილი ქონებიდან;**

— როგორც ჩანს, მამათქვენი ცოცხალია და ღმერთმა კიდევ დიდხანს აცოცხლოს.

რაც შეეხება შეკითხვას, აღნიშნულთან დაკავშირებით მოგახსენებთ შემდეგს: მამათქვენმა მის საკუთრებაში არსებული ქონება თავის სიცოცხლეშივე, თავისი ნების შესაბამისად, აჩუქა თავის ქალიშვილს. მისი ეს ქმედება გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 524-ე მუხლიდან, რომლის მიხედვითაც, ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებად მისი თანხმობით. ხსენებულ ქონებაზე ჩუქების ხელშეკრულება დადებულად ჩაითვალა ხელშეკრულებით განსაზღვრული საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისმომენტიდან, გამომდინარე 325-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნიდან. როგორც თქვენი წერილიდან ჩანს, ჩუქების დაუშვებლობის პირობა არ არსებობს, მაგრამ, ყოველი შემთხვევისათვის მე მაინც შევეხები ამ საკითხს. სამოქალაქო კოდექსში არსებობს 526-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, პირს უფლება არა აქვს გააჩუქოს ქონება, თუ ქონების გაჩუქება საარსებო წყაროს უსპობს მჩუქებელს ან მის კმაყოფაზე მყოფ პირებს. თუ თვითონ მამათქვენმა ამ ქონების ჩუქებით მოისპო საარსებო წყარო ან თქვენი და-ძმა იმყოფებოდნენ მამათქვენის კმაყოფაზე და, შესაბამისად, მათ მოესპოთ არსებობის წყარო, მაშინ მათ, მამათქვენსა და თქვენს და—ძმებს უფლება აქვთ, სასამარტლო წესით მოითხოვონ ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება. ასევე, სამოქალაქო კოდექსში არსებობს მუხლი 530, რომლის 1-ლი ნაწილის მიხედვითაც, თუ ჩუქების შემდეგ მჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა, მას უფლება აქვს დასაჩუქრებულს მოსთხოვოს გაჩუქებული ნივთი, თუ ეს უკანასკნელი რეალურად არსებობს და დაბრუნება დასაჩუქრებულს არ ჩააყენებს მძიმე მდგომარეობაში.ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა არ შეიძლება, თუ გამჩუქებელმა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ჩაიგდო თავი მძიმე მდგომარეობაში. ეს, სანამ მამათქვენი ცოცხალია. იმედია, მსგავსი რამ არ გემუქრებათ.

ახლა რაც შეეხება მემკვიდრეობის საკითხს მამათქვენის გარდაცვალების შემდეგ: შვილები არიან გარდაცვლილი მშობლის 1-ლი რიგის მემკვიდრეები, მაგრამ, რა თქმა უნდა, მამკიდრებლის საკუთრებაში არსებული ქონების-სამკვიდროს გათვალისწინებით. თუ მამათქვენმა მთელი ქონება თქვენ გაჩუქათ, თქვენს და-ძმებს ამ ქონებაზე მამის გარდაცვალების შემდეგ უფლებები არ აქვთ, მაგრამ თუ მამათქვენს კიდევ დარჩა სხვა ქონებაც, სამკვიდრო გაიხსნება ამ ქონებიდან და ამ დროს შეიძლება თქვენს წილში მოხდეს ნაჩუქარი ქონების ჩათვლა, გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსის 1445-ე მუხლიდან, რომლის მიხედვითაც, სამკვიდროს გაყოფისას თითოეული მემკვიდრის წილში ჩაითვლება იმ ქონების ღირებულება, რომელიც მან საჩუქრის სახით მიიღო მამკვიდრებლისაგან სამკვიდროს გახსნამდე ხუთი წლის განმავლობაში.

მოკლედ, თუ მამათქვენმა მის სახელზე რიცხული მთელი ქონება თქვენ გაჩუქათ, თქვენი და-ძმები მამის გარდაცვალების შემდეგ, როგორც მემკვიდრეები ვერაფერს მიიღებენ.

* * *

**— რომელი სასამართლო კანონით შეიძლება დიდი სამამულო ომის მეორე ჯგუფის ინვალიდს გადახდეს სასამართლო ბაჟი და რომელი კანონით დაუყადაღდება ისედაც საარსებო მინიმუმზე ბევრად დაბალი პენსია?**

— საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლი აკონკრეტებს იმ პირთა სიას, რომლებსაც არ გადახდებათ სახელმწიფო ბაჟი სასამართლოში. ვაკონკრეტებ:

მუხლი 46. სასამართლო ხარჯების გადახდისაგან განთავისუფლება

სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან:

ა/მოსარჩელეები-ალიმენტის/გადახდევინების/სარჩელებზე;

ბ) მოსარჩელეები - დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე, მარჩენალის სიკვდილით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სარჩელებზე;

გ) მოსარჩელეები - დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების სარჩელებზე;

დ) მხარეები - უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრების უკანონოდ გამოყენების ან გამასწორებელ სამუშაოთა სახით ადმინისტრაციული სახდელის უკანონოდ დადების შედეგად მოქალაქისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ სარჩელებზე.

ე) მოსარჩელეები — არასრულწლოვანთა უფლებების დარღვევასთან დაკავშირებულ სარჩელებზე.

ვ) მხარეები, რომლებიც დადგენილი წესით რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებენ საარსებო შემწეობას, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით;

ზ) მხარეები — წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილების სააპელაციო და საკასაციოწესებითგასაჩივრებისას.

კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან მხარეთა გათავისუფლების სხვა შემთხვევებიც.

ამავე კოდექსის 43-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს, მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, თუ მოქალაქე დაასაბუთებს სასამართლო ხარჯების გადახდის შეუძლებლობას და სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, რის თაობაზედაც მოსამართლეს გამოაქვს მოტივირებულიგანჩინება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენ შეგიძლიათ, მიმართოთ სასამართლოს, თქვენი ფინანსური მდგომარეობისა და დიდი სამამულო ომის მეორე ჯგუფის ინვალიდის ფაქტორის გათვალისწინებით, რასაკვირველია, ამ ფაქტორების მადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენით, გაგათავისუფლოთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.



# იაპონიის იმპერატორი აკიხიტო ტახტიდან გადადგომას აპირებს

იაპონიის იმპერატორმა აკიხიტომ განაცხადა, რომ იგი ტახტის დატოვებას და საიმპერატორო ძალაუფლების საკუთარი ვაჟისთვის — ტახტის მემკვიდრე პრინცისთვის, ნარუხიტოსთვის გადაცემას აპირებს.

აკიხიტოს გადაწყვეტილების მიზეზი მისი ასაკი გახლავთ — იმპერატორი 82 წლისაა.

იმპერატორის ამ გადაწყვეტილების შესახებ ცნობილი მიმდინარე წლის 13 ივლისს გახდა.

აკიხიტოს მიერ ტახტიდან გადადგომის ზუსტი თარიღი ჯერ არ არის ცნობილი, მაგრამ თვლიან, რომ ტახტის გადაცემა უახლოეს წლებში, ან უფრო ადრეც კი მოხდება.



აკიხიტო ცნობილია არამარტო როგორც ერთადერთი იმპერატორი, რომელიც ამჟამად ძალაუფლებას ფლობს, არამედ, მან 1959 წელს „რევოლუცია“ მოახდინა საიმპერატორო ქორწინების სფეროში, როცა ცოლად შეირთო არა იაპონიის არისტოკრატიის წარმომადგენელი, არამედ ფქვილის კომპანიის მფლობელის ქალიშვილი.

აკიხიტო ასევე გადაცებულია ბუნებისმეტყველებით და იკვლევს ზღვის თევზებს — მას ეკუთვნის რამდენიმე სერიოზული სამეცნიერო ნაშრომი იხტიოლოგიაში.

ამასთან, ცნობილია, რომ მოსკოვი და ტოკიო აგრძელებენ მოლაპარაკებებს კურილიის კუნძულების სტატუსთან დაკავშირებით, რომელიც ორივე მხარისთვის იქნება მისაღები.

# რით ვუშველოთ ალკოჰოლიზმს?



ამერიკელმა მედიკოსებმა დაამტკიცეს, რომ ალკოჰოლს ორგანიზმისთვის უფრო მეტი ზიანის მოტანა შეუძლია, ვიდრე ღვიძლის პრობლემებია.

ალკოჰოლური სასმელების ბოროტად გამოყენება მთლიანად ანგრევს ადამიანის იმუნურ სისტემას, აფერხებს გამოჯანმრთელების და თვით ჭრილობების შეხორცებასაც კი. იგი აჩენს მიდრეკილებას როგორც კუჭის, პანკრეასის, ასევე კანის წყლულოვანი დაავადების მიმართ.

ლაიოლის უნივერსიტეტის 50-ზე მეტი დოქტორი, პროფესორი და სტუდენტი აწარმოებდა კვლევას ალკოჰოლის ზემოქმედების შედეგებზე ადამიანის ორგანიზმისთვის.

დოქტორმა ელიზაბეთ კოვაქსმა კვლევების შედეგად თერაპიის ახალი კურსი შეიმუშავა, რომლის საშუალებითაც ძლიერდება ადამიანის იმუნური სისტემა და მინიმალიზდება ალკოჰოლის მავნე ზემოქმედება.

„ყველაზე უკეთესი საშუალება ალკოჰოლის მავნე ზემოქმედებისგან თავის დასაღწევად, რა თქმა უნდა, ის არის, საერთოდ თუ არ გამოიყენებთ სპირტიან სასმელებს“, — აღნიშნავს ელიზაბეთ კოვაქსი.

შემუშავებულია სხვადასხვა მეთოდები. ყველაზე საინტერესო კი მათ შორის „ალკოჰოლური და ოქსიდატური სტრესის“ პროგრამაა, როცა წვეთ-წვეთობით აქვს დაკავებული ალკოჰოლს ორგანიზმის თავისუფალი რადიკალები, მათი განთავისუფლება ანტიოქსიდანტებით ხდება შესაძლებელი. კვლევა იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ მასში კოლორადოს, მასაჩუსეტსის, მისისიპის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ჩიკაგოს უნივერსიტეტებიც ჩაერთო. ვარაუდობენ, რომ გამოიგონებენ ისეთ საშუალებას, რომელიც მთლიანად მოხსნის ალკოჰოლის მავნე მოქმედებას ადამიანის ორგანიზმზე.

# ფრანგები გაოგნებულნი არიან ოლანდის პირადი პარიკმახერის ხელფასით



საფრანგეთში პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდის პარიკმახერის ხელფასის რაოდენობამ ფართო რეზონანსში გამოიწვია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და სოციალურ ქსელებში — ქვეყნის მცხოვრებლებმა შეიტყეს, რომ პრეზიდენტის პარიკმახერი იმდენ ხელფასს იღებს, რამდენსაც მინისტრები.

როგორც ცნობილი გახდა, ოლივიე ბ-სთან ხუთწლიანი კონტრაქტი 2012 წლის მაისში გაფორმდა. დოკუმენტის თანახმად, რომელსაც ხელს ელისეის მინდვრების კანცელარიის ხელმძღვანელი აწერს, დალაქს ყოველთვიურად უნდა გადაეხადოს 9 895 ევრო, ასევე მან მიეცემა დახმარება ცხოვრებისთვის და შეღავათები და პრივილეგიები ოჯახისთვის. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გამოითვალეს, რომ კონტრაქტის დასასრულისთვის ოლივიეს შემოსავალი გადასახადების დაქვითვის გარეშე 593 000 ევრო იქნება.

დოკუმენტის თანახმად, პარიკმახერი ფრანსუა ოლანდს ყველგან თან უნდა ახლდეს და არ უნდა გაამხილოს მისი მოღვაწეობის სფერო კონტრაქტის დასრულების შემდეგაც კი.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაცემებით, სხვაობა პარიკმახერისა და მინისტრების ხელფასს შორის მხოლოდ 45 ევროა, საფრანგეთის მინისტრთა კაბინეტის წევრების ხელფასი 9940 ევროა, თავად პრეზიდენტის ოფიციალური ხელფასი კი — 14 99 ევრო.





ავეჯის გადაზიდვის სერვისი

2 25-60-60



ISSN 2233-3983

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com